# ლელო

ყაზბეგი

№105 (12 175)

7 მაისი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

# ფრე ოლიმპის სასარგებლოდ

## დინამო: შანსი შემცირდა, შანსი რჩება



დუშან უჰრინი: ნერვიულობა ვერ დავძლიეთ





რევაზ ძოძუაშვილი: ვილოცეთ და უფალმაც გადმოგვხედა... ბოლოს რას გადავრჩით...

| სულ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 23 | 17 | 5 | 1 | 52-7 | 56 |
| 2. დინამო | 23 | 17 | 2 | 4 | 47-17 | 53 |
| 3. ამერი | 23 | 15 | 5 | 3 | 44-14 | 50 |
| 4. ზესტაფონი | 23 | 14 | 8 | 1 | 46-10 | 50 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 23 | 12 | 8 | 3 | 39-23 | 44 |
| 6. სიონი | 23 | 11 | 3 | 9 | 27-20 | 36 |
| 7. ტორპედო | 23 | 9 | 4 | 10 | 21-26 | 31 |
| 8. ბორჯომი | 23 | 7 | 6 | 10 | 24-31 | 27 |
| 9. ბათუმი | 23 | 6 | 6 | 11 | 21-26 | 24 |
| 10. ლოკომოტივი | 23 | 5 | 6 | 12 | 14-31 | 21 |
| 11. ჩიხურა | 23 | 5 | 6 | 12 | 13-33 | 21 |
| 12. მერანი | 23 | 4 | 8 | 11 | 15-35 | 20 |
| 13. დილა | 23 | 2 | 5 | 16 | 15-54 | 11 |
| 14. კახეთი | 23 | 0 | 2 | 21 | 19-70 | 2 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ს. იაშვილი (დინამო) | 16 |
| ფიფია (ზესტაფონი) | 13 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 9 |



კლაუს ტოპმიოლერი და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი რუსთავში

ნუგზარ სუარიძის ფოტო

### კლაუს ტოპმიოლერი:

ოლიმპმა გამართული და ჭკვიანური ფეხბურთი ითამაშა... ნეტავ, ყველგან ასეთი დასწრება იყოს...

2 მატჩის შემდეგ

საქართველოს ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა 2-5

| XXIV ტური |
|---|
| 17:00. 12 მაისი. შაბათი |
| ბორჯომი-კახეთი |
| სიონი-ზესტაფონი |
| ტორპედო-ლოკომოტივი |
| ამერი-მერანი |
| დილა-ოლიმპი |
| დინამო-ვიტ ჯორჯია |
| ბათუმი-ჩიხურა |



## მოსკოვიდან ოქრო მოდის

ლევან რაზმაძე მსოფლიოს სუპერთასის გამარჯვებულია 11



## ტავი მოჭრა!

7-10 ევროპიქენდის მიმოხილვა

## მანჩესტერი ჩემპიონია!

## შოთა: ოპერაციას გავიკეთებ და კიდევ ვითამაშებ 5

არველაძე ვერც ჰოლანდიის თასს შეხვდა, პროტასოვი კანკავას წინააღმდეგ

6 ქართული ლეგიონის უქმეები

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ოლიმპი-დინამო**
**0:0**
5.05. რუსთავი. ფოლადი
8 000 მაყურებელი

ოლიმპი: მერლანი, სეთურიძე, გენაძე, მახვილაძე, გ. ონიანი, ჭიჭვეიშვილი, ნავალოვსკი, ქებაძე, აფციაური ( 88. ბერუაშვილი), რ. გოცირიძე, ძამსაშვილი (46. დვალიშვილი, 82. კახელიშვილი).
*სათადარიგოები:* ალავიძე, ჩხარტიშვილი, ხუბუა
დინამო: გრიშიკაშვილი, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, დილმელაშვილი, ხმალაძე (80. სპასოევიჩი), მერებაშვილი (65. ოდიკაძე), კობახიძე, ფეიქრიშვილი (90. ლ. ნოზაძე), იაშვილი.
*სათადარიგოები:* ლორია, თომაშვილი, მ. კაშია, გუგავა
გაფრთხილება: გენაძე (63)
არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

# დინამოს უჰრინული ნირი ნაუხდა




მატჩის ორი კულმინაციური მომენტი: აფციაური ცარიელ კარს აცილებს (მარცხნივ); ჭიჭვეიშვილს ბურთი ცარიელი კარიდან გამოაქვს

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

თერთმეტი წლის წინანდელი ამბები გამახსენდა, როცა **დუშან უჰრინი** მხნედ გამოიყურებოდა, თვალებიდან ლამის ცეცხლს აფრქვევდა, მისი გუნდი კი იტალიასა და საფრანგეთს ამარცხებდა.

1996 წელს ინგლისში გამართული ევროპის ჩემპიონატი მწვრთნელ უჰრინისთვის მწვერვალი იყო, საქართველოში კი უჰრინს ჯერჯერობით, იმით მოაქვს თავი, "დინამო" რომ ჩავიბარე, მეშვიდე ადგილზე ვიყავით, ახლა კი მეორეზე ვართო.

სლოვაკეთში დაბადებული ჩეხი თითქოს დაძაბუნებულია, "ოლიმპთან" უმნიშვნელოვანეს თამაშშიც კი ვერ ვიხილეთ მისი "დინამოსგან" რისკიანი, ავანტიურისტული ფეხბურთი. "დინამომ" თავისი კოზირები ვერ გამოიყენა და საჩემპიონოდ საქმე კიდევ უფრო გაირთულა.

"ოლიმპი" კი ისეთ ფრეს გამორჩა, უკმაყოფილო რომ არ დარჩენილა. **რევაზ ძოძუაშვილის** გუნდმა ალბათ, შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენა, საკუთარი სისუსტეები გააბათილა და მეტოქეს უპირატესობების გამოყენების საშუალება არ მისცა.

ფულს თავი გავანებოთ და მოსამზადებელი პირობები "დინამოს" "ოლიმპზე" რომ გაცილებით კომფორტული აქვს, ფაქტია. "დინამოს" საკუთარი ბაზა გააჩნია ორი მინდვრით, საძინებლებით, სატრენაჟორო დარბაზით, სადაც შეუძლია ორჯერადი ვარჯიშები გამართოს და სხვა ქართულ გუნდებზე უკეთესადაც მოემზადოს.

"ოლიმპიც" ალბათ ყველაზე მეტად ამაზე ნერვიულობდა, "დინამომ" ჯანით არ დაგვჯაბნოსო. მატჩის ბოლოს ოლიმპიელებს ძალა შემოაკლდათ, დინამოელებმა ამით მცირე უპირატესობაც მოიპოვეს, მაგრამ არანაირი ფანტაზია, არანაირი ინიციატივა და თამაშის საკუთარ თავზე აღება - ჰოდა, ფრეც ლოგიკური შედეგი გამოდგა.

შეხვედრა ნერვიულად დაიწყო, დაძაბულობის მოხსნას 15-20 წუთი დასჭირდა. "დინამო" უფრო აგრესიული ჩანდა მოედნის ცენტრში, **დავით დილმელაშვილი, ლევან ხმალაძე** და **გიორგი მერებაშვილი** კარგად მოძრაობდნენ, მაგრამ "ოლიმპმა" მეტოქეს ფლანგები კარგად ჩაუკეტა - მარჯვენა ფრთაზე **გიორგი ფეიქრიშვილს გიორნი ნავალოვსკი** ბოჭავდა, მარცხენაზე კი **სანდრო კობახიძეს გიორგი სეთურიძე** მეურვეობდა. "დინამო" მეტწილად კობახიძეთი ამწვავებს ხოლმე თამაშს და რადგან სეთურიძე მობილურად ირჯებოდა, დინამოელთა შეტევებს უალრესად მნიშვნელოვანი არტერია გადაეკეტა.

უჰრინის გუნდს კიდევ არ ჰქონდა შეტევითი რესურსი - **სანდრო იაშვილი,** რომელმაც ამჯერადაც ვერ აჯობა **გიორგი ონიანს,** მისთვის ალბათ ყველაზე უხერხულ მცველს ეროვნულ ჩემპიონატში. ძოძუაშვილმა სამი სტოპერით ითამაშა, ონიანის გარდა დაცვის ცენტრს **მიხეილ მახვილაძე** და **დავით ჭიჭვეიშვილიც** ამაგრებდნენ, უჰრინმა კი ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშა, მეტოქეს ვერანაირი სიურპრიზი ვერ შესთავაზა და "ოლიმპის" დაცვამაც საქმეს თავი გაართვა - იაშვილი ამოკეტა.

**რევაზ გენაძე** და **თორნიკე აფციაური** - რუსთაველთა იერიშებს ისინი წარმართავდნენ. მათი ბურთის ფლობა, დრიბლინგი და არცთუ მძლავრი შეტევები მეტოქეს ანერვიულებდა, ხოლო თანაგუნდელებს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა. გენაძე-აფციაურის დუეტი სასარგებლოდ ირჯებოდა, თუმცა "ოლიმპის" ცენტრფორვარდ **რევაზ გოცირიძეს** ეს საქმეს ვერ უადვილებდა, თითქმის მუდმივად ორ-სამ მცველთან ბრძოლაში მისდიოდა ბურთი და ამიტომაც იყო, **სოსო გრიშიკაშვილს** ერთხელაც რომ ვერ დაურტყა, თუმცა საამისოდ ერთი კარგი შანსი კი ჰქონდა - **მილოშ კრშკოს** შეცდომის შემდეგ მოიგდო ბურთი, ხელსაყრელ პოზიციაზე გაიჭრა, მაგრამ სისწრაფე არ ეყო და ბურთიც აწაპნეს.

შორეული დარტყმებით დილმელაშვილმა, **შოთა კაშიამ** და **ზურაბ ძამსაშვილმაც** სცადეს ბედი, მაგრამ აქედან ვერაფერს გამორჩნენ, პირველი ტაიმი საგოლე მომენტის გარეშე ჩამთავრდა.

ძოძუაშვილმა ჯანმაგარი საყრდენი ნახევარმცველი შემტევი **ლადო დვალიშვილით** შეცვალა, რომელმაც მარჯვენა ინსაიდის ადგილი დაიკავა. ეს ალბათ იმაზეც იყო გათვლილი, რომ ამ ფლანგზე "დინამოს" შეტევის გარდა დაცვაზეც ბევრი ეფიქრა, რითაც სეთურიძეს კობახიძის მეურვეობა შედარებით გაუადვილდებოდა, მაგრამ ძოძუაშვილის ამ ნაბიჯმა არ გაამართლა - დვალიშვილს თამაში არ წაუვიდა, რაზეც ძოძუაშვილმა ნამატჩევს თქვა, მას საზარდული აწუხებს და ათი დღეა, რაც სრულფასოვნად ვარჯიშობსო. მაშ, რატომ გარისკა მწვრთნელმა მისი შემოყვანა? მიუხედავად იალლიშისა, ძოძუაშვილი ამ მატჩში უჰრინზე უფრო უნარიანი მწვრთნელი გამოდგა.

"დინამო" ვერც მეორე ტაიმში აბობოქრდა, თითქოს ის ნაპერწკალი აკლდა, რომლისგანაც ალი აინთებოდა. ერთ-ერთ კონტრშეტევაზე კი "ოლიმპმა" გაანიავა ჩინებული საგოლე შანსი - გენაძის წამოწყებული იერიში ნავალოვსკიმ გააგრძელა, მარცხნიდან ჩააწოდა და აფციაურმა ხუთიოდე მეტრიდან ვერ დაუმიზნა ბურთი ფაქტობრივად, ცარიელ კარს.

იყო ეპიზოდი, იაშვილმაც რომ გაიბრწყინა - ოსტატურად ჩამოიღო ბურთი მკერდით და ორიგინალურად გაუჭრა პასი კობახიძეს, მაგრამ მეტოქის საჯარიმოში მყოფმა დინამოელმა შეტევა წარმატებით ვერ გააგრძელა.

ტაიმის შუაწელიდან თამაში ჩაცხრა, ფეხბურთელები დაოკდნენ, უფრო მეტოქის შეცდომებისთვის იყვნენ ჩასაფრებულნი. ასეთი სიუჟეტი "დინამოს" არ აწყობდა და უჰრინმა **დავით ოდიკაძე** შეუშვა მოედანზე. ვერ ვიტყვით, რომ ოდიკაძემ "დინამოს" შეტევები მნიშვნელოვნად გააძლიერა.

თამაშის დასრულებას ათი წუთი რომ აკლდა, უჰრინმა **ილია სპასოევიჩი** გამოიყვანა და ორ ფორვარდზე გადააწყო გუნდი, თუმცა "დინამოს" ამანაც ვერაფერი არგო.

საგოლე მომენტის გაცუდებაც სწორედ ილიას ხვედრი გამოდგა - მცველთაგან მიტოვებულმა იაშვილმა თავით გაგზავნა ბურთი **მირზა მერლანის** კარის ბაქნისკენ, "ოლიმპის" მეკარე და მცველები ჩაფლავდნენ, ბურთი ჩერნოგორიელს მიუვიდა, დაარტყა და კარში ჩამდგარმა **ჭიჭვეიშვილმა** თავით კუთხურზე მოიგერია ბურთი.

"ფოლადის" მინდორი კმაყოფილმა ოლიმპიელებმა და გაბრაზებულმა დინამოელებმა უგოლოდ დატოვეს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი **პეტერ სეგრტი** ორივე გუნდის ფეხბურთელებს უკრავდა ტაშს, **კლაუს ტოპმიოლერი** მეტყველი იერით აკვირდებოდა ყველაფერს, იქვე იყვნენ პრეზიდენტობის კანდიდატები, მათი მხარდამჭერი ხელისუფლების წარმომადგენლები - ბომონდმა დიდი ვერაფერი მატჩი იხილა, რუსთაველ ქომაგებს კი ჩემპიონობის იმედი მოემატათ.

**დავით თავართქილაძე**
რუსთავი-თბილისი

## მატჩის შემდეგ

### დუშან უჰრინი (დინამო)

- საინტერესო მატჩი იყო "ოლიმპს" პირველ ადგილზე დარჩენას ვულოცავ. ჩვენცა და მეტოქესაც თითო-თითო საგოლე შანსი გვქონდა. "დინამოს" ფეხბურთელების უმრავლესობა ახალგაზრდაა და მათ ნერვიულობა ვერ დაძლიეს, ამიტომაც ვერ ითამაშეს ისე ძლიერად, როგორც შეუძლიათ. მატჩის ბოლოს რისკზე წავედით კიდევ ერთი ფორვარდი გამოვიყვანეთ, მაგრამ..."

### რევაზ ძოძუაშვილი (ოლიმპი)

- მატჩი ზეიმი გამოდგა, ბევრი გულშემატკივარი მოვიდა. ორივე გუნდს კარგი ტაქტიკური მონახაზი ჰქონდა. საჩემპიონო თამაში იყო და ფეხბურთელებიც ამიტომ ფრთხილობდნენ. მსაჯობა კი გენიალური გამოდგა. სამი ტური დარჩა, რომელთაგან ყველაზე რთული თამაში, რა თქმა უნდა, "ამერთან" გველის... რუსთავში, თამაშზე დასასწრებად მოვემგზავრებოდით, როცა ჩვენი გუნდის ერთ-ერთმა გულშემატკივარმა ღვთისმშობლის ხატი გვაჩუქა და გვითხრა — მნიშვნელოვანი მატჩი გაქვთ და ეს ხატი დაგიფარავთო. თამაშამდე სიონის ტაძარში მთელმა გუნდმა ვილოცეთ და ეს ვაზის ჯვარიც იქვე ვიყიდე. როგორც ხედავთ, ღვთისმშობლის ხატმა და წმინდა ნინოს ჯვარმა დაგვიფარა... ნახეთ, მატჩის ბოლოს რა ქნა ჭიჭვეიშვილმა? ასპროცენტიან გოლს გადავურჩით. მადლობა უფალს... კარგი თამაში იყო. ვფიქრობ ამ მატჩით გულშემატკივარმაც ისიამოვნა."

**გიორგი ონიანი** - "დინამო" ძლიერი გუნდია, საგოლე მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა. ვფიქრობ ფრე ლოგიკური იყო. ეს ანგარიში ჩვენ გვაწყობდა და ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით.

**გიორგი ნავალოვსკი (ოლიმპი)** - ყველანი უზომოდ გახარებულები ვართ. ბოლომდე ვიბრძოლეთ და ვფიქრობ ვიმსახურებთ კიდეც ჩემპიონობას.

**მიროსლავ კრშკო (დინამო)** - პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ. მეორეში კი გამოვასწორეთ, თამაში, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მივაღწიეთ. წინ კიდევ სამი ტურია, მაგრამ ვფიქრობ 90 პროცენტით "ოლიმპი" ჩემპიონია.

**დავით ოდიკაძე (დინამო)** - ძალიან კი გვინდოდა მოგვეგო, მაგრამ ვერ მოვიგეთ. ფრე ალბათ ლოგიკური იყო. მეტოქეს ამ სასურველ ანგარიშს ვულოცავ და ევროტურნირებზე წარმატებას ვუსურვებ.

**ნედ ზელიჩი (დინამო)** - პირველ ტაიმში კარგად ვერა, მაგრამ მეორეში უფრო უკეთ ვითამაშეთ. პირველად მეტოქემ ვერ გამოიყენა გოლის გატანის ჩინებული შანსი და კარგი შესაძლებლობა მოგვეცა მოწინააღდეგე დაგვესაჯა, მაგრამ მცველმა მკვდარი ბურთი გამოიტანა კარიდან.

**მირზა მერლანი (ოლიმპი)** - ძალიან გახარებულები ვართ, მაგრამ რომ მოგვეგო უკეთესი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში დღესვე ვიზეიმებდით ჩემპიონობას. თუმცა ეს არაფერი, ოქროს მედლებს მაინც მოვიპოვებთ. სამ მატჩში ნაგების არა, მაგრამ ერთი ფრის უფლება გვაქვს და მჯერა, ჩემპიონები გავხდებით. რაც შეეხება იმ ეპიზოდს, საგოლე მომენტი ჩვენს კართან შეუთანხმებელ მოქმედებას მოჰყვა. სპასოევიჩმა რომ დაარტყა სუნთქვა შემეკრა... მაგრამ ჭიჭვეიშვილმა ივარგა.

**დავით ჭიჭვეიშვილი (ოლიმპი)** - დაძაბული მატჩი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფინალის ტოლფასი მატჩი იყო. ეს ფრე ჩვენ გვაძლევს ხელს. ახლა ერთი ნაბიჯილა დაგვრჩა ჩემპიონობამდე. მჯერა, შევძლებთ და ჩემპიონები გავხდებით.

რაც შეეხება იმ ეპიზოდს, სპასოევიჩმა ჩინებულად დაარტყა. ბურთს თავი შევუშვირე და როგორც აღმოჩნდა, კარი რეალური გოლისგან ვიხსენი.

**თორნიკე აფციაური (ოლიმპი)** - დაძაბული თამაში იყო, მათ შორის ფსიქოლოგიურადაც. ამ ფრის შემდეგ ჩემპიონობის ჩინებული შანსი გვაქვს და მჯერა გამოვიყენებთ კიდეც. რაც შეეხება იმ გაცუდებულ მომენტს, ძალიან მწყდება გული და ამის გამო რომ დავსჯილიყავით და ეს თამაში წაგვეგო, გული ჩამწყდებოდა.

**დავით ცაგაძე**

### კლაუს ტოპმიოლერი

- „ოლიმპი" დღეს უკეთეს მდგომარეობაში იყო. პირველ რიგში იმის გამო, რომ საკუთარ მოედანზე, შესანიშნავი პუბლიკის წინაშე თამაშობდა და ესეც არ იყოს, თუკი დღეს ვინმეს გოლი ჰქონდა გასატანი, პირველ რიგში, „დინამოს". რუსთაველებმა მთელი 90 წუთის განმავლობაში კარგად დაიცვეს თავი და მეტიც, თავიანთი კონტრშეტევებით უფრო მეტი ხიფათი შექმნეს „დინამოს" კართან, ვიდრე „დინამომ" „ოლიმპის" კართან. მეორე ტაიმში თბილისლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ სანადელს ვერ მიაღწიეს, რადგან „ოლიმპმა" ტაქტიკურად გამართული და ჭკვიანური ფეხბურთი ითამაშა. ფრე სამართლიანი შედეგია. რუსთაველებმა ამით დღეს პროგრამა მინიმუმი შეასრულეს და თუ კალენდარს გადავხედავთ, ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ ამ გუნდმა ჩემპიონობა ხელიდან გაუშვას. ვისურვებდი, რომ საქართველოს ჩემპიონატის ყველა მატჩზე ასეთი დასწრება იყოს. დღეს რუსთავში საფეხბურთო ზეიმი იყო და მაყურებელმაც ერთ-ერთი უმთავრესი როლი ითამაშა იმაში, რომ მატჩი ძალიან დაძაბული გამოვიდა.

### პეტერ სეგრტი

- ძალიან საინტერესო, ტაქტიკურად ჩახლართული და დაძაბული თამაში ვიხილეთ, რაც მოსალოდნელიც იყო. პირველიდან ბოლო წუთამდე იგრძნობოდა, რომ ორივე გუნდი დიდი მიზნისთვის იბრძოდა. ვფიქრობ, შედეგი აბსოლუტურად ლოგიკურია — „ოლიმპსაც" და „დინამოსაც" თითო ასპროცენტიანი შანსი ჰქონდათ. ასე რომ, ფრე ყველაზე მისაღები შედეგია.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

**ლოკომოტივი-ამერი**

**0:1**

5.05. თბილისი. მ. მესხი
78 მაყურებელი

0:1 ტატანაშვილი (86. პენალტით)

ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, ებრალიძე, გუშარაშვილი, დ. ფოფხაძე ულენტი, მალიჩავა, სამხარაძე, სოსელია (46. ბარბაქაძე), გოლორდავა (88. ჩომახიძე), გოჩაშვილი (46. ალავერდაშვილი)

*სათადარიგოები: ზუხბაია, კირკიტაძე, კუპრეიშვილი, ბახტაძე.*

ამერი: ქვაჩახია, დიდავა, კაკაშვილი, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დოლიძე (70. ტატანაშვილი), დობროვოლსკი, ბოლქვაძე (56. ჯელაძე), დეკანოსიძე, დავითაშვილი, წინამძღვრიშვილი (79. ჩიმაკაძე)

*სათადარიგოები: ნაჭყეპია, ფირანიშვილი, გაბისკირია, ნიკოლაიშვილი*

გაფრთხილება: ჩიკვილაძე (33), გუშარაშვილი (65), დეკანოსიძე (68), , გვარამაძე(88).

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

# ტატანაშვილი თავის ამპლუაში



მატჩის ერთადერთი გოლი ტატანაშვილმა პენალტით გაგიტანა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

თამაში "ამერისთვის" სასურველი შედეგით დასრულდა. გუნდების განსხვავებული სატურნირო მდგომარეობების მიუხედავად, მასპინძლები მოკრძალებულ აუტსაიდერებს არ ჰგავდნენ, მაგრამ გლდანელები უფრო სახიფათოდ უტევდნენ.

პირველ ტაიმში სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ და ორჯერ ძელი შეაზანზარეს - ჯერ **სულიკო დავითაშვილმა** და შემდეგ **ლადო კაკაშვილმა**. ამას გარდა, ორჯერ დავითაშვილი და **რატი წინამძღვრიშვილი** სახიფათო პოზიციებზე გავიდნენ, მაგრამ "ლოკომოტივის" მცველებმა ვითარება დროულად განმუხტეს.

მართალია, განსაკუთრებით მწვავე მომენტი "ლოკომოტივს" არ შეუქმნია, მაგრამ ფეხბურთელებს შეტევის გამწვავების შესაძლებლობა ორჯერ მიეცათ და ვერ მოახერხეს.

მეორე ტაიმი პირველისგან ოდნავ განსხვავებული სცენარით წარიმართა. საწყის ათ წუთში "ამერმა" ორი რეალური საგოლე შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა - ჯერ წინამძღვრიშვილმა ვერ ისარგებლა, შემდეგ კი ის დავითაშვილმა საჯარიმოში მოძებნა, თავის მხრივ, რატიმ კარის წინ **ბოლქვაძე** მარტო დატოვა, მაგრამ "ამერის" გამთამაშებელმა ახლო მანძილიდან ვერ ივარგა.

"ლოკომოტივიც" გამოცოცხლდა და მე-60 წუთზე ანგარიშის გახსნაც შეეძლო. საკუთარ საჯარიმოსთან **თენგიზ ჩიკვილაძემ** დაკარგა ბურთი, **გიორგი ალავერდაშვილმა** მეკარესთან პირისპირ **მიშა ულენტი** დატოვა, მაგრამ **ქვაჩახიამ** საგოლე საფრთხე განმუხტა. ამის შემდეგ ალავერდაშვილი ოთხ მცველში გაძვრა და საჯარიმოს ხაზთან უწესოდ შეაჩერეს. ჯარიმა ირაკლი სამხარაძემ მშვენივრად შეასრულა, მაგრამ ქვაჩახიამ ისევ საიმედოდ ითამაშა.

მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მოედანზე **დიმიტრი ტატანაშვილის** გამოსვლა. ის თავისთვის ჩვეულ ამპლუაში იყო - როგორც ყოველთვის, შეცვლაზე შესული აქტიურობდა და გოლიც გაიტანა. სწორედ მისი გამოჩენის შემდეგ შექმნეს გლდანელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი. ერთ-ერთ ეპიზოდში მისი წაქცევისთვის ამერელები პენალტს ითხოვდნენ.

ბოლო წუთებში "ამერმა" თავისი მაინც გაიტანა. 86-ე წუთზე ისევ ტატანაშვილმა წამოიწყო შეტევა, საჯარიმოში ბურთი დავითაშვილს მკერდით დაუგდო, სულიკო საჯარიმოში ბურთიანად შევარდა და **ჩიმაკაძე** მოძებნა, მას კი ბურთი გაექცა. **დათო გვარამაძე** ბურთის დაუფლებას შეეცადა და ამ დროს თავდამსხმელი წაიქცა - მსაჯმა "ლოკომოტივის" კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა. მასპინძელთა პროტესტს შედეგი არ გამოუღია - **ხარიტონაშვილი** შეუვალი აღმოჩნდა. ტატანაშვილმაც არ გაუშვა შანსი ხელიდან - 1:0.

დარჩენილ წუთებში "ლოკომოტივი" ბევრს კი ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და გადათამაშების საფრთხე ბოლო ტურებში უნდა აიცილოს.

**დავით მეფარიშვილი**

**ზესტაფონი-ტორპედო**

**2:0**

5.05. ზესტაფონი. ცენტრალური
5000 მაყურებელი

1:0 ვიეირა (11. თოდუას პასით), 2:0 იონანიძე (59. კვასხვაძის პასით)

ზესტაფონი: ჭანტურია, დოს სანტოსი, ონიანი, თოდუა, კ.ჩხეტიანი, ჭელიძე (74. ლეანდრო), კესანი(63. ნოზაძე), ვიეირა, კვასხვაძე, ფიფია (63. ჟონატასი), იონანიძე

*სათადარიგოები: რ.კვასხვაძე, გ.ჩხეტიანი, ხიდეშელი, საჯაია,*

ტორპედო: ქვილითაია, ტაბიძე (74. კვერნაძე), გურული, ბარაბაძე, ხურცილავა, ზივზივაძე, ზ.ჩხეტიანი, კირკიტაძე, ნადირაძე, გოდერიძე (62. კვეტენაძე), ქუთათელაძე (77: მდივნიშვილი)

*სათადარიგოები: ოდიშარია, დანელია, ნაჭყებია, გორგოძე*

არბიტრი: დავით სანაია

# ჯანაშიას დებიუტი და მახარაძის რეპეტიცია

ბოლო ორი წელიწადია იმერულ დერბიში ფავორიტად „ზესტაფონი" ითვლება, თუმცა „ტორპედო" ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ყოველთვის ჯეროვან წინააღმდეგობას უწევდა. მიუხედავად იმისა, რომ სატურნირო და ფინანსური თვალსაზრისით გუნდები არათანაბარ ვითარებაში იმყოფებოდნენ, მეზობელთა დაპირისპირება ახლაც დიდ ინტერესს იწვევდა.

„ტორპედოსთან" მატჩი ზესტაფონელთათვის სიუბილეო გახლდათ. ეს იყო მე-400 შეხვედრა, რომელსაც იმერლები საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ატარებდნენ. (1991-98 წელს ფეროელთა ქალაქის ღირსებას „მარგვეთი" იცავდა, 2001-03 წლებში უმაღლესში „მეტალურგი" გამოდიოდა, 2004 წლის შემდეგ კი - „ზესტაფონი"). ასე რომ, „ზესტაფონს" გასამარჯვებლად დამატებითი მოტივაციაც გააჩნდა.



დათო ჯანაშია

იმერული დერბი „ტორპედოსთვისაც" არ იყო უმნიშვნელო. მატჩამდე ორი დღით ადრე ქუთაისური გუნდის საწვრთნელო შტაბში ცვლილება მოხდა, მთავარ მწვრთნელად 35 წლის **დავით ჯანაშია** დაინიშნა, რომელმაც მეორე წრეში ფეხბურთელის რანგში, „ტორპედოში" რამდენიმე შეხვედრა ჩაატარა. ჯანაშია **გიორგი კიკნაძის, ჯემალ ხერხაძისა** და **მიხეილ კვერნაძის** შემდეგ, რიგით მეოთხე მწვრთნელია, რომელმაც სეზონის მეორე ნახევარში ქუთაისური გუნდი მოედანზე გაიყვანა. შეიძლება ითქვას, რომ „მრისხანე" „ზესტაფონთან" მისი დებიუტი თავიდანვე განწირული იყო, თუმცა ნაგებულ თამაშშიც გამოჩნდა ახალგაზრდა მწვრთნელის ღირსებები და პერსპექტივა. ჯანაშიამ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის შანსი, რომლებიც ცუდად არ გამოიყურებოდნენ. ქუთათურები 90 წუთის განმავლობაში იბრძოდნენ და რაც შეეძლოთ ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მთავარი მწვრთნელისთვის დებიუტი არ გაეფუჭებინათ, მაგრამ რას იზამ, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის. ზესტაფონიდან ქულის წამოღება უპატრონო გუნდს კი არა, ჩემპიონატის ლიდერებსაც უჭირთ.

შეხვედრა საშუალო ტემპში დაიწყო. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა. მასპინძელთა პირველივე სახიფათო იერიშს გოლი მოჰყვა. მე-11 წუთზე **თოდუამ** საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა გააკეთა. ბურთთან სიჩქარეაკრეფილი **ვიეირა** გაჩნდა და ყუმბარისებური დარტყმით ლამის კარის ბადე გაარღვია - 1:0.

მე-13 წუთზე **კესანის** დარტყმა **ქვილითაიამ** იოლად მოიგერია. ცოტა ხანში **იონანიძის** მკერდით დაგდებულ ბურთს **ფიფია** ურტყამდა, მაგრამ სიზუსტე დააკლდა. მე-19 წუთზე **ჩხეტიანის** გადაცემის შემდეგ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი, ვიეირა ურტყამდა და ქვლითაიამ კვლავ იმარჯვა.

ამის შემდეგ ბურთმა კვლავ მოედნის ცენტრში გადაინაცვლა და პირველ ტაიმში მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა მეტოქის შევიწროება დაიწყეს. სათანადოდ მოუმზადებელ „ტორპედოს" ზესტაფონელთა შეტევების შესაჩერებლად ძალები აღარ ჰყოფნიდათ. 57-ე წუთზე ფიფიას კუთხურის შემდეგ კესანმა თავით ძლიერად დაარტყა. ქუთათურები ამ ეპიზოდში **კირკიტაძემ** იხსნა, რომელმაც ბურთი კარის ხაზიდან მოიგერია. ზესტაფონელთა მორიგ შეტევას მეორე გოლი მოჰყვა: 59-ე წუთზე **ჭელიძე-კვასხვაძე-იონანიძის** კომბინაცია ვეტერანმა ფორვარდმა ორიოდე მეტრიდან გოლით დააგვირგვინა - 2:0

ამის შემდეგ **თემურ მახარაძემ** მოედანზე ბრაზილიელები **ლეანდრო და ჟონატასი** გამოიყვანა და ზესტაფონელებმა თამაში ხუთი ლეგიონერით გააგრძელეს. განსაკუთრებით კარგად თამაშში ლეანდრო ჩაერთო, მოედანზე გამოჩენისთანავე ბრაზილიელმა საგოლე მომენტი შექმნა, მისი თავურისას ტორპედოელები გოლისგან მეკარემ იხსნა. ბოლოს ქუთაისელებს შეეძლოთ ერთი ბურთის გაქვითვა. შეცვლაზე შემოსულმა **კვეტენაძემ** იბრძოლა და სამ მცველს დაუსხლტა, მაგრამ კარში დარტყმა მაინც ვერ მოახერხა.

## მატჩის შემდეგ

**დავით ჯანაშია (ტორპედო):** „ყველამ იცით თუ რა დღეშია ქუთაისის „ტორპედო". ჩვენ არანაირი საარსებო პირობა არა გვაქვს. მიკვირს კიდეც როგორ თამაშობენ ბიჭები. დღეს ჩემი დებიუტი იყო, ფეხბურთელებს ძალა და ენერგია არ დაუზოგავთ, რომ ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ ღირსეულად ეასპარეზათ, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდი. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას და იმედია, ქუთაისის „ტორპედოს" პატრონიც მალე გამოუჩნდება."

**თემურ მახარაძე (ზესტაფონი):** „ჩვენ ყველა თამაშს თასის ფინალისთვის მოსამზადებელ ეტაპად განვიხილავთ და კარგი იყო, რომ მეტოქემ ჯეროვანი წინააღმდეგობა გაგვიწია. ჩემს კოლეგას ვულოცავ დებიუტს და სამწვრთნელო ასპარეზზე დიდ წარმატებებს ვუსურვებ... დღეს ტრავმების გამო საჯაია და ლონღაძე გვაკლდა, თუმცა დაცვაში კარგად წარმოაჩინა თავი დოს სანტოსმა. მისი წყალობით წამყვანი მცველების არყოფნა არ გვიგრძვნია. იმედია, დაშავებული ფეხბურთელები მწყობრში მალე ჩადგებიან და თასის ფინალს სრულ მზადყოფნაში შეხვდებიან.

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# დაგვიანებული, ნანატრი ბავშვივით

**კახეთი-სიონი**

**1:1**

5.05. თელავი. გ. ჩოხელი
700 მაყურებელი

1:0 ჩუთლაშვილი (10. ბიძინაშვილის პასით), 1:1 ბაჯელიძე (65. პენ).

კახეთი: იაშვილი, მ. ხიდაშელი, მურველაშვილი, იოსებაშვილი, გერგიშვილი, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი (55. მელიქიშვილი), კევლიშვილი (75. ძამუკაშვილი), ბიძინაშვილი, გ. ხიდაშელი, ბედოევი (61. ტეტიაშვილი).

*სათადარიგოები: ქუფრაშვილი, აბდუკაევი, ბურნაძე*

სიონი: ბობლიაშვილი, სვანიძე, ჭელიძე, ოქროპირიძე, ჩხეტიანი, ბაჯელიძე, კობაური, ბუბუტეიშვილი (19. უგრეხელიძე), ბაბუნაშვილი (75. გიგინეიშვილი), ქარდავა (34. ცხადაძე), ჩასემი.

*ჩათადარიგოები: მამალაძე, რაქვიაშვილი, უგულავა*

გაფრთხილება: ბიძინაშვილი (35)

არბიტრი:

როგორც კახელები იტყვიან ხოლმე, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, "სიონი" თავს "ნელ-თბილად" გრძნობდა. ერთი ქულის ანაბარა მყოფი "კახეთი" კი ამ სირცხვილისგან თავის დახსნის ცდაშია. ბოლო-ბოლო, თუ შვილები არა, შვილიშვილები მოჰკითხავენ პაპებს - რა იყო ასეთი ანტირეკორდიო. სხვათა შორის, წარუმატებელ "კახეთს" მაყურებელი მაინც აკითხავს და გულშემატკივარიც წარმატებულ დედაქალაქურ გუნდებზე მეტი ჰყავს.

დასწაყისშივე "კახეთი" მეტ აგრესიულობასა და ზეომალნიშნულიდან გამომდინარე, მოტივაციასაც იტყობდა, ვიდრე ნაპატიები "სიონი". პირველად **ბაბუნაშვილმა** და **სვანიძემ** გაილაშქრეს მასპინძელთა კარისკენ, მაგრამ **ჭაჭუას** გამჭრიახმა თვალმა თამაშგარე დააფიქსირა. მეათე წუთზე დიდი ფეხბურთის ეპიზოდი ვიხილეთ, **ბიძინაშვილმა** გენიალური პასი "დაუხატა" **ჩუთლაშთილს** და მანაც არანაკლებ ეფექტური გოლი შეაგდო - 1:0. ავტორიტეტულმა "სიონმა" თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ტემპს მოუმატა, მაგრამ ეტყობა, "ამერთან" დრამატული სათასო მატჩის შემდეგ, ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულა და რეალური ძალის გამოჩენისგან შორს იყო. კახელები მედგრად იცავდნენ თავს, განსაკუთრებით კი უკანახაზელები (იოსებაშვილი, მურველაშვილი, გერგიშვილი) გამოიყურებოდნენ კარგად. 30-ე წუთზე **ქარდავას** თავური **იაშვილმა** ბოლო მომენტში თითებით მოიგერია. მალე კამერუნელი **ჩასემი** შეეცადა კახელების გაკვირვებას და მაკრატელათი სცადა კარის აღება. 35-ე წუთზე **კევლიშვილის** შორიდან გასროლილს ბიძინაშვილმა მიმართულება შეუცვალა და **ბობლიაშვილის** კარი ძელმა იხსნა.

შესვენების შემდეგ ბოლნისელები გააქტიურებულები მეჩვენნენ, მაგრამ მათ თამაშს სიმწყობრე და რაც მთავარია, "ჟილკა" აკლდათ. იქნებ კახელების დამსახურებაც იყო ეს. ყოველ შემთხვევაში, უპირატესობის მოპოვება და გოლის მომწიფება ვერ შეძლო სტუმარმა, თუმცა 53-ე წუთზე **ბაბუნაშვილ-ცხადაძის** სხარტულა კომბინაციის შედეგად იაშვილს კარის ხაზიდან ფეხით მოუწია ბურთის მოგერიება. და მაინც ილბალი მათ მხარეს აღმოჩნდა - 65-ე წუთზე "კახეთის" ერთ-ერთმა მცველმა თავისივე ფეხით დარტყმულს ტანი ვერ მოაცილა და ხელზე მოიხვედრა ბურთი - პენალტის რეალიზება **ბაჯელიძეს** არ გასჭირვებია - 1:1. 78-ე წუთზე ჩასემმა იაშვილის პირისპირ გაიყვანა ცხადაძე, თუმცა მეკარემ კვლავ იმარჯვა. მატჩის მიწურულს კახელებმა გაიბრძოლეს და პირველი გამარჯვების მიღწევა სცადეს, თუმცა ერთი ქულა მათთვის მაინც შენაძენია - დაგვიანებული ნანატრი ბავშვივით!

**ნიკო ვაყელიშვილი**
თელავიდან

**ვიტ ჯორჯია-ბათუმი**

**0:0**

5.05. მცხეთა. არმაზი.
90 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, მელქაძე, სახოკია (75. კვალინიძე), ბერიაშვილი, ლუჭაშვილი (55. ბეჭვაია)

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, ადამაძე, ინჯგია, ლიპარტია*

ბათუმი: სომხიშვილი, თედორაძე, გალოგრე, ლობჟანიძე, ხოხონიშვილი, კუნჭულია, ცანავა, ნერგაძე, შალამბერიძე (69. მაკარიანი), დარჩიძე (83. ბეჟანიძე), კვარაცხელია (90. ტულუში)

*სათადარიგოები: ბექთაშევი, ფარტენაძე, ბაციკაძე, კერესელიძე*

გაფრთხილება: გალოგრე (26), ცანავა (71)

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

# სომხიშვილის გმირობა და ნულოვანი ტრადიცია



გიორგი სომხიშვილი

მიმდინარე ჩემპიონატში "ვიტ ჯორჯიამ" მეშვიდე ნულოვანი ფრე ითამაშა და აქედან მეხუთე საკუთარ მოედანზე. ამ არცთუ სახარბიელო მაჩვენებლის თავი და თავი ვეტერინართა წინა ხაზის უშედეგო გარჯაა. თავდასხმა **ნესტორ მუმლაძის** გუნდის საუკეთესო რგოლი არასდროს ყოფილა, საუკეთესო ბომბარდირის, **ნიკა გელაშვილის** ბელგიურმა ვოიაჟმა კი "ვიტ ჯორჯიას" შემტევი პოტენციალი კიდევ უფრო შეასუსტა.

მასპინძლებმა ბევრი კი იაქტიურეს, მაგრამ ბათუმური დაცვა და განსაკუთრებით, მეკარე **გიორგი სომხიშვილი**, მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. ამ უკანასკნელმა თავის გუნდი არაერთხელ იხსნა და საერთოდაც, მოედანზე საუკეთესო იყო.

"ბათუმთან" მატჩი ისეთივე სცენარით წარიმართა, როგორც ჯორჯიელთა სხვა ნულოვანი შეხვედრები. თამაშის უდიდესი ნაწილი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, როგორც ამგვარ დაპირისპირებებში ხდება ხოლმე, მუმლაძის შეგირდებს ამჯერადაც რამდენჯერმე შეეძლოთ მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრა.

პირველი რეალური ხიფათი 25-ე წუთისთვის შეიქმნა, როცა **ბერიაშვილის** პასით **ლუჭაშვილი** ცდილობდა "ბათუმის" კარის აღებას, მაგრამ ხიფათი სტუმართა მცველმა განმუხტა. რამდენიმე წამში სომხიშვილმა ითამაშა დამაჯერებლად და **გიორგი დათუნაიშვილს** თავურის გატანა არ დაანება.

უშანსოდ არც **გოგიტიძის** გუნდი ყოფილა. შეტევებში გართულ ჯორჯიელებს მეტოქის მწვავე კონტრიერიში გამოეპარათ, **კვარაცხელია** მეკარესთან პირისპირ გავიდა, **ბედიაშვილს** ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ მიზანს ააცილა. ტაიმი **სახოკაის** არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა უპირატესობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. ორწუთიან მონაკვეთში "ბათუმი" ორ რეალურ გოლს გადაურჩა. ჯერ **ლომაიას** თავური ასცდა კარს სანტიმეტრებით, შემდეგ კი სომხიშვილმა ზედიზედ მოიგერია **რაზმაძისა** და **ბეჭვაიას** დარტყმები.

მალე "ბათუმის" კარის დარაჯმა კიდევ ერთი გმირობა ჩაიდინა, როცა თავისი გუნდის კარი ლომაიას მიერ სამიოდე მეტრიდან შესრულებული დარტყმისგან გადაარჩინა. მოკლედ, შაბათს სომხიშვილის დღე იყო, ვეტერინარებს კი გატანა არ ეწერათ.

რამდენიმე წუთში რაზმაძემ ხარიხას გაარტყა, ბერიაშვილს კი მეკარემ აჯობა. 65-ე წუთის შემდეგ "ვიტ ჯორჯიას" დალლა დაეტყო, მეტი რეალური მომენტი აღარ შეუქმნია.

ბუნებრივია, სატურნირო ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი "ბათუმისთვის" მონწინავეთა შორის მყოფთან მოპოვებული ქულა შენაძენია, დანაკარგმა გული არც მუმლაძის ბიჭებს უნდა დასწყვიტოს. "ვიტ ჯორჯიას" მდევარი "სიონი" ვერაფრით დაეწევა, ინტერტოტოს საგზურის ბედი კი მხოლოდ ვეტერინართა ხელთ არაა. ყველაფერი საქართველოს თასის ფინალზეა დამოკიდებული, "ჯორჯია" ევროპაზე "ზესტაფონის" გამარჯვების შემთხვევაში გავა.

**კახა გიორგაძე**

**ჩიხურა-ბორჯომი**

**1:0**

5.05. გორი. ქართლი.
50 მაყურებელი

1:0 დვალი (20. მიქაძის პასით)

ჩიხურა: სტურუა, ბარამიძე, ქემოკლიძე, გიგაური, გვეტაძე, თავბერიძე, მახარაძე (57. ქუხილავა), ი. ზაბახიძე, ვაშაკიძე, გ. მიქაძე, დვალი

*სათადარიგოები: მწყერაშვილი, როგავა, ვ. ზაბახიძე, მ. მიქაძე.*

ბორჯომი: შეყრილაძე, ქარქუზაშვილი, გოგიჩაიშვილი, ლომიძე, თედიაშვილი (88. კაიდარაშვილი), ლაზარაშვილი (73. ტალახაძე), მემარნიშვილი, ღონლაძე, კვერნაძე, საყვარელიძე, ლ. მერებაშვილი

*სათადარიგოები: ასაბაშვილი, კოშკაძე, ჯიქია*

გაფრთხილება: მერებაშვილი (12)

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

# უფულო ჩიხურა უფრო მშვიდად არის

„ქართლზე“ მორიგი ტურის მატჩის სანახავად მისულს, ბოლო ხანს ჩვენი ქვეყნის ტელევიზიების ეკრანებზე დატრიალებული სარეკლამო რგოლები გაგახსენდება, სადაც მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები ქართველებს საქართველოსავე საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებზე დასწრებისკენ ქართულ ენაზე მოგვიწოდებენ. რა თქმა უნდა, მარტოოდენ რეკლამით ტრიბუნები ვერ შეივსება, საამისოდ ფეხბურთის დონის ამაღლებაა საჭირო. რაც ზემო იმერლები გორში ასპარეზობენ, მათ თამაშებზე 50 მაყურებელზე მეტს ვერ ნახავ კაცი, ზოგჯერ კი თითო-ოროლა დამსწრის გვარსაც დაწერდა კაცი.

რა შეიძლებოდა ენახა იმ გულშემატკივარს, ვინაც „ქართლზე“ არ ყოფილა „ჩიხურა“-„ბორჯომის“ მატჩზე? ის, რითაც ფეხბურთი ლამაზია, ამ მატჩში არ იყო. ერთადერთი, რაც გამოკვეთილად ჩანდა, მოთამაშეთა მონდომება გახლდათ.

უცნაურია, მაგრამ საჩხერელები ფინანსური პრობლემების შემდგომ უფრო უკეთ თამაშობენ. მეორე წრეში ჩატარებული მატჩებში ფეხბურთელები ჟინსა და ენერგიას არ აკლებენ თამაშებს და შედეგსაც დამსახურებულად იმკიან. ეს გუნდი ახლა უკვე მშვიდადაა და დიდი შანსია გადათამაშების გარეშეც მოახერხოს ლიგაში დარჩენა.

ორივე ტაიმმა ენერგიულ ბრძოლაში ჩაიარა. მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფეხბურთელებს რაიმე განსაკუთრებული სანახაობა არ შემოუთავაზებიათ და არც სახიფათო თუ საგოლე მომენტები ყოფილა მრავლად, მაგრამ იყო ბრძოლა თავიდან ბოლომდე მოედნის თითოეულ მონაკვეთზე.

გამოკვეთილი უპირატესობა არცერთ გუნდს არ ჰქონდა. ბურთი, ძირითადად, მოედნის ცენტრში ტრიალებდა. ერთადერთ გატანილ გოლამდე კი უფრო **ვლადიმერ ხაჩიძის** შეგირდები ფლობდნენ მცირე ტერიტორიულ უპირატესობას და პირველად სწორედ მათ მართებდათ გატანა. მე-17 წუთზე **ლევან ლაზარაშვილის** ჩაწოდებულზე მცველებს **რევაზ კვერნაძემ** დაასწრო, თუმცა მისი თავური მცირედით ასცდა **სტურუას** კარს. საპასუხოდ სამ წუთში ნომინალურმა მასპინძლებმა გოლი გაიტანეს. თავისი გუნდის შეტევისას საჯარიმოს მისადგომებიდან **ჯაბა დვალმა** მარჯვნივ გახსნილ **გიორგი მიქაძესთან** გაითამაშა ბურთი, დაბრუნებულს კი უკვე კარიდან ხუთიოდ მეტრში დახვდა და ვინაიდან მცველებმაც ვერაფერი მოუხერხეს, იოლად გაუტანა **შეყრილაძეს** - 1:0.

დაწინაურების შემდეგ „ჩიხურამ“ კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით შეუტია. მართალია, „ბორჯომის“ კართან რეალურ ხიფათს ვერ ქმნიდნენ, თუმცა მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელებს მოსვენებას არ აძლევდნენ. შესამჩნევი იყო დვალისა და მიქაძის აქტიურობა. პირველი ტაიმის ბოლოს "ბორჯომს" ერთხელაც შეეძლო გატანა. **გიორგი მემარნიშვილის** დარტყმულისგან „ჩიხურა“ ძელმა იხსნა.

ალსანიშნავი მეორე ტაიმშიც ბევრი არაფერი ყოფილა. „ბორჯომმა“ ანგარიშში ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად შეტევებს უმატა, ხოლო საჩხერლები კონტრშეტევებით დაკავდნენ. მონდომების სიჭარბის კვალობაზე ორივე გუნდის ფეხბურთელები, განსაკუთრებით კი შემტევნი, გვარინად არაპროდუქტიულნი იყვნენ. არც შეცვლაზე შემოსულ მოთამაშეებს მოუხდენიათ რაიმე გარდამტეხი თავიანთი გუნდების თამაშში. მოწინააღმდეგეთ მთელ მეორე ტაიმში თითოჯერ, ისიც ორწუთიან მონაკვეთში, ჰქონდათ მომენტები, როცა ბურთს კარის ბადე უნდა შეერხია. 78-ე წუთზე დვალის პასი **გვეტაძემ** სუსტად დარტყმის გამო ვერ აქცია გოლად, ერთ წუთში კი ბორჯომელი **თედიაშვილის** ჩაწოდებულზე **ლომიძემ** ახლოდან შეუჩერებლივ დაარტყა, მაგრამ მცველებმა იმარჯვეს...

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

**მერანი-დილა**

**0:0**

5.05. თბილისი. შევარდენი
50 მაყურებელი

მერანი: სეფიაშვილი, კედელაშვილი, ჯანგიძე, ფურთუხია (77. კეტაშვილი), აფშილავა, კობერიძე, ბესარაშვილი, ფურცელაძე (45. გაგუა), ქორიძე, ჩივაძე (45. ქემაშვილი), ზედელაშვილი.

*სათადარიგოები: ლომიძე, სარალიძე, ზირაქიშვილი.*

დილა: თევდორაძე, ბალიაშვილი, ყველაშვილი, დ. ხანიშვილი, ტლაშაძე (75. ჩიტაია), კ. ხანიშვილი, ლომაშვილი, ვარდოსანიძე, გონჩაროვი, კობახიძე (60. ნოზაძე), წინამძღვრიშვილი (45. სამადაშვილი).

*სათადარიგოები: სავანელი, ლომიძე*

არბიტრი: მ. მაისურაძე

# დილამ მერანი ფლეი ოფს მიუახლოვა

"შევარდენზე" გამართული მატჩი სულაც არ ჰგავდა აუტსაიდერთა ბრძოლას, კიდევ კარგი, მეორე ტაიმში გუნდებმა თამაში ოდნავ მაინც გამოასწორეს, თორემ ის მცირერიცხოვანი გულშემატკივარიც მალევე დატოვებდა სტადიონს.

მატჩის დასაწყისში, მერანელებს ჰქონდათ შანსი ესარგებლათ **ბალიაშვილის** შეცდომით, მაგრამ თანაგუნდელის შეცდომა **კობახიძემ** გამოასწორა და გუნდი მეტად სახიფათო მომენტისგან იხსნა. მალევე გორელებს მიეცათ გოლის გატანის შანსი - ვარდოსანიძის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი **წინამძღვრიშვილმა** კარგად ვერ დაამუშავა და ბურთი წინ გაექცა... ალსანიშნავია მერანელთა შეუთანხმებელი თამაში, ხშირად ფეხბურთელები ერთმანეთს უშლიდნენ ხელს. ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდში მერანელებმა მოწინააღმდეგის საჯარიმოში ბურთი დაკარგეს სწორედ იმის გამო, რომ ერთმანეთს შეუშალეს ხელი დარტყმაში. პირველ ტაიმში კიდევ ორი მომენტის გამორჩევა თუ შეიძლება - **ფურთუხიას** დარტყმული, რომელიც მცირე რიკოშეტის შემდეგ კარს ასცდა, წინამძღვრიშვილის დარტყმულს კი **ჯანგიძე** გადაეღობა.

მეორე ნახევარში გუნდები გააქტიურდნენ. თბილისელთა გააქტიურება **გაგუასა** და **ქემაშვილის** დამსახურებაა. გაგუამ რამდენიმე სახიფათო გადაცემა გაუკეთა თანაგუნდელებს, მაგრამ ერთ ეპიზოდში ქემაშვილს გაექცა ბურთი, მეორე შემთხვევაში კი **ქორიძე** ვერ დაეწია ბურთს. მერანელებმა თამაშის ხარისხიც გამოასწორეს და ბურთის ფლობის მხრივაც მიაღწიეს დიდ უპირატესობას, მაგრამ შექმნილ მომენტებს ვერა და ვერ იყენებდნენ. გორელებმა ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი შექმნეს, როდესაც **სამადაშვილის** პასით ხანიშვილი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ **სეფიაშვილმა** იყოჩალა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

**ავთო ცეცხლაძე**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge


არჩევნებამდე

# ესეც დელეგატები...

გუშინ, ფეხბურთის ფედერაციაში, 13 მაისის ყრილობისა და საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით კიდევ ერთი პრესკონფერენცია გაიმართა, სადაც მასმედიას გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** და გენერალური სამდივნოს საერთო განყოფილების ხელმძღვანელი **რევაზ შენგელია** წარუდგნენ.

*"4 მაისს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატების, ყრილობის დელეგატებისა და ალმასკომის კანდიდატთა წარდგენის ვადა ამოიწურა. ფედერაციის პრეზიდენტობის სამი კანდიდატურაა რეგისტრირებული - ბატონები ნოდარ ახალკაცი, გიორგი ნემსაძე და მამუკა კვარაცხელია.*

*ფეხბურთის ფედერაციის 33 სუბიექტიდან, უმაღლესი ლიგის 14 კლუბს ყრილობაზე თითო დელეგატი ეყოლება ხმის უფლებით. დანარჩენი 19 სუბიექტიდან კი 3-3 დელეგატი იქნება წარმოდგენილი. ამ სამიდან მხოლოდ ერთს ექნება ხმის მიცემის უფლება, დანარჩენი 2 კი სათათბირო ხმის უფლებით იქნება წარმოდგენილი", - აღნიშნა უჩა უგულავამ.*

ყრილობის დელეგატთა ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

სფფ-ის XII. საარჩევნო-საანგარიშო ყრილობის ხმის უფლების მქონე დელეგატები (ანბანის მიხედვით):

1. **გიორგი არევაძე** – ს. კ. სიონი
2. **შოთა ბაქრაძე** - ეზოს ფეხბურთის ასოციაცია
3. **მერაბ ბერიძიშვილი** - ქალთა ფეხბურთის ფედერაცია
4. **ვახტანგ ბზიკაძე** – ფ.კ. ამერი
5. **პაატა ბურჯალიანი** - პროფესიული ფეხბურთის ლიგა
6. **თემურ გიგუაშვილი** - შიდა ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
7. **ამირან გოგიტიძე** – ს.კ. ბათუმი
8. **გიორგი გოგოლაძე** - ქვემო ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
9. **ოთარ გუნთაძე** - მსაჯთა და ინსპექტორთა ასოციაცია
10. **ლაშა დარასელია** - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
11. **გიორგი დევდარიანი** – ს.კ. ბორჯომი
12. **კახა დევდარიანი** - ფუტსალის ასოციაცია
13. **იაკობ ზაქარეიშვილი** - გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
14. **ვაჟა თოფურია** – ს.კ. ლოკომოტივი
15. **მალხაზ კაკაკურიძე** – ს.კ. ვიტ ჯორჯია
16. **პაატა კიკვაძე** - რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
17. **ილია კოკაია** – ს.კ. ზესტაფონი
18. **ოთარ კორღალიძე** - თბილისის ფეხბურთის ფედერაცია
19. **სერგო კოტრიკაძე** - ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი
20. **მიხეილ ლურსმანაშვილი** – ს.კ. დილა
21. **გოჩა მამაცაშვილი** – ს.კ. კახეთი
22. **მერაბ მეგრელაძე** - იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
23. **ჯამბულ მელაძე** – ს.კ. ტორპედო
24. **ვაჟა ჟვანია** - ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი
25. **გოჩა როსტომაშვილი** - კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
26. **ბადრი ქაჯაია** - აჭარის ფეხბურთის ფედერაცია
27. **ამირან ლიბრაძე** – ს.კ. დინამო
28. **ტარიელ შავერდაშვილი** – ს.კ. ოლიმპი
29. **პაატა ჩხეიძე** – ს.კ. მერანი
30. **ზურაბ ცერცვაძე** – ს.კ. ჩიხურა
31. **დიმიტრი ჭანტურია** - აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია
32. **პაპუნა ხაჩიძე** - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
33. **გოჩა ჯამარაული** - მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია

**დავით ცაბაძე**



პეტარ სეგრტი, გრიგოლ ცაავა, ნოდარ ახალკაცი და დიმიტრი სანაკოევი www.gff.ge

# ახალკაცი ქურთაში, თამარაშენსა და აჩაბეთში

გუშინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი გრიგოლ ცაავა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი პეტარ სეგრტი სოფელ ქურთას, თამარაშენს და აჩაბეთს ესტუმრნენ.

ნოდარ ახალკაცი სოფელ ქურთაში ბატონ დიმიტრი სანაკოევს შეხვდა და მასთან ერთად გაემგზავრა თამარაშენში, სადაც ადგილობრივი გუნდების თამაშს დაესწრო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დელეგაცია ადგილობრივ მოსახლეობას და ფეხბურთელებს შეხვდა: სტუმრებმა ბავშვებს საჩუქრები, სფფ-ის სლოგანით "ჩვენ ერთი გუნდი ვართ" დამშვენებული მაისურები და შარფები, ასევე ფეხბურთის ბურთები გადასცეს.

სფფ-ის პრესცენტრი

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

# 34 წლის შოთა არ თმობს

## ოპერაციას გავიკეთებ და კიდევ ვითამაშებ



შოთა არველაძე

**გუშინ "ალკმაარი" ჰოლანდიის თასის ფინალში ამსტერდამის "აიაქსთან" დამარცხდა. ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, დამატებითში გოლი არ გასულა, ხოლო პენალტებში "აიაქსმა" 8:7 იმარჯვა. შოთა არველაძემ სრულად ითამაშა და პენალტების სერიაში პირველი 11-მეტრიანიც ზუსტად შეასრულა. "ალკმაარი" სეზონში უტიტულოდ დარჩა, არადა დუბლიც შეეძლო - ერედივიზიონში ბოლო ტურის წინ გალიდერდა, მაგრამ დასკვნით მატჩში "ექსელსიორთან" მოეცარა ხელი.**

**არველაძეს ჰოლანდიაში გუშინვე შევეხმიანეთ. -**

- "აიაქსს" გამარჯვება არ ეკუთვნოდა, ჩვენ უკეთესად ვითამაშეთ, ხუთი საგოლე მომენტი გვქონდა. დამატებითი დროის ბოლო წუთზე თავით ნახტომში დავარტყი და ბურთი ძელ-ხარიხის გადაკვეთას მოხვდა. როგორც ჩანს, "ალკმაარი" დათარსულია. დღეს ნაღდი გოლი არ ჩაგვითვალეს და ასპროცენტიანი პენალტიც არ დაგვინიშნეს.

**- პენალტების სერია შენ დაიწყე. ეს ლუის ვან გაალის დავალება იყო?**

- არა, მწვრთნელმა უბრალოდ იკითხა, პირველი პენალტს ვინ დაარტყამსო და...

**- მაინც რა სჭირს "ალკმაარს", რატომ ვერ იგებს გადამწყვეტ მატჩებს?**

- განსაკუთრებული არაფერია, ეს ფეხბურთია და წარმატებული გუნდები ხშირად ასე იჩეკებიან, თუმცა იღბალიც საჭიროა.

**- ქრონიკული ტრავმა როგორ გაქვს?**

- არ მეგონა, 120 წუთი თუ მომიწევდა თამაში. მუხლი ახლა ძალიან მაგრად მტკივა.

**- ამ სეზონში უტიტულოდ რომ დარჩი, ეს კარიერის დასრულებისკენ უფრო გიბიძგებს თუ პირიქით, ერთხელაც შეეცდები რაიმე ტიტულის მოპოვებას?**

- სავსებით შესაძლებელია, უახლოეს დღეებში მუხლზე ოპერაცია გავიკეთო, რათა სახსარი ამოვიწმინდო ხრტილოვანი ნაფშვენებისგან, თორემ ასეთი მუხლით და ასეთი ტკივილით თამაში უკვე შეუძლებელია.

**- უახლოეს დღეებში ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის "ალკმაარს" ფლეი ოფის მატჩები ელის...**

- თუ ოპერაცია ახლავე არ გავიკეთე, მომდევნო სეზონისთვის დასვენება ფაქტობრივად არ მომიწევს, მთელი დარჩენილი დრო სარეაბილიტაციო პერიოდს უნდა მოვანდომო. დასვენება კი აუცილებელია, ამის გარეშე ახალ სეზონს უბრალოდ ვერ ვითამაშებ. მოკლედ, თუ ოპერაციას გავიკეთებ და სარეაბილიტაციო პერიოდიც კარგად ჩაივლის, ფეხბურთს კიდევ ვითამაშებ.

**დავით თავართქილაძე**

# ღია წერილი

## კახა კალაძეს და გიორგი დემეტრაძეს

ჩემო კახა და გიორგი...

ნავიკითხე "ლელოში" თქვენი წერილი და გულში რაღაცა ჩამწყდა, რამეთუ მე ის პატარა გიორგი და პატარა კახაც მახსოვს, ჩვენმა საერთო მეგობარმა ბესო კირვალიძემ რომ გამაცნო დილმის ბაზაზე. 1992 წელს ბესომ მთხოვა, ერთი შვილობილი მყავს, თელავის "კახეთში" თამაშობს და იქნება სტატია დავწეროთ, პატარა ბიჭი რომ წავახალისოთო. ასე გავიცანი დაბალი, შავტუხა 16 წლის გიორგი. პირველი სტატიაც უმალ გამოვაცხვე გაზეთ "ივერია ექსპრესში". ორიოდ წელიწადში ისევ ბესომ მთხოვა ბაზაზე მისვლა და კიდევ ერთი 16 წლის მორცხვი ბიჭი გამაცნო – დაიმახსოვრე, ეს რა ფეხბურთელი დადგებაო. ბესოს ყვითელ "ნოლ შესტში" ვიჯექით და პატარა კახას რომ ვუთხარი, შენზე "სარბიელში" სტატიას დავწერ-მეთქი, თავი ჩაღუნა და გაწითლდა...

დღეს ეს ბიჭები ვარსკვლავები არიან და მეამაყება, რომ პატარაობიდანვე ვიცნობ, ამიტომაც ჩემთვის სულ ერთი არ არის, რა აზრისანი არიან ისინი ქართულ ფეხბურთში დატრიალებულ მოვლენებზე, რამეთუ მე დიდ მიზნებს შევეჭიდე და კალაძეც და დემეტრაძეც ის ხალხი მგონია, ვინც კარიერის დამთავრების შემდეგაც ქართული ფეხბურთის სამსახურში უნდა ჩადგეს...

განა ახალკაც-დარსაძის დუეტი არ იყო, 11 ზესტაფონელი რომ მიიწვია ეროვნულ გუნდში თქვენს თვალწინ? განა მათ არ დაუხშეს კარი შოთა არველაძესა და ალექსანდრე იაშვილს? განა მათ არ გააძევეს ჟირესი, მეორე ადგილზე რატომ ვერ გადიხარო? განა ვერ ხედავდით თქვენი თვალით, ვინ იყო ფედერაციის რეალური მმართველი? გიორგი, გულზე ხელი დაიდე და თქვი, იყო თუ არა პენალტი ურუგვაისთან? იცით, რომ ის უკრაინელი მსაჯი თამაშის შემდეგ კიდევ სამი დღით დარჩა თბილისში? ან როგორ შეიძლება ურუგვაისა და თურქეთზე მეტი საგოლე მომენტი ფარერელმა მეცხვარეებმა შეგვიქმნან?

ბიჭებო, ნუთუ არ იცით, რა ხდება ეროვნულ ნაკრებში? ნუთუ სწორი გზით სიარული ჰქვია ქვეჯგუფში მეხუთე ადგილზე ჩანჩალს? ნუთუ 16 მატჩში ვერმოგებული 13 მეორე ტაიმიც არ არის დადასტურება, რომ კლაუსი სუსტი სანაკრებო მწვრთნელია, ნუთუ დემეტრაძე (ან ვინმე საერთოდ!) მიხვდა შოტლანდიაში, რატომ დაწია იგი უკან ტოპმიოლერმა და ნააგო თამაში? ნუთუ ცხრაკაციან მოყვარულ ფარერებთან თამაშითაც კმაყოფილი ხართ? ნუთუ არ იცით, რატომ არ იძახებენ ვასო გოგიაძეს? ვინ-ვინ და თქვენც ხომ უკრაინის ჩემპიონატში თამაშობდით და მშვენივრად იცით, რას ნიშნავს ამ ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირობა? ნუთუ ვერ გაიგეთ, რა ტრიალებს გოგიტა გოგუას თავს? არც ლომაიას უთქვამს, როგორ შეუშალა ხელი ქართულ ფეხბურთზე მოამაგე მინგემ? ერთი სირაძეს ჰკითხეთ და თუ ვაჟკაცობა აქვს, ჩუმად მაინც გითხრათ, როდის აქეთ მიიწვიეს ეროვნულ ნაკრებში და ვინ "ჩალიჩობს" მის ტრანსფერზე? აბა, რევიშვილს დაურეკეთ ყაზანში და გაიგეთ, რატომ არ იწვევდნენ ერთი პერიოდი ეროვნულ ნაკრებში? კანკავას ამბავი არ იცით? არც კანდელაკის ამბავი გაგიგიათ?

ბიჭებო, რაც შეეხება ეროვნული ჩემპიონატიდან ნაკრებში ფეხბურთელთა არმიწვევას, არა ხართ მართლები!!! ჯერ ერთი იმიტომ, რომ იმ ბიჭებს, ვინც აქ, თავის სამშობლოში ოფლს ღვრის, თქვენი სიტყვებით გული მოუკალით! მეორეც, სწორედ ამ ეროვნული ჩემპიონატიდან დააყენა 1997 წლის 10 სექტემბერს მრისხანე ბაჯოსა და ვიერის წინააღმდეგ 19 წლის დებიუტანტი კახა კალაძე ქართველმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა ეროვნულ ნაკრებში და მასაც არ შეურცხვენია თავი. არც ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე 20 წლის გიორგი დემეტრაძეს ჰქონია ცუდი დებიუტი 1996 წლის 8 მაისს საბერძნეთის წინააღმდეგ და მაშინაც ქართველი მწვრთნელი გვყავდა – ალექსანდრე ჩივაძე...

რომელ მათგანს აქვს ნათქვამი, რაც ტოპმიოლერმა იკადრა გაზეთ "24 საათში": "შემეძლო გაცილებით ნაკლებ ხელფასზე დავთანხმებულიყავი, მაგრამ მაშინ ამ ბოლო დროს დამკვიდრებული მავნე ტრადიციის მსგავსად, მწვრთნელობისთვის მოთამაშეთა აგენტობა უნდა შემეთავსებინა. ალბათ მიხვდით, რასაც ვგულისხმობ - ფეხბურთელი ნაკრების ძირითადში მხოლოდ იმიტომ უნდა დამეყენებინა, რომ იგი შემდეგ გამეყიდა..." მანამდე კი მინგემ დაწერა – გრიგალაშვილის "აუეში" გაგზავნა კლაუსის იდეა იყოო...

თქვენ არ იცით, რაკილა უცხოეთში თამაშობთ და არც ტოპმიოლერმა იცის, რაკილა უცხოეთში ცხოვრობს, რომ ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ ახლავე მზად არიან "დინამოს" ფორვარდი სანდრო იაშვილი და "ვიტ ჯორჯიას" მცველი ლექსო კვახაძე, ასევე "სკონტოში" ახლახანს გადასული დავით გამეზარდაშვილი, რომ ათამდე ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელი კიდევ იმსახურებს გასინჯვას სხვადასხვა ნაკრებებში, რომ სწორედ ეროვნული ჩემპიონატია ის წყარო, საიდანაც უნდა აღიზარდონ ახალი კალაძეები და დემეტრაძეები. ან რა უნდა გააკეთოს ქართული ფებურთისთვის კაცმა, როცა წელიწადნახევარში ორიოდე თვე თუ აქვს გატარებული საქართველოში, ამ ხნის მანძილზე ჩემპიონატის 50-მდე ტურმა ჩაიარა და კლაუსს 10 მატჩიც არა აქვს ნანახი...

ან რა დაინახეთ კლაუს ტოპმიოლერში ისეთი და რამ გაგაკვირვათ, ვალერი ლობანოვსკისთან, კარლო ანჩელოტისთან, ქო ადრიაანსესთან ნამუშევრებო?

ისე, თუ ათასლარიანმა ქართველმა მწვრთნელებმა დავით ყიფიანმა და ალექსანდრე ჩივაძემ მესამე ადგილზე გაიყვანეს ჩვენი ნაკრები გერმანიასთან, ბულგარეთთან, იტალიასთან, ინგლისთან, უელსთან, რუმინეთთან, ალბანეთთან, უნგრეთთან, პოლონეთთან, ლიტვასთან ჭიდილში, რატომ მიიჩნევს მეხუთე ადგილს წარმატებად 3 მილიონდოლარიანი გერმანელი?

ჩემო კახა და გიორგი, ღმერთმა მილიონები გაშოვნინოთ, მაგრამ შეიცოდეთ თქვენი ბედკრული სამშობლოს ის პატარა ნორჩი ფეხბურთელები, ქვაღორღიან მოედნებზე რომ დარბიან, რადგან ამ მოედნების ასაშენებელი და ქართული ფეხბურთის ასაღორძინებელი ფულები, კაპიკ-კაპიკ აკრეფილი და მილიონებად ქცეული, მატყუარა ტოპმიოლერების გაუმაძღარ ჯიბეში იძირება...

პატივისცემით,

თქვენი **კვარა**




გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ქართული ლეგიონის უქმეები

# ასი შეგონება კანკავას



ნამიც და ჯაბა კანკავას გააძევებენ

ორი კვირის განმავლობაში შოთა არველაძემ ჰოლანდიაში ორი ტიტული დაკარგა. გუშინ, თასის ფინალში "ალკმაარმა" პენალტების სერიაში "აიაქსთან " 8:7 წააგო (ძირითადი დრო 1:1).

ჩემპიონობისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ლევან კობიაშვილის "შალკემ", თუმცა ლევანმა ცუდად ითამაშა და შესვენებაზე შეცვალეს. ამ უქმეებზე ორი ქართველი გააძევეს: დანიაში გიორგი ფოფხაძე და უკრაინაში ჯაბა კანკავა. გოლის გატანა შეეძლო დავით მუჯირს, მაგრამ პენალტი ვერ გამოიყენა.

## კანკავამ პროტასოვს სისხლი გაუშრო

*"მან ამას წინათ ეროვნული ნაკრების პარტნიორები დაალალატა. რაც ჩვენთან გადმოვიდა, ეს უკვე მეორედ შეემთხვა. პირველად სოლიდური ჯარიმითაც დავსაჯეთ, ასჯერ მაინც გვყავს გაფრთხილებული. "დინამოსთან" მატჩის წინ პერსონალურადაც ვთხოვე აკურატულად ეთამაშა, არ გაჭრა. მისი გაძევება სავსებით სამართლიანი იყო. ალარ ვიცი რა ვქნა, რა მოვუხერხო"*, - სასონარკვეთლი იყო კიევის "დინამოსთან" 0:2 მარცხის შემდეგ "დნეპრის" მთავარი მწვრთნელი **ოლეგ პროტასოვი.** მისი აღშფოთების მიზეზი კი **ჯაბა კანკავა** იყო, რომელმაც პირველ 21 წუთში "მოახერხა" ორი ყვითელი ბარათის მიღება. ამ მატჩში "დინამოს" ქართველებს ტრადიციულად არ უთამაშიათ, ჯაბამ მეოთხე წუთზე მოედნის ცენტრში მიიღო ყვითელი ბარათი, მეორე ეპიზოდში კი, როცა მას სიფრთხილე მოეთხოვებოდა, მოედნის ცენტრში **გუსევს** ლამის ფეხი მოტეხა. თუკი მანამდე თანაბარი თამაში იყო, 10 კაცით დარჩენილი "დნეპრი" დაცვაში ჩაჯდა, მეორე ტაიმში კი ორი გოლიც გაუშვა. ჩვენთვის არანაკლებ საინტერესო ამ კლუბების დუბლების მატჩი იყო, რომელიც "დინამომ" 3:2 მოიგო. სტუმართა რიგებში ვერ ვიხილეთ **რევაზ ბარაბაძე,** "დინამოს" დაცვის მარჯვენა ფლანგზე შეუცვლელად ითამაშა **კახა ალადაშვილმა, ოთარ მარცვალაძემ** და **დავით იმედაშვილმა** თითო ტაიმი ითამაშეს.

კიევის "დინამო" 63 ქულით ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია, "დნეპრს" 39 ქულა აქვს და მყარად მეოთხეადგილოსანია. ლუგანსკის "ზარია" მეორე წრეში გამოცოცხლა, შაბათს ერთ-ერთმა აუტსაიდერმა მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა - **გიორგი ჭელიძის** გუნდმა **გიორგი დემეტრაძის** "მეტალურგს" 1:0 მოუგო. "ზარიას" 24 ქულა აქვს და ჯერჯერობით მეცამეტეა. ჭელიძე მოედანზე მხოლოდ 83-ე წუთზე შევიდა და კინალამ ორ წუთში გოლი გაიტანა, მისი დარტყმული სტუმართა გოლკიპერმა კუთხურზე მოიგერია. კარგა ხანია, რაც დონეცკელთა რიგებში გიორგი დემეტრაძე არ ჩანს.

**ლაშა ჯაკობიას** "არსენალი" ხარკოვში "მეტალისტთან" 1:5 შერცხვა, ლაშას ამ მატჩში არ უთამაშია, მან წინა დღით დუბლების მატჩში შეუცვლელად ითამაშა. სულ ხუთმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა ამ ტურში დუბლებში (ალადაშვილი, იმედაშვილი, მარცვალაძე, ჯაკობია და **ციმაკურიძე**). "კრივბასი" შინ "ილიჩივეცს" დაუზავდა - 0:0. **ვასილ გიგიაძემ** უგოლოდ დატოვა მოედანი.

## კალაძის 90 წუთი

ინგლისში **ზურაბ ხიზანიშვილის** "ბლექბერნმა" სტუმრად 2:0 დაამარცხა "ნიუკასლი", 50 ქულა მოაგროვა და მეათე ადგილი შეინარჩუნა. ჩემპიონატის დასრულებამდე "ბლექბერნს" სულ ორი მატჩილა დარჩა გასამართი და ზურაბ ხიზანიშვილი, სავარაუდოდ, ველარ ითამაშებს კლუბში, ზურას ტრავმა გაუმიზეზდა, რის გამოც ალბათ ოპერაციის გაკეთება მოუწევს. მან ტრავმების გამო ამ სეზონში პრემიერლიგის მხოლოდ 17 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

კახა კალაძემ 90 წუთი ითამაშა "ფიორენტინასთან" მატჩში, რომელიც 0:0 დასრულდა. "მილანი" 60 ქულით მეოთხე ადგილზეა. კახა დაცვის ცენტრში ნესტას შეუწყვილდა.

## დაიბრუნა, მაგრამ..

ბუნდესლიგის მორიგ ტურში "შალკემ" შინ 1:0 დაამარცხა "ნიურნბერგი". **ლევან კობიაშვილმა** ამ მატჩში სასტარტო შემადგენლობაში დაიბრუნა ადგილი, თუმცა ვშიშობთ ასეთი თამაშით ის ისევ დაკარგავს მას. პირველი ტაიმის შემდეგ პასიური კობიაშვილი **იოზილმა** შეცვალა. "შპორტალმა" ლევანს მატჩში უცუდესი შეფასება - 5 ბალი დაუწერა.

მეორე ბუნდესლიგაში "ჰანზამ" და "ფიურტმა", "ფრაიბურგის" კონკურენტებმა ბუნდესლიგის საგზურისთვის ბრძოლაში, წააგეს და **ალექსანდრე იაშვილისა** და **ოთარ ხიზანეიშვილის** გუნდს დაწინაურების შანსი შეუნარჩუნეს. **გიორგი ლომაიასა** და **მიხეილ აშვეთიას** "კარლ ცაისმა" მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება ვერ შეინარჩუნა "ბურგჰაუზენთან " გასვლით მატჩში, ბოლო წუთზე გაუშვა გოლი და მატჩი 1:1 მორჩა. გიორგი ლომაიამ ძალიან კარგად ითამაშა და ბევრჯერ იხნა თავისი გუნდი, თუმცა ბოლო წუთზე ისიც უძლური აღმოჩნდა. გიორგიმ "შპორტალისგან" საუკეთესო შეფასება მიიღო, 2,5 ბალი. ტრავმის შემდეგ პირველად გამოჩნდა მიხეილ აშვეთია, ჯერ მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე. "მიუნხენი"-"უნტერჰახინგის" ბაიერნულ დერბიში **მათე ღვინიანიძემ** მეორე ტაიმი ითამაშა (ოთხიანი "შპორტალისგან"). "მიუნხენმა" 1:0 იმარჯვა. "კარლ ცაისს" 34 ქულა აქვს და გასავარდნ ზონაშია.

ძალზე ცუდ ფორმაშია **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგი", რომელიც 12-გუნდიან ჩემპიონატში მეათეა, რომ არა ქულათა დიდი მარაგი (მეთერთმეტე ადგილოსანს ახლაც 9 ქულით უსწრებს) ლიგიდან გავარდებოდა. "ვიბორგმა" მეორე წრეში 10 მატჩში მხოლოდ 4 ქულა მოაგროვა. "ვეილესთან" შეხვედრაში გიორგი ფოფხაძე 59-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს.

## ვერგატანილი პენალტის ამბავი

რუსულ პრემიერლიგაში რვა ტურის გასვლის შემდეგ ცხრილის ფსკერზე მყოფი ოთხი კლუბიდან სამი "ქართულია". ყველაზე მეტად ამ სიაში "სატურნის" მოხვედრაა საკვირველი. **გოგიტა გოგუას** ახალმა კლუბმა მოსკოვის "ლოკომოტივს" უმასპინძლა და დაუზავდა - 1:1. მასპინძელთა რიგებში სასტარტო შემადგენლობაში ვერ ვიხილეთ გოგუა, რომელიც 68-ე წუთზე **ჩესნაუსკისის** ნაცვლად შევიდა. ეს პირველი შემთხვევაა ჩემპიონატში, როცა გოგუა 11 კაცში ვერ მოხვდა. სტუმართა შორის ჯერ არ ჩანს **მალხაზ ასათიანი,** ქართველს მუხლი კვლავ აწუხებს, რის შესახებაც მან თავად განაცხადა: *"მუხლი ჯერ კიდევ ოდნავ მაწუხებს. თამაშისთვის მზად არ ვარ. გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და ვიმედოვნებ, რომ მალე გამოვჯანმრთელდები"*. "ლოკომოტივი" 10 ქულით მერვე ადგილზეა, ხოლო "სატურნი" 8 ქულით - მეცამეტეზე.

ნალჩიკის "სპარტაკმა" წლეულს ცუდად დაიწყო. ამ ტურში კავკასიური კლუბი მოსკოვში "დინამოსთან" 0:2 დამარცხდა. **ალეკო ამისულაშვილმა** კვლავაც შეუცვლელად ითამაშა, **ლევან გვაზავა** კი მე-80 წუთზე პილიპჩუკის ნაცვლად გამოჩნდა. "სპარტაკი" 6 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა და ქულით უსწრებს ყაზანის "რუბინს", რომელიც მოსკოვის "სპარტაკს" ესტუმრა და 1:2 დამარცხდა. **ნუკრი რევიშვილსა** და **ლაშა სალუქვაძეს** არ უთამაშიათ.

დავით მუჯირის "კრილია სოვეტოვი" "ზენიტს" ესტუმრა და 1:1 ეთამაშა. მე-18 წუთზე ქართველს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა, ბურთი ძელს გაარტყა. ქართველი ნახევარმცველი 71-ე წუთზე შეცვალეს. "კრილია სოვეტოვი" 10 ქულით მეშვიდე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სეზ. სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა, პრემიერლიგა, XXXVII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ნიუკასლი-ბლექბერნი | 0:2 | არ უთამაშია, ტრავმა | 17 თ, 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A, XXXV ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-ფიორენტინა | 0:0 | 90 წუთი | 16 თ, 1 გ. |
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა, XXXII ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-ნიურნბერგი | 1:0 | 45 წუთი (შეცვალეს) | 27 თ, 3 გ. |
| II ბუნდესლიგა, XXXII ტური | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი-პადერბორნი | 0:1 | 90 წუთი | 30 თ, 9 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ფრაიბურგი-პადერბორნი | 0:1 | 6 წუთი (შეცვლაზე) | 13 თ, 1 გ. |
| დავით სირაძე | აუე-კარლსრუე | 2:2 | არ უთამაშია | 24 თ, 2 გ. |
| გიორგი ლომაია | ბურგჰაუზენი-კარლ ცაისი | 1:1 | 90 წუთი | 13 თ, -15 გ. |
| მიხეილ აშვეთია | ბურგჰაუზენი-კარლ ცაისი | 1:1 | არ უთამაშია, ტრავმა | 9 თ, 4 გ. |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენი-უნტერჰახინგი | 1:0 | 45 წთ (შეცვლაზე) | 19 თ, 1 გ. |
| **ჰოლანდია** | | | | |
| ერედივიზიე, თასი, ფინალი | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი-აიაქსი | 1:1, პ7:8 | 90 წუთი (გაიტანა პენალტი) | 29 თ, 15 გ. |
| **საბერძნეთი** | | | | |
| სუპერლიგა, XXX ტური | | | | |
| ლევან ცქიტიშვილი | პანიონიოსი | - | ტური არ ყოფილა | 18 თ, 2 გ |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | - | | 22 თ, 0 |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა, XXXV ტური | | | | |
| კახა ალადაშვილი | დინამო-დნიპრო | 2:0 | არ უთამაშია, დუბლები | 6 თ, 0 გ. |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო-დნიპრო | 2:0 | არ უთამაშია, დუბლები | 3 თ, 0 გ. |
| დავით იმედაშვილი | დინამო-დნიპრო | 2:0 | არ უთამაშია, დუბლები | 16 თ, 4 გ. |
| ჯაბა კანკავა | დინამო-დნიპრო | 2:0 | 21 წუთი, გააძევეს | 20 თ, 4 გ. |
| რევაზ ბარაბაძე | დინამო-დნიპრო | 2:0 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| ილია კანდელაკი | ჩერნომორეცი-ტავრია | 0:0 | არ უთამაშია, სათადარიგო | 17 თ, 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | ზარია-მეტალურგი დ. | 1:0 | არ უთამაშია | 14 თ, 2 გ. |
| ლადო ბურდული | კრივბასი-ილიჩივეცი | 0:0 | არ უთამაშია, ტრავმა | 20 თ, 1 გ. |
| ვასილ გიგიაძე | კრივბასი-ილიჩივეცი | 0:0 | 90 წუთი | 25 თ, 11 გ. |
| გიორგი ციმაკურიძე | კრივბასი-ილიჩივეცი | 0:0 | არ უთამაშია, სათადარიგო | 13 თ, 0 გ. |
| დავით კვირკველია | მეტალურგი ზ.-ვორსკლა | 0:0 | 90 წუთი | 20 თ, 4 გ. |
| ირაკლი მოდებაძე | მეტალურგი ზ.-ვორსკლა | 0:0 | 53 წთ (შეცვალეს) | 20 თ, 3 გ. |
| გიორგი ჭელიძე | ზარია-მეტალურგი დ. | 1:0 | 7 წთ (შეცვლაზე) | 7 თ, 1 გ. |
| ლაშა ჯაკობია | მეტალისტი-არსენალი | 5:1 | არ უთამაშია, დუბლები | 11 თ, 2 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერლიგა, VIII ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სატურნი-ლოკომოტივი | 1:1 | 22 წთ (შეცვლაზე) | 6 თ, 0 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | სპარტაკი-რუბინი | 2:1 | არ უთამაშია | 2 თ, -2 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-სატურნი | 2:1 | არ უთამაშია | 3 თ, 0 გ. |
| დავით მუჯირი | ზენიტი-კრილია სოვეტოვი | 1:1 | 71 წთ (შეცვალეს), პენ. ვერ გაიტ. | 7 თ, 1 გ. |
| მალხაზ ასათიანი | სატურნი-ლოკომოტივი | 1:1 | არ უთამაშია, ტრავმა | 0 თ, 0 გ. |
| ალეკო ამისულაშვილი | დინამო-სპარტაკი ნ. | 2:0 | 90 წუთი | 8 თ, 0 გ. |
| ლევან გვაზავა | დინამო-სპარტაკი ნ. | 2:0 | 10 წთ (შეცვლაზე) | 6 თ, 0 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა, XXVI ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვეილე-ვიბორგი | 2:0 | 59 წთ (გააძევეს) | 9 თ, 0 გ. |



გიორგი ფოფხაძე



კრისტიან ვიერის ეს გოლი ძალიან ძვირად ფასობს

იტალია. სერია A. XXXV ტური

# სუპერგოლი და 100 ათასი ევრო ვიერის ანგარიშზე

## ასკოლი და მესინა სერია B-ში

სერია A-ს მორიგმა ტურმა რამდენიმე ვერდიქტი გამოიტანა: "ასკოლი" და "მესინა" ხელიხელჩაკიდებულები სერია B-ში გავარდნენ; "რომამ" მეორე ადგილი არითმეტიკულად გაინაღდა. გაირკვა ასევე, რომ დარჩენილ სამ ტურში გადარჩენისთვის ერთბაშად რვა გუნდი იბრძოლებს: "კალიარი", "კატანია", "ლივორნო", "ტორინო", "რეჯინა", "კიევო", "პარმა" და "სიენა". ამ რვიდან პირველსა და უკანასკნელს შორის განსხვავება სულ რაღაც 3 ქულაა...

ტურის ცენტრალური მატჩი, წესით და რიგით, "სან სიროზე" უნდა ყოფილიყო, მაგრამ პოსტფაქტუმ ამას ძნელად თუ იტყვი. "მანჩესტერთან" ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, "მილანი" ადრენალინისგან დაცლილი ჩანდა და უგოლო ფრეს დასჯერდა. ვარსკვლავები არც "ფიორენტინას" მოუწყვეტია, მაგრამ ცდას არ აკლებდა. ყველაზე საინტერესო და დასამახსოვრებელი პირველ ტაიმში მოხდა, შესვენების შემდეგ კი იყო მხოლოდ მოსაწყენი ბურთაობა და თითო სახიფათო მომენტი ორივე გუნდის კართან. ათენის ფინალამდე ორ კვირაზე მეტია, მაგრამ **კარლო ანჩელოტიმ** აქედანვე დაიწყო კუნთების დაზოგვა. დაცვაში **კაფუ** და **ფავალი** გამოჩნდნენ, ცენტრში კი **კალაძე-ნესტას** წყვილი. ნახევარდაცვაში უძლიერესი ტრიო **გატუზო-პირლო-ამბროზინი** გამოვიდა, ხოლო **სერჟინიოს** გამოჩენა, თან **კაკას** გვერდით (იქ, სადაც ჩვეულებრივ **ზეედორფი** თამაშობს ხოლმე), მართლაც დიდი სიურპრიზი იყო. რაკი შაბათს **რონალდო** დაშავდა და **ჯილარდინო** კი დასჯილი იყო, ცენტრფორვარდის როლი **ოლივეირას** ერგო. ფლორენციიდან ასაბარგებლად გამზადებული **ტონის** ადგილი მისმა მემკვიდრემ, **ჯამპაოლო პაცინიმ** დაიკავა.

თამაში 6 წუთის დაწყებული იყო, როცა ფავალის პასზე კაკა საჯარიმოში შევარდა და გაიტანა. მაგრამ **რობერტო როზეტიმ** ჩათვალა, რომ ბრაზილიელმა **მონტოლივოს** ხელი ჰკრა და გოლი გააუქმა. გადაწყვეტილება ფრიად საკამათო იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა. "ვიოლა" კი შეფუცხუნდა და შეტევაში წავიდა. ერთი პერიოდი, თამაში ძირითადად "მილანის" ნახევარზე მიდიოდა. მასპინძლებმა, მეტოქეს უსწრაფესი კონტრშეტევით უპასუხეს: უცნაურად ასხლეტილ ბურთზე **გამბერინიმ** ხელით ითამაშა და არბიტრმა 11-მეტრიანი დანიშნა. მისიის შესრულება კაკამ იკისრა, **ფრეი** საპირისპირო მხარეს გადახტა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა და პირით ხაზს მილმა გავიდა. "მილანი" ინიციატივას ფლობდა, მაგრამ აგრესია და, მასთან ერთად, ნამდვილი ცენტრფორვარდი აკლდა. უგზოუკვლოდ დაკარგული ოლივეირა თამაშში პირველად 41-ე წუთზე გამოჩნდა, როცა მახვილი კუთხიდან სცადა გატანა, მაგრამ ფრეიმ ბურთი იოლად მოიგერია. მეორე ტაიმზე ნაწილობრივ უკვე ვთქვით. ორივე მხრიდან არააგრესიული თამაშის გამო, კალაძეს დიდი დატვირთვა არ ჰქონია. ჩვენებური 6 ბალით შეაფასეს. მოკლედ, 0:0 და "მილანი" ისევ მეოთხე ადგილზე დაბრუნდა.

"პალერმო", რომელიც ორი თვის წინ ჩემპიონთა ლიგაზე ფიქრობდა, ახლა უეფას თასის საგზურიც სანატრელი უხდება. **ფრანჩესკო გვიდოლინის** გაშვების შემდეგ, სიცილიურმა გუნდმა, დროებითი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, წინა ტურში გამარჯვების გემო გაიხსენა (11-ტურიანი პაუზის შემდეგ), მაგრამ "რომამ" "როზანეროს" გუშინ პირწმინდად დაჩაგრა და შეახსენა, რომ მწვრთნელის გადაადგილებით საქმის არსი არ შეცვლილა. "პალერმო" ისეთივე უკბილო იყო, როგორიც ბოლო პერიოდში. ხუთი ლიდერის გარეშე მოთამაშე "ჯალოროსიმ" ყველაფერი პირველივე ტაიმში მოამთავრა, მეორე ადგილი გაინაღდა და კარგი განწყობით ხვდება იტალიის თასის პირველ ფინალს, რომელსაც 9 მაისს "ოლიმპიკოზე" გამართავს. გუშინდელი მატჩიდან კი პირველი გოლი უნდა გამოვყოთ. მე-17 წუთზე, **ტოტიმ** 28 მეტრიდან ჯარიმა "მოჭრა" და **ფონტანას** ბურთი მარცხენა კუთხეში გაუტანა. "რომას" ლიდერს 22 გოლი დაუგროვდა და ბომბარდირის ტიტულიც თითქმის გაინაღდა.

უკვე გაჩემპიონებულ "ინტერს" გამარჯვება ეგებ სულაც არ უნდოდა, უბრალოდ, ერთი კარგი ვარჯიშის ჩატარებას გეგმავდა ოთხშაბათის სათასო შეხვედრისთვის, მაგრამ "მესინამ" იმდენი ქნა, რომ წააგო და სერია B-ში გავარდა. სიცილიური კრებული რომ განწირული იყო, ეს იქიდანაც ჩანდა, რომ კლუბმის პრეზიდენტმა ბოლო სამ თვეში მწვრთნელი სამჯერ შეცვალა. ამაოდ. იმის მაგვირად, რომ ბოლო ძალები მოეკრიბა და ნახევრადსათადარიგო "ინტერისთვის" ბოლომდე შეეტია, "მესინა" მორიდებულად აგორებდა ბურთს თავის ნახევარზე და საჯარიმოსთან მიახლოებასაც ვერ ბედავდა. მდორე პირველი ტაიმის შემდეგ, მეორე ნახევარში ტემპმა ოდნავ იმატა. ინტერელმა **გონსალესმა** და "მესინის" ვეტერანმა **კანდელამ** თითო სახიფათო დარტყმა გაცვალეს, მაგრამ გარდამტეხი ეპიზოდი 67-ე წუთზე იყო: გამოუცდელმა **ანდრეოლიმ** საჯარიმოში ხელით ითამაშა, რისთვისაც 11-მეტრიანი დაინიშნა, თუმცა ვეტერანმა **ტოლდომ დი ნაპოლის** კუთხე გამოუცნო და ანგარიში უცვლელი დარჩა. ასეთ მომენტში, თან ასეთი შანსის გამოუყენებლობას "მესინა" ნამდვილად ვერ გადაიტანდა. და ჰა, 74-ე წუთზე სტუმრებმა საჯარიმო ჩაანოდეს და მოედანზე სულ რაღაც წამების წინ შესულმა **კრესპომ** არეულობით ისარგებლა, 0:1.

ბოლო ოთხ ტურში ნათამაშები სამი ფრისა და ერთი წაგების შემდეგ, "ლაციო" გამარჯვების გზას მიუბრუნდა და ახლა ერთი ქულაღა აკლია ოთხეულში ადგილის გასანაღდებლად, თუმცა, შეიძლება, ესეც არ დასჭირდეს. "ლივორნო" კი ამ მარცხის შემდეგ პირველად დაეშვა მე-13 ადგილზე და დარჩენილ ტურებში დიდი ოფლისღვრა მოუწევს თავის გადასარჩენად. "ლაციოს" უპირატესობა თავიდანვე იმდენად დიდი იყო, რომ "ოლიმპიკო" გოლს ყოველ წუთს ელოდა. ეს მომენტი 27-ე წუთზე დადგა: იანვარში მოყვანილმა **ხიმენესმა** საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დაჰკრა, ბურთი ჯერ ძელს მოხვდა და მერე "ლივორნოს" კარის ბადეში აფართხალდა. შესვენებამდე, "ბიანკოჩელესტეს", სულ ცოტა, კიდევ ორჯერ უნდა გაეტანა. მეორე ნახევარში კი "ლაციომ" ბურთი ტოსკანელებს, ყურადღება კი დაცვას დაუთმო და უპრობლემოდ მიიყვანა საქმე საბოლოო გამარჯვებამდე.

"ატალანტამ" მოიგო და სერია A-ში დარჩენის საკითხი გადაწყვიტა, "სიენა" კი ზედიზედ მესამედ დამარცხდა და სეზონში პირველად გასავარდნ ზონაში ჩაეშვა. მაგრამ იტალიურ პრესაში უფრო დიდი ხმაური სხვა მოვლენამ გამოიწვია: **კრისტიან ვიერიმ** გოლი გაიტანა, და მერე რა გოლი: 38 მეტრიდან! ორი ოპერაციის შემდეგ, "ბობო" მოედანს აპრილში დაუბრუნდა და აი, მეხუთე თამაშში გაიტანა კიდეც. ბოლოს მას სერია A-ში 2005 წლის ოქტომბერში, "მილანის" მაისურით ჰქონდა გატანილი ("ემპოლისთან"). ახლა, ვიერის საბანკო ანგარიშზე 100 ათასი ევროც ჩაირიცხება - სწორედ ამდენად ფასობს მისი თითო გოლი "ატალანტასთან" გაფორმებული კონტრაქტის თანახმად...

"ემპოლიმ" "კატანიას" აჯობა და კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა უეფას თასის საგზურისკენ. "კიევომ" უშუალო კონკურენტ "პარმას" მოუგო და გასავარდნი ზონიდან ამოვიდა. ზედიზედ 3 გამარჯვების შემდეგ, **კლაუდიო რანიერის** "პარმა" კვლავ კრიტიკულ ზღვარზეა. მოგებას დანატრებულმა "ტორინომ" ოქროს 3 ქულა აილო და მცირე შვება იგრძნო, მასთან დამარცხებული "ასკოლი" კი, ორწლიანი ზეობის შემდეგ, B-ში დაბრუნდა. ზედიზედ 3 მარცხის შემდეგ მოიგო "კალიარიმაც", თუმცა წინ კიდევ დიდი ბრძოლა ელის, ისევე, როგორც "რეჯინას", რომელმაც გენუიდან ძვირფასი ქულა წაილო.

### მომავალი ტური

**13 მაისი.** უდინეზე-ატალანტა, ფიორენტინა-კალიარი, რეჯინა-კიევო, სიენა-ემპოლი, ინტერი-ლაციო, პარმა-მესინა, კატანია-მილანი, ასკოლი-პალერმო, ლივორნო-სამპდორია, რომა-ტორინო.

### მესინა-ინტერი 0:1

მესინა: პოლეტი-6, ლავეკია-6, ზორო-6.5, ძანკი-6 (78. დე ვეცე-შ.გ), პარიზი-5.5, კანდელა-6, პესტრინი-5.5 (87. ფლოკარი-შ.გ), დ'ავერსა-6.5, მაზიელო-6 (80. ილიევი-შ.გ), ჯალომბარდო-5.5, დი ნაპოლი-5.5.

ინტერი: ტოლდო-6.5, კორდობა-6.5, ანდრეოლი-5.5, ბურდისო-6, გროსო-6, დაკური-5.5, გონსალესი-5.5 (75. ვიეირა-6), ხ. ძანეტი-6, სოლარი-6 (73. კრესპო-6.5), ადრიანო-6, რეკობა-6 (65. ფიგუ-6.5).

გოლი: 0:1 კრესპო (74)

*70-ე წუთზე დი ნაპოლიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გაფრთხილება: 0-5; კუთხური: 8-4; ჯარიმა: 11-10; თამაშგარე: 2-2; კარში დარტყმა: 21-12 (12-4); ბურთის ფლობა: 51%-49%.

მაყურებელი: 20 000

### პალერმო-რომა 1:2

პალერმო: ა. ფონტანა-5.5, ძაკარდო-5.5, ბიავა-5.5, ბარძალი-5, მ. პიზანო-6, გუანა-5.5, კორინი-6, სიმპლისიო-5.5 (69. ჯოვ. ტედესკო-6), დიანა-5 (63. ბრიენცა-6), დი მიკელე-5.5, კარაჩოლო-4.5 (46. კავანი-5).

რომა: კურჩი-7, კასეტი-6.5, მექსე-6, მ. ფერარი-6, პანუჩი-6.5, დე როსი-7, აკვილანი-6 (85. ფატი-შ.გ), პეროტა-6.5, ვილჰელმსონი-6 (53. როზი-6), მანსინი-6, ტოტი-6.5 (73. ვუჩინიჩი-შ.გ).

გოლები: 0:1 ტოტი (17), 0:2 კასეტი (36), 1:2 ჯოვ. ტედესკო (86)

გაფრთხილება: 2-3; კუთხური: 8-5; ჯარიმა: 18-17; თამაშგარე: 2-2; კარში დარტყმა: 18-20 (11-14); ბურთის ფლობა: 41%-59%.

მაყურებელი: 24 680

### მილანი-ფიორენტინა 0:0

მილანი: დიდა-6.5, კაფუ-6, ნესტა-6.5, კალაძე-6, ფავალი-7, ამბროზინი-6, სერჟინიო-5.5 (46. იანკულოვსკი-6), პირლო-6.5, გატუზო-6 (76. ბროკი-6), კაკა-6, ოლივეირა-5.5 (68. ფ. ინძაგი-5).

ფიორენტინა: ფრეი-6.5, იორგენსენი-6.5, გამბერინი-5.5 (51. დაინელი-6), კროლდრუპი-6, პასკუალი-6, პაციენცა-6, ლიერანი-5.5 (64. ბლაზი-6), მონტოლივო-6, რეჯინალდო-6.5 (84. კუზმანოვიჩი-შ.გ), პაცინი-5.5, მუტუ-6.

*26-ე წუთზე კაკამ ვერ გაიტანა პენალტი (ძელი)*

გაფრთხილება: 0-4; კუთხური: 0-4; ჯარიმა: 17-21; თამაშგარე: 2-1; კარში დარტყმა: 14-14 (6-2); ბურთის ფლობა: 56%-44%.

მაყურებელი: 60 000

### ლაციო-ლივორნო 1:0

ლაციო: ბალოტა-6, ბეჰრამი-6.5, კრიბარი-6, სივილია-6, ძაური-6.5, მანფრედინი-6.5, ლედესმა-6, მუტარელი-6.5, ხიმენესი-7 (77. ბელერი-შ.გ), პანდევი-6 (80. მაკინვა-შ.გ), როკი-5.5.

ლივორნო: მანიტა-6.5, გრანდონი-6 (76. ბალერი-შ.გ), კნეჟევიჩი-6, გალანტე-6, პასკუალე-6, ა. ფილიპინი-5.5, მორონე-6, ვიდიგალი-5.5, პაულინიო-4.5 (57. სეზარ აპარესიდო-5), ფიორე-5 (66. ბერგვოლდი-6), კ. ლუკარელი-5.

გოლი: 1:0 ხიმენესი (27)

გაფრთხილება: 1-2; კუთხური: 11-6; ჯარიმა: 15-25; თამაშგარე: 6-2; კარში დარტყმა: 23-13 (14-9); ბურთის ფლობა: 56%-44%.

მაყურებელი: 25 000

### ემპოლი-კატანია 2:1

ემპოლი: ბასი-6, რაჯი-6, ადანი-შ.გ (21. ვანილი-6), პრატალი-6 (63. მარძორატი-6), ასკოლი-6, ალმირონი-6, დ. მორო-6, ვანუკი-6.5, მატეინი-6, პოცი-6 (36. ედერი-6), საუდატი-6.

კატანია: პანტანელი-6, სარდო-5.5, სტოვინი-6, სოტილი-6, ერგასი-5.5, ბაიოკო-6, ედუსეი-6, კაზერტა-5.5 (68. როსინი-6), ლუჩენტი-5.5 (50. იცკო-6), სპინეზი-6, მასკარა-6.

გოლები: 1:0 პოცი (23), 2:0 ალმირონი (26), 2:1 სპინეზი (28)

გაფრთხილება: 3-2; კუთხური: 6-9; ჯარიმა: 22-23; თამაშგარე: 1-3; კარში დარტყმა: 8-9 (3-6); ბურთის ფლობა: 46%-54%.

მაყურებელი: 9 000

### სამპდორია-რეჯინა 0:0

სამპდორია: კასტელაცი-6, მაჯო-6.5, ფალკონე-6 (46. სალა-6), აკარდი-6.5, პიერი-6.5, კომანი-6 (27. ციგლერი-6), პაროლა-6, ჯ. დელვეკიო-6, დ. ფრანჩესკინი-5 (73. რომეო-შ.გ), პალომბო-6, კვალიარელა-6.5.

რეჯინა: კამპანიოლო-7.5, ლანძარო-5.5, არონიკა-6.5, ა. ლუკარელი-6, ვიჯანი-6, ამერინი-5.5, ნარდინი-6, ჯაკ. ტედესკო-6, ფოჯა-6 (89. მისიროლი-შ.გ), ამორუზო-6.5, ბიანკი-5.5 (69. გაცი-შ.გ).

გაფრთხილება: 0-2; კუთხური: 6-2; ჯარიმა: 30-22; თამაშგარე: 2-2; კარში დარტყმა: 17-5 (7-3); ბურთის ფლობა: 47%-53%.

მაყურებელი: 10 000

### ატალანტა-სიენა 3:1

ატალანტა: კალდერონი-6, რივალტა-6.5, ტალამონტი-7, კაროციერი-6, ბელინი-6, პინტუ-6.5, მილიაჩო-7, დონატი-6, არიატი-6.5 (90. აბიხონი-შ.გ), ტისონე-6 (87. ბომბარდინი-შ.გ), ძამპანია-6 (54. ვიერი-7).

სიენა: მანინგერი-5.5, ბერტოტო-6, პორტანოვა-6, რინაუდო-6 (55. გასტალდელო-6), მოლინარო-6, ანტონინი-6 (81. კიეზა-შ.გ), ალბერტო-6, ვერგასოლა-6.5, ე. ბრევი-5.5, ფრიკი-5, კორვია-5 (46. ლოკატელი-5).

გოლები: 1:0 არიატი (12), 1:1 ვერგასოლა (48-პენ), 2:1 ვიერი (65), 3:1 კაროციერი (90)

გაძევება: ალბერტო (89. სიენა), ბერტოტო (90. სიენა)

გაფრთხილება: 3-3; კუთხური: 4-7; ჯარიმა: 20-22; თამაშგარე: 2-2; კარში დარტყმა: 11-16 (5-7); ბურთის ფლობა: 48%-52%.

მაყურებელი: 12 000

### კალიარი-უდინეზე 2:1

კალიარი: კიმენტი-6, ფ. პიზანო-7.5 (75. სემედუ-6), ლოპესი-5, ბიანკო-5, კანინი-5 (83. კაპონე-7), მარკინი-7.5, ლ. კოლუჩი-6.5, ბუდელი-6.5, აგოსტინი-5.5 (54. ა. დ'აგოსტინო-6), სუასო-5.5, პეპე-6.

უდინეზე: დე სანქტისი-5, კოდა-6, ნატალი-6, საპატა-6.5, ზიოკო-6, პინცი-6, გ. დ'აგოსტინო-6.5, მუნტარი-6.5, ლუკოვიჩი-6 (84. გოტი-შ.გ), იაკუინტა-4.5, ბარეტო-6 (82. გიანი-6).

გოლები: 0:1 მუნტარი (44), 1:1 მარკინი (66), 2:1 კაპონე (85)

გაძევება: იაკუინტა (80. უდინეზე)

გაფრთხილება: 2-4; კუთხური: 6-0; ჯარიმა: 19-26; თამაშგარე: 6-5; კარში დარტყმა: 13-4 (8-1); ბურთის ფლობა: 46%-54%.

მაყურებელი: 10 000

### კიევო-პარმა 1:0

კიევო: სკუიცი-5.5, მალაგო-6.5, მანდელი-6.5, მანტოვანი-7, ლანა-6.5, სამარკო-6.5, მარკოლინი-6.5 (82. იტალიანო-შ.გ), ბრიგი-6.5, სემიოლი-7, ბოგდანი-6 (56. ობინა-6), პელისიე-6.5 (82. კოსატო-შ.გ).

პარმა: ბუჩი-6.5, კოლი-6, ფერნანდო კოუტუ-5, კონტინი-5.5, კასტელინი-6, პარავიჩინი-5.5, ჩიგარინი-5.5 (46. პიზანუ-6), დესენა-6, ჯ. როსი-5.5, ბუდანი-5 (66. მორფეო-6), მუსლიმოვიჩი-5.5 (46. გასბარონი-5.5).

გოლი: 1:0 პელისიე (5)

გაფრთხილება: 2-3; კუთხური: 3-2; ჯარიმა: 26-23; თამაშგარე: 3-2; კარში დარტყმა: 14-11 (8-6); ბურთის ფლობა: 39%-61%.

მაყურებელი: 15 000

### ტორინო-ასკოლი 1:0

ტორინო: აბიატი-7, კომაზეტო-6, [illegible] ფრანჩესკინი-6.5, ბალესტრი-6, [illegible] (73. [illegible]-შ.გ), არდიტო-6.5, როზინა-7, [illegible] (68. [illegible]-5.5), ლაზეტიჩი-6, სტელონე-6 (73. დე [illegible]-შ.გ).

ასკოლი: ელეფთეროპულოსი-6.5, ვასტოლა-5.5 (74. პეშე-შ.გ), კორალო-6, მელარა-6, მინიერი-5.5, პ. ძანეტი-5.5, ბუდიანსკი-6, ჯამპა-5.5 (64. სონჩინი-6), ბონანი-5 (46. გუბერტი-6), პაოლუჩი-5.5, პერული-6.5.

გოლი: 1:0 როზინა (18)

გაფრთხილება: 2-3; კუთხური: 4-3; ჯარიმა: 26-28; თამაშგარე: 5-3; კარში დარტყმა: 17-6 (10-2); ბურთის ფლობა: 41%-59%.

მაყურებელი: 16 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 35 | 28 | 6 | 1 | 72-30 | 90 |
| 2. რომა | 35 | 21 | 9 | 5 | 68-27 | 72 |
| 3. ლაციო | 35 | 18 | 10 | 7 | 55-27 | 61 |
| 4. მილანი | 35 | 18 | 11 | 6 | 54-30 | 60 |
| 5. ემპოლი | 35 | 14 | 11 | 10 | 38-35 | 53 |
| 6. პალერმო | 35 | 14 | 10 | 11 | 52-46 | 52 |
| 7. ფიორენტინა | 35 | 19 | 9 | 7 | 54-28 | 51 |
| 8. ატალანტა | 35 | 11 | 13 | 11 | 50-47 | 46 |
| 9. სამპდორია | 35 | 12 | 10 | 13 | 42-42 | 46 |
| 10. უდინეზე | 35 | 11 | 10 | 14 | 43-48 | 43 |
| 11. კალიარი | 35 | 8 | 13 | 14 | 31-43 | 37 |
| 12. კატანია | 35 | 9 | 10 | 16 | 43-66 | 37 |
| 13. ლივორნო | 35 | 8 | 12 | 15 | 36-52 | 36 |
| 14. ტორინო | 35 | 9 | 9 | 17 | 26-44 | 36 |
| 15. რეჯინა | 35 | 11 | 13 | 11 | 46-46 | 35 |
| 16. კიევო | 35 | 8 | 11 | 16 | 36-45 | 35 |
| 17. პარმა | 35 | 8 | 11 | 16 | 34-54 | 35 |
| 18. სიენა | 35 | 7 | 14 | 14 | 30-42 | 34 |
| 19. მესინა | 35 | 5 | 10 | 20 | 31-59 | 25 |
| 20. ასკოლი | 35 | 3 | 12 | 20 | 31-63 | 21 |

ბომბარდირები: 22 - ტოტი (რომა); 18 - კ. ლუკარელი (ლივორნო); 17 - ბიანკი (რეჯინა); 16 - სპინეზი (კატანია), ტონი (ფიორენტინა); 15 - იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მუტუ (ფიორენტინა), როკი (ლაციო); 14 - ამორუზო (რეჯინა), იაკუინტა (უდინეზე), რიგანო (მესინა); 13 - კ. დონი (ატალანტა), სუასო (კალიარი).

### სერია B

XXXVIII ტური

**პესკარა-კროტონე 2:3**

გოლები: 0:1 ესპინალი (5), 0:2 ესპინალი (20), 0:3 ლოპესი (26), 1:3 რუსო (32), 2:3 აკვილანტი (78)

**მანტოვა-ნაპოლი 1:0**

გოლი: 1:0 კარიდი (45)

გაძევება: მალდონადო (49. ნაპოლი)

**სპეცია-ბრეშა 1:3**

გოლები: 1:0 კოლომბო (53), 1:1 პოსანცინი (58), 1:2 ჰამსიკი (68), 1:3 სტანკევიჩუსი (72)

გაძევება: მანინი (77. ბრეშა), კოლომბო (77. სპეცია)

**ფროზინონე-ჯენოა 0:2**

გოლები: 0:1 დე როზა (33), 0:2 მილანეტო (86-პენ)

**ბარი-ლეჩე 1:1**

გოლები: 0:1 ძანკეტა (7), 1:1 სანტორუვო (36)

გაძევება: პოლენგი (76. ლეჩე)

**არეცო-ვერონა 3:1**

გოლები: 1:0 ფლორესი (18), 1:1 ფერარეზე (80), 2:1 კაპელი (86), 3:1 მარტინეტი (90-პენ)

გაძევება: სარტორი (89. ვერონა)

**ვიჩენცა-მოდენა 2:0**

გოლები: 1:0 შეოხი (49), 2:0 ფოტი (90)

გაძევება: ფოტი (90. ვიჩენცა)

**ბოლონია-ტრიესტინა 0:0**

**ტრევიზო-ალბინოლეფე 3:1**

გოლები: 1:0 ფავა (40), 1:1 ბერლინგიერი (42), 2:1 ვიალი (46), 3:1 ვიალი (90)

**პიაჩენცა-რიმინი 1:1**

გოლები: 0:1 რიკიუტი (46), 1:1 სიმონი (52)

**ჩეზენა-იუვენტუსი 2:2**

იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ბუმსონგი, ლეგროტალიე, კიელინი, მარკიონი (76. ბალცარეტი), მარკიზიო, სალაიეტა, ნედვედი (87. ბიანკო), ტრეზეგე, დელ პიერო (84. ბოჯინოვი).

გოლები: 1:0 სალვეტი (11), 1:1 ტრეზეგე (41), 1:2 ნედვედი (42), 2:2 პაპა ვაიგო (56)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 37 | 25 | 10 | 2 | 71-24 | 76 |
| 2. ჯენოა | 37 | 21 | 7 | 9 | 60-39 | 70 |
| 3. ნაპოლი | 37 | 18 | 14 | 5 | 46-27 | 68 |
| 4. რიმინი | 37 | 15 | 15 | 7 | 48-30 | 60 |
| 5. მანტოვა | 37 | 14 | 18 | 5 | 43-28 | 60 |
| 6. ბოლონია | 37 | 16 | 10 | 11 | 43-35 | 58 |
| 7. პიაჩენცა | 37 | 17 | 6 | 14 | 48-45 | 57 |
| 8. ბრეშა | 37 | 15 | 10 | 12 | 40-39 | 55 |
| 9. ალბინოლეფე | 37 | 10 | 19 | 8 | 39-36 | 49 |
| 10. ლეჩე | 37 | 14 | 7 | 17 | 47-49 | 49 |
| 11. ჩეზენა | 37 | 12 | 11 | 14 | 47-57 | 47 |
| 12. ვიჩენცა | 37 | 11 | 13 | 13 | 39-35 | 46 |
| 13. ტრევიზო | 37 | 10 | 14 | 13 | 38-40 | 44 |
| 14. ტრიესტინა | 37 | 10 | 14 | 13 | 31-42 | 43 |
| 15. ფროზინონე | 37 | 10 | 12 | 15 | 35-47 | 42 |
| 16. ბარი | 37 | 9 | 13 | 15 | 31-38 | 40 |
| 17. მოდენა | 37 | 10 | 10 | 17 | 32-41 | 40 |
| 18. სპეცია | 37 | 9 | 13 | 15 | 41-51 | 40 |
| 19. ვერონა | 37 | 9 | 11 | 17 | 24-39 | 38 |
| 20. არეცო | 37 | 9 | 14 | 14 | 34-39 | 35 |
| 21. კროტონე | 37 | 7 | 11 | 19 | 31-57 | 32 |
| 22. პესკარა | 37 | 5 | 10 | 22 | 31-61 | 24 |

ბომბარდირები: 16 - ბელუჩი (ბოლონია), დელ პიერო (იუვენტუსი); 15 - პაპა ვაიგო (ჩეზენა); 14 - კაჩა (პიაჩენცა); 12 - კალაიო (ნაპოლი); 11 - შეოხი (ვიჩენცა), ტრეზეგე (იუვენტუსი); 10 - კარიდი (მანტოვა), ჟედა (რიმინი), ლოდი (ფროზინონე), მარაცინა (ბოლონია), ნედვედი (იუვენტუსი), პოსანცინი (ბრეშა).

### სერია C/1

XXXIII ტური

ნოვარა-პადოვა 0:0; პრო სესტო-პროპატრია 0:1; პიციგეტონე-იერა 1:0; მასეზე-მონცა 1:1; გროსეტო-კრემონეზე 3:0; სასუოლო-პისტოიეზე 1:0; პიზა-პავია 2:0; ჩიტადელა-სანჯოვანეზე 2:0; ლუკეზე-ვენეცია 1:1.

### სერია C/2

XXXIII ტური

აველინო-ლანჩანო 1:0; სალერნიტანა-მანფრედონია 1:1; მარტინა-ტერნანა 1:1; იუვე სტაბია-ჯულიანოვა 1:0; ფოჯა-ტარანტო 1:0; გალიპოლი-სან მარინო 1:0; ანკონა-სამბენედეტეზე 3:0; პერუჯა-კავეზე 0:1; ტერამო-რავენა შეწყდა.

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXII ტური

# დიდი დერბი გადაწყვეტს!

## მომავალ შაბათს სიკვდილ-სიცოცხლის მატჩია: დორტმუნდი-შალკე!



შალკემ ძნელად, მაგრამ მაინც გაიმარჯვა

დასრულდა თუ არა ბუნდესლიგის 32-ე ტური, მთელი საფეხბურთო გერმანია მაშინვე მომდევნო ტურის ცენტრალურ შეხვედრაზე ალაპარაკდა, რომელშიც დორტმუნდის „ბორუსია" „შალკეს" უმასპინძლებს. გახდება თუ არა **კობიაშვილის** გუნდი ჩემპიონი, ეს ახლა მეტწილად „ბორუსიაზეა" დამოკიდებული და დორტმუნდელებსაც მეტი რა უნდათ – თავს მოიკლავენ, რათა მოსისხლე მტერს სამი ქულა არ დაანებონ. შაბათსა და კვირას „ვერცხლის სინის" სამივე მაძიებელმა უპრობლემოდ იმარჯვა: „შალკემ" „ნიურნბერგთან" (მინიმალური სხვაობით), „შტუტგარტმა" „მაინცთან", „ვერდერმა" კი გუშინ ბერლინში „ჰერტა" შეარცხვინა (4:1). იმ დროს, როცა **კლოზეს** კრიზისი უდგას, მუსიკოსებს მხსნელად **მარკუს როზენბერგი** მოევლინათ, რომელმაც დედაქალაქში ჰეთ-თრიკის შესრულება მოახერხა...

მაშ ასე, „შალკემ" „ნიურნბერგის" დამარცხებით ლიდერობა შეინარჩუნა და ახლა მთელი გელზენკირხენი მომავალი შაბათის მოლოდინშია. დიდი შანსია, რომ „ხუმარებს" ოცნება აუსრულდეთ და ჩემპიონობა დორტმუნდში, მოსისხლე მტრის დამარცხებით გაინალდონ, თუმცა ამისთვის „შტუტგარტისა" და „ვერდერის" მარცხი იქნება საჭირო. ცხადია, რეალურია ის ვარიანტიც, რომ „შალკემ" ასე ნანატრი ჩემპიონობა სწორედ დორტმუნდში დაკარგოს, რაც **ლევან კობიაშვილსა** და მის თანაგუნდელებს ყველაზე მეტად არ სურთ. სამაგიეროდ, BVB-ს ფეხბურთელები და გულშემატკივრები უკვე კბილებს ილესავენ და, რა თქმა უნდა, იმაზე ოცნებობენ, რომ მათთვის ჭირივით საძულველი გუნდი გაამწარონ. ისლა დაგვრჩენია, შაბათს დაველოდოთ და ვნახოთ, რა მოხდება რურის დიდ დერბიში.

რაც შეეხება „ნიურნბერგთან" მატჩს. **მირკო სლომკას** შეგირდებმა მხოლოდ 1:0 მოიგეს, თუმცა ანგარიშმა არ უნდა მოგვატყუოს. მართალია, ფრანკებს უმოტივაციო გუნდისა არაფერი ეტყობოდათ და თავგანწირვით იბრძოდნენ, მაგრამ „შალკეს" კიდევ არაერთი გოლის გატანა შეეძლო და აქედან გამომდინარე, გელზენკირხენელთა მოგება აბსოლუტურად დამსახურებულია. შეეძლოთ ბევრი, მაგრამ გაიტანეს მხოლოდ ერთი, რაც საკმარისი აღმოჩნდა. ოღონდ, თუ ჩემპიონობის ბედი ბურთების შეფარდებამ გადაწყვიტა, შესაძლოა, „ხუმარებს" სანანებელი გაუხდეთ ის, რომ შაბათს რამდენიმე მომენტი გაანიავეს, რადგან „შტუტგარტი" „შალკეს" გატანილი და გაშვებული ბურთების სხვაობით გაუთანაბრდა. თუმცა ამჯერად ყველაზე მთავარი 3 ქულის აღება იყო, რასაც „შალკემ" ჩინებულად გაართვა თავი. სლომკას მხსნელად ისევ **კევინ კურანი** მოევლინა, რომელსაც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა სავსებით სამართლიანად უწოდეს „შალკეს მეფე". ეს გახლდათ კურანის მე-15 გოლი მიმდინარე სეზონში და უნდა შევახსენოთ, რომ 10 გოლი თავით აქვს გატანილი. თავით შეუგდო „ნიურნბერგსაც" და ახალდაქორწინებულმა დიდიხანს, ძალიან დიდხანს იზეიმა. მიზეზიც ჰქონდა: კევინმა ერთ სეზონში ამდენი გოლის გატანა ბოლოს 2002/03 წლების სეზონში მოახერხა და მაშინ ის „შტუტგარტის" ღირსებას იცავდა. ამჯერად მას ასისტენტად **ჰამით ალთინთოფი** მოევლინა, რომელსაც კურანი გოლის შემდეგ ვნებიანად ჰკოცნიდა.

*„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს გუნდში ჩემპიონობა ყველაზე მეტად კევინს უნდა. ასე მონდომებული და მოტივირებული ფეხბურთელი მთელი კარიერის განმავლობაში არ შემხვედრია. მან თავის დროზე ბევრი კრიტიკა აიტანა, მაგრამ ამ სეზონში ყველას დაუმტკიცა, რომ უმაღლესი კლასის თავდამსხმელია,"* – ამბობს **ფაბიან ერნსტი**.

თუმცა შალკელებს პირველ ტაიმში საკმაოდ გაუჭირდათ, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი – ფრანკებს ამ ტურამდე ხომ საუკეთესო დაცვა ჰყავდათ მთელს ბუნდესლიგაში. თავად განსაჯეთ, სლომკას ბიჭებმა პირველ ტაიმში მხოლოდ ორი რეალური მომენტი შექმნეს. მეორე ნახევარში კი გაცილებით უკეთ ათამაშდნენ და კურანის, იმ გოლის გარდა, 68-ე, 72-ე და 87-ე წუთებზე შეეძლო გატანა. კარგი მომენტები ჰქონდათ **ბორდონს** (39), **ასამოას** (46, 51), **როდრიგესსა** (53) და **ლინკოლნს** (73). ცუდი ის არის, რომ გავიდა თუ არა მოედნიდან კობიაშვილი (ეს შესვენებაზე მოხდა), „შალკე" მაშინვე უკეთესად ათამაშდა. ქართველი ნახევარმცველი პირველ ტაიმში ძალიან უნიათოდ გამოიყურებოდა, რისთვისაც შეცვალეს კიდეც (ისევ და ისევ **იოზილით**). არადა, სამტურიანი პაუზის შემდეგ, ეს პირველი შემთხვევა გახლდათ, როცა კობიმ სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო თამაში. ლევანმა შეფასებაც ცუდი მიიღო – 5 ბალი...

„შტუტგარტისგან" „მაინცის" დამარცხება მოულოდნელი არ ყოფილა, სამაგიეროდ, მაინცელების უნიათო და უაზრო თამაში იყო მოულოდნელი. გუნდს, რომელსაც ელიტაში დარჩენა სურს, ასე უგულოდ არ უნდა თამაშობდეს. **იურგენ კლოპის** ბიჭებმა „ვერცხლის სინის" კანდიდატის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს და შვაბებს მეტი იღბალი რომ ჰქონოდათ, **მოჰამედ ზიდანსა** და კომპანიას სულაც მიწასთან გაასწორებდნენ. არცაა გასაკვირი, VFB-ს მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი** მატჩის შემდეგ რომ წუხდა, მეტი უნდა გაგვეტანაო. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ შესაძლოა, ჩემპიონობის ბედი ბურთების შეფარდებამ გადაწყვიტოს. მართალია, შვაბები „შალკეს" 1 ქულით ჩამორჩებიან, მაგრამ ბურთების შეფარდება კი ზუსტად „ხუმარებივით" აქვთ: +22. აღსანიშნავია, რომ გერმანიის პირველობის ბედი ბურთების სხვაობამ სულ 6-ჯერ გადაწყვიტა და აქედან, 2-ჯერ ჩემპიონი სწორედ „შტუტგარტი" გახდა (1984 და 92 წლებში).

26-ე წუთზე **არმინ ფეეს** შეგირდებმა კუთხური ჩააწოდეს, მაინცელმა მცველებმა ბურთი ვერ მოიგერიეს, რითაც **დელპიერმა** ისარგებლა და **ფერნანდო მეირას** უპასა. ამ უკანასკნელმა კი 16 მეტრიდან დაჰკრა, **მანუელ ფრიდრიხს** ბურთი ფეხებსშუა გაუძვრინა და მეკარე **ვეტკლო** უშანსოდ დატოვა. პორტუგალიელ მცველს, რომელიც ასევე შვაბთა კაპიტანია, კიდევ ჰქონდა ერთი მომენტი, როცა 62-ე წუთზე შორი დისტანციიდან დაჰქუხა, მაგრამ ბურთი მცირე მანძილით ასცდა „მაინცის" კარს. თუმცა ზუსტად 2 წუთში შტუტგარტელებმა მაინც იხეირეს: შეცვლაზე შესულმა **ანტონიო და სილვამ** **რობერტო ჰილბერტს** საოცნებო პასი მისცა, ამ უკანასკნელმა კი ვეტკლო მოატყუა და 2:0.

„მაინცის" საშველი, ფაქტობრივად, აღარაა. კლოპის სამწყსოს ელიტაში დარჩენის მხოლოდ თეორიული შანსიღა დარჩა – ამ გუნდს ორივე თამაშის მოგება სჭირდება (გლადბახთან და მიუნხენში), თან ისე, რომ „ვოლფსბურგმა" ან „არმინიამ" უნდა წაიფორხილონ. თუკი „შალკე" მომდევნო ტურში „დორტმუნდს" სტუმრობს, იოლი მატჩი არც „შტუტგარტს" აქვთ – VFB ბოხუმში ჩადის და ხვდება გუნდს, რომელსაც **თეოფანის გეკასი** ჰყავს. გეკასი კი, მოგეხსენებათ, თამაშს უგოლოდ არ ტოვებს ხოლმე. ბერძენმა გოლეადორმა ამ ტურშიც გამოიჩინა თავი, როცა მორიგი ეფექტური გოლით, „ჰამბურგის" განადგურებას დაუდო სათავე. დიახ, „შალკეს" შემდეგ „ბოხუმმა" HSV-ც გაამწარა, თანაც მისსავე მოედანზე (3:0). რა ეშველებათ რურელებს, როცა გეკასი წავა („ლევერკუზენთან" გააფორმა კონტრაქტი), ეს არავინ იცის. ფაქტი ისაა, რომ თეოფანისს ბომბარდირთა დავაში ვეღარავინ შეეცილება – გეკასს უკვე 20 გოლი აქვს. და სწორედ ამ „ბოხუმს" უნდა შეხვდეს „შტუტგარტი".

„გლადბახი"-„ბაიერნი" 1:1. ეს რომ „ბაიერნი" არ იყოს, ამ თამაშის შესახებ საერთოდ არაფერს დავწერდით, მაგრამ „ბაიერნია" და რამდენიმე სიტყვა უნდა ვუწყალობოთ. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ამ შეხვედრას ამხანაგური მატჩი უწოდეს, რადგან არცერთ გუნდს მოტივაცია აღარ შერჩა – „გლადბახი" გავარდნილია, „ბაიერნი" კი უეფას თასის საგზურს ხელიდან ვერ გაუშვებს და არც უფრო უკეთესზე ფიქრის უფლება აქვს - რეკორდმაისტერი უკვე გავიდა მე-4 ადგილზე. შედეგიც ისეთი დაფიქსირდა, ტესტმატჩს რომ შეშვენის: 1:1. ჯერ მიუნხენელებმა გაიტანეს (**მაკაი**), მერე კი ბოლოადგილოსნებმა (**კლუგე**). არადა, ორივე გუნდის მაისურზე მიკერებული ვარსკვლავები რომ დავთვალოთ („ბაიერნს" 3, „გლადბახს" 2), ეს ხუთვარსკვლავიანი მატჩი უნდა ყოფილიყო. საინტერესო და ყურადსაღები კი მხოლოდ ის გახლდათ, რომ როცა **ოტმარ ჰიტცფელდმა** მოედანზე მოყვარული **ფიურშტნერი** შეიყვანა, „ბაიერნის" ფანებმა ერთხმად დაიწყეს ამ სიტყვების სკანდირება: *„უფრო მეტი, უფრო მეტი მოყვარული გვინდა, ნეხვო მილიონრებო!"*

მომავალ შაბათს „დორტმუნდი" „შალკესთან" თავისუფლად ითამაშებს, რადგან „ბორუსიამ" ბუნდესლიგაში დარჩენა უკვე გაინაღდა. BVB-მ ვოლფსბურგში იმარჯვა 2:0 და ახლა რაც არ უნდა მოხდეს, აღარ გავარდება, რაც **თომას დოლის** შეგირდებისთვის უდიდესი შვებაა. პირველი გოლი **ები სმოლიარეკის** ანგარიშზეა, რომელმაც მე-12 წუთზე, **ტინგას** პასის შემდეგ **მადლუნგი** გააცურა და 11 მეტრიდან გაუტანა **იენტცშს**. სმოლიარეკი „მგლების" რისხვაა – პოლონელმა „ვოლფსბურგის" კარი მეხუთე მატჩში მეხუთედ დალაშქრა. მისი გოლის შემდეგ ვესტფალიელებმა უკან დაიხიეს და კონტრშეტევებს მიანიჭეს უპირატესობა. მასპინძელთაგან კარგი მომენტები ჰქონდათ **ბოაკისა** და **კრჟინოვეკს**, მაგრამ ვერ ივარგეს. მსაჯის მიერ დამატებულ პირველ წუთზე კი „ბორუსიამ" მეორე გოლის გატანა შეძლო. და არ იკითხავთ, ვინ იხეირა? დაუჯერებელია და **ნელსონ აედო ვალდესმა** - როგორც იქნა, პარაგვაელმა თავდამსხმელმა „დორტმუნდის" მაისურით პირველი გოლი გაიტანა. მომდევნო სეზონში ვალდესი „ბორუსიისთვის" ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, რადგან **ალექსანდერ ფრაი** მალე ოპერაციას გაიკეთებს და მინიმუმ ხუთთვიან შვებულებას აიღებს.

### მომდევნო ტური

**12 მაისი. კოტბუსი-ბაიერნი-, ნიურნბერგი-ჰამბურგი, ბორუსია (დ)-შალკე, ჰერტა-ლევერკუზენი, ბოხუმი-შტუტგარტი, მაინცი-ბორუსია (მ), არმინია-ჰანოვერი, ვერდერი-აინტრახტი, ალემანია-ვოლფსბურგი.**

### ჰანოვერი-კოტბუსი 2:0

**ჰანოვერი:** ენკე-3, ჩერუნდოლო-3, ფარენჰორსტი-3, ვინიციუსი-2.5, ტარნატი-2.5, ბალიტში-3.5 (85. ჟურავი), იანკოვი-3, როზენტალი-3 (73. შტაინერი), ბრუგინკი-2, ჰუშტი-2 (85. ჰალფარი), ჰაშემიანი-3.

**კოტბუსი:** პიპლიცა-2.5, ვ. და სილვა-5, მაკენა-5, მიტრესკი-5, კვიტანოვიჩი-5.5, კუკიელკა-4, ტ. როსტი-4, ბაუმგარტი-5 (60. ციბიგი-4), სკელა-5 (60. გუნკელი-4), კიოიო-5 (60. შაო-4), რადუ-4.5.

**გოლები:** 1:0 ვინიციუსი (37), 2:0 ბრუგინკი (83).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 24-6; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 19-11; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 43 509.

### შალკე-ნიურნბერგი 1:0

**შალკე:** ნოიერი-3, რაფინია-3, ბორდონი-2.5, როდრიგესი-2, პანდერი-3.5, ერნსტი-3.5, ჰამით ალთინთოფი-2.5, ლინკოლნი-2.5 (88. ვარელა), ასამოა-3 (67. ჰალილ ალთინთოფი-3.5), კურანი-2, კობიაშვილი-5 (46. იოზილი-3).

**ნიურნბერგი:** შეფერი-2, ბოშამი-4, ვოლფი-4.5, გალაშეკი-3.5, პინოლა-4.5 (53. დ. რაინჰარდტი-4), სპირანოვიჩი-4, კრისტრიანსენი-4 (67. პაგენბურგი-4.5), ენგელჰარდტი-4, პოლაკი-4.5 (71. მინტალი), შროთი-5, საენკო-4.

**გოლი:** 1:0 კურანი 64).

**გაძევება:** გალაშეკი (82. ნიურნბერგი).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 22-6; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 15-27; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 61 482.

### აინტრახტი-ალემანია 4:0

**აინტრახტი:** ნიკოლოვი-3.5, ოხსი-3, კირიაკოსი-3 (85. რუსი), ვასოსკი-2.5, შპიხერი-3.5, ფინკი-3.5, ჰუგელი-3, კიოლერი-1.5, შტრაიტი-2.5 (75. ა. მაიერი), ტაკაჰარა-3 (70. ჰელერი-3.5), ამანატიდისი-3.

**ალემანია:** ნიხთი-2.5, შტელე-4, კლიტცპერა-5, ჰერციგი-4.5, ლეივაკაბესი-3.5, მ. ლემანი-4.5, ჰაიდრიხი-4.5, პინტუ-4.5 (46. ებერსი-3.5), რიოსლერი-4 (71. ფილი), რეგეკამპფი-4.5 (46. სიჩონი-4), იბიშევიჩი-5.

**გოლები:** 1:0 ჰუგელი (3), 2:0 ვასოსკი (30), 3:0 ტაკაჰარა (57), 4:0 კიოლერი (80).

**გაძევება:** კლიტცპერა (56. ალემანია).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 32-12; **კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 13-22; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 51 500.

### ვოლფსბურგი-ბორუსია (დ) 0:2

**ვოლფსბურგი:** იენტცში-3.5, კიროგა-4, მადლუნგი-4.5, ჰოფლანდი-4, ვან დერ ჰეიდენი-4 (81. ლამპრეხტი), მაკიადი-4.5, ვან დერ ლეეგტე-4.5, კრჟინოვეკი-4 (71. შარპეი), მარსელინიო-4, ბოაკი-3 (64. ჰილი-4), კლიმოვიჩი-3.5.

**ბორუსია (დ):** ვაიდენფელერი-3, ფ. დეგენი-3.5, ბრჟენსკა-3.5, მეტცელდერი-4, დედე-3, კრუსკა-3, კრინგე-3 (66. გორდონი-3.5), ტინგა-2, პიენაარი-2.5, სმოლიარეკი-2.5 (89. კელი), ფრაი-3.5 (78. ვალდესი).

**გოლები:** 0:1 სმოლიარეკი (12), 0:2 ვალდესი (91).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 16-9; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 19-13; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 30 000.

### ჰამბურგი-ბოხუმი 0:3

**ჰამბურგი:** ფ. როსტი-3, ბენჯამინი-5.5, დემელი-4, მატიისენი-4, სორინი-2.5, მაჰდავიკია-3, იაროლიმი-3.5, ლაასი-4 (66. ბენ-ჰატირა-3), ვან დერ ვაარტი-4 (72. ტროხოვსკი), გერერო-4 (66. სანოგო-4), ოლიჩი-4.5.

**ბოხუმი:** დრობნი-3, შრიოდერი-3.5, მალტრიტცი-3, იაია-3.5, ბუტშერი-4, მიშიმოვიჩი-3.5, დაბროვსკი-3 (65. იმჰოფი-3.5), ცდებელი-4, გროტე-3 (78. ბიონიგი), ეპალე-3.5 (82. დრშეკი), გეკასი-2.5.

**გოლები:** 0:1 გეკასი (61), 0:2 გროტე (66), 0:3 მიშიმოვიჩი (80-პენ).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 23-11; **კუთხური:** 3-1; **ჯარიმა:** 16-15; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 57 000.

### ბორუსია (მ)-ბაიერნი 1:1

**ბორუსია (მ):** ჰაიმეროთი-2, ბიოგელუნდი-4, სვენსონი-4, ზე ანტონიო-4.5, კომპერი-3.5, სფერდი-4, ელ ფაკირი-5 (46. მარინი-3.5), იანსენი-2.5, ინსუა-3.5, კლუგე-2.5 (89. ლეველსი), რაფაელი-3.5 (79. ლამიდი).

**ბაიერნი:** რენზინგი-3, ლელი-4.5, ლუსიო-3.5, ვან ბუიტენი-4, ლამი-3.5, გიორლიტცი-4 (64. შოლი-3), დემიკელისი-3.5, ოტლი-4, ქარიმი-3 (87. ფიურშტნერი), მაკაი-3 (74. სანტა კრუსი), პისარო-4.

**გოლები:** 0:1 მაკაი (12), 1:1 კლუგე (52).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 17-17; **კუთხური:** 10-8; **ჯარიმა:** 15-9; **ბურთის ფლობა:** 36%-64%.

**მაყურებელი:** 54 067.

### შტუტგარტი-მაინცი 2:0

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი-3, ოსორიო-4, მეირა-3, დელპიერი-2 (86. ტასკი), მანინი-2.5, პარდო-4, ჰილბერტი-2, ხედირა-3.5, ლაუთი-3 (58. ა. და სილვა-2.5), ჰიტცლშპერგერი-3.5, კაკაუ-3.5 (83. შტრელერი).

**მაინცი:** ვეტკლო-3.5, დუ-რი ჩა-4, მ. ფრიდრიხი-4.5, ნოვესკი-4.5, ვაიგელტი-4.5 (34. როზე-4), პეკოვიჩი-4, გერბერი-3.5, ანდრეასენი-4, აზაუაგი-4.5 (54. რუმანი-4), სოტო-4 (70. იოვანოვიჩი-4), ზიდანი-3.

**გოლები:** 1:0 მეირა (26), 2:0 ჰილბერტი (64).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 17-11; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 5-19; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 56 000.

### ჰერტა-ვერდერი 1:4

**ჰერტა:** ფიდლერი-4, ა. ფრიდრიხი-4.5 (46. ჯ. ბოატენგი-4), ვან ბურიკი-5, შიმუნიჩი-6, ფათი-4, დარდაი-4 (75. ედე), მინეირო-4.5, დეჟაგა-3.5, ბაშთურქი-3, ჟილბერტო-2.5, ხიმენესი-5 (55. პანტელიჩი-3.5).

ეროვნული

**ვერდერი:** ვიზე-3.5, ფრიტცი-3.5, ბაუმანი-3, პასანენი-3, ვომე-3, ფრინგსი-3, [illegible]-2.5 (67. ვრანიეში-3.5), შულცი-3.5 (38. დ. იენსენი-3.5), დიეგო-2, კლოზე-2.5 (85. შინდლერი), როზენბერგი-1.

**გოლები:** 0:1 როზენბერგი (19), 0:2 როზენბერგი (50), 0:3 დიეგო (60), 1:3 ჟილბერტო (61), 1:4 როზენბერგი (82).

**გაძევება:** შიმუნიჩი (35. ჰერტა).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 8-21; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 15-16; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 74 222.

### ლევერკუზენი-არმინია 1:2

**ლევერკუზენი:** ადლერი-3.5, კასტრო-3, ჰაგი-5 (84. პაპადოპულოსი), კალსენ-ბრაკერი-4, ბაბიჩი-5 (76. შტენმანი), რამელოვი-4.5 (67. კისლინგი-4), როლფესი-4, ფრაიერი-4, შნაიდერი-4, ბარბარესი-3, ვორონინი-3.5.

**არმინია:** ჰაინი-3.5, ბოლმანი-3.5, ვესტერმანი-2.5, კუჩერა-3, რაუ-4, კაუფი-3, ტეშე-2.5, ბიომე-3.5 (84. შულერი), მასმანიდისი-4 (57. ტ. მარქსი-4), ვიხნიარეკი-3 (69. კამპერი-3.5), აიგლერი-3.5.

**გოლები:** 0:1 ვიხნიარეკი (19), 1:1 ბარბარესი (30), 1:2 კამპერი (83).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 16-8; **კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 23-12; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 22 500.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 32 | 20 | 5 | 7 | 51-29 | 65 |
| 2. შტუტგარტი | 32 | 19 | 7 | 6 | 56-34 | 64 |
| 3. ვერდერი | 32 | 19 | 6 | 7 | 73-38 | 63 |
| 4. ბაიერნი | 32 | 16 | 6 | 10 | 47-38 | 54 |
| 5. ნიურნბერგი | 32 | 10 | 15 | 7 | 40-30 | 45 |
| 6. ლევერკუზენი | 32 | 13 | 6 | 13 | 49-46 | 45 |
| 7. ჰანოვერი | 32 | 12 | 8 | 12 | 40-44 | 44 |
| 8. ბოხუმი | 32 | 12 | 6 | 14 | 45-47 | 42 |
| 9. ბორუსია (დ) | 32 | 11 | 8 | 13 | 38-41 | 41 |
| 10. ჰერტა | 32 | 11 | 8 | 13 | 46-51 | 41 |
| 11. კოტბუსი | 32 | 11 | 8 | 13 | 37-44 | 41 |
| 12. ჰამბურგი | 32 | 8 | 15 | 9 | 37-37 | 39 |
| 13. არმინია | 32 | 10 | 9 | 13 | 43-46 | 39 |
| 14. აინტრახტი | 32 | 8 | 13 | 11 | 43-55 | 37 |
| 15. ვოლფსბურგი | 32 | 8 | 12 | 12 | 35-41 | 36 |
| 16. ალემანია | 32 | 9 | 6 | 17 | 44-64 | 33 |
| 17. მაინცი | 32 | 7 | 10 | 15 | 29-52 | 31 |
| 18. ბორუსია (მ) | 32 | 6 | 8 | 18 | 23-39 | 26 |

**ბომბარდირები:** 20 - გეკასი (ბოხუმი); 15 - ფრაი (ბორუსია დ), მაკაი (ბაიერნი), კურანი (შალკე); 13 - კლოზე (ვერდერი), დიეგო (ვერდერი), ზიდანი (მაინცი), გომესი (შტუტგარტი), რადუ (კოტბუსი); 12 - კაკაუ (შტუტგარტი), პანტელიჩი (ჰერტა).

### II ბუნდესლიგა

XXXII ტური

**აუე-კარლსრუე 2:2**

**გოლები:** 1:0 რანგელოვი (23), 2:0 რანგელოვი (40), 2:1 კაუფმანი (75), 2:2 კაუფმანი (88)

**აუგსბურგი-ოფენბახი 1:1**

**გოლები:** 1:0 მიულერი (40), 1:1 აგრიტისი (77)

**ფრაიბურგი-პადერბორნი 0:1**

**გოლი:** 0:1 რიოტგერი (90)

**ბურგჰაუზენი-კარლ ცაისი 1:1**

**გოლები:** 0:1 ვერნერი (32), 1:1 ჰერტლი (90)

**ფიურტი-ესენი 0:2**

**გოლები:** 0:1 ლორენცი (18), 0:2 ოეზბეკი (70)

**ჰანზა-კობლენცი 0:3**

**გოლები:** 0:1 მაიერჰოფერი (4), 0:2 ოზბეკი (70), 0:3 ძაკა (74)

**კაიზერსლაუტერნი-ბრაუნშვაიგი 1:1**

**გოლები:** 0:1 როდრიგესი (61), 1:1 მაისნერი (85)

**მიუნხენი-უნტერჰახინგი 1:0**

**გოლი:** 1:0 სეიჰუნი (10-საკ. კარში)

**დუისბურგი-კიოლნი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარლსრუე | 32 | 20 | 7 | 5 | 66-37 | 67 |
| 2. ჰანზა | 32 | 14 | 14 | 4 | 44-28 | 56 |
| 3. დუისბურგი | 31 | 14 | 12 | 5 | 59-37 | 54 |
| 4. ფიურტი | 32 | 16 | 6 | 10 | 51-35 | 54 |
| 5. ფრაიბურგი | 32 | 15 | 9 | 8 | 50-39 | 54 |
| 6. კაიზერი | 32 | 13 | 12 | 7 | 45-31 | 51 |
| 7. აუგსბურგი | 32 | 13 | 10 | 9 | 41-30 | 49 |
| 8. მიუნხენი | 32 | 14 | 5 | 13 | 44-45 | 47 |
| 9. აუე | 32 | 13 | 5 | 14 | 43-44 | 44 |
| 10. პადერბორნი | 32 | 11 | 9 | 12 | 31-33 | 42 |
| 11. კიოლნი | 31 | 11 | 8 | 12 | 42-45 | 41 |
| 12. კობლენცი | 32 | 10 | 8 | 14 | 34-42 | 38 |
| 13. ესენი | 32 | 8 | 10 | 14 | 33-36 | 34 |
| 14. კარლ ცაისი | 32 | 8 | 10 | 14 | 37-54 | 34 |
| 15. ოფენბახი | 31 | 9 | 6 | 16 | 38-55 | 33 |
| 16. უნტერჰახინგი | 32 | 8 | 8 | 16 | 30-45 | 32 |
| 17. ბურგჰაუზენი | 32 | 6 | 10 | 16 | 36-61 | 28 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 32 | 4 | 10 | 18 | 19-46 | 22 |

**ბომბარდირები:** 17 - კაპლანი (კარლსრუე); 16 - ფედერიკო (კარლსრუე); 14 - ლოური (აუგსბურგი); 13 - ტურკერი (ოფენბახი); 12 - ტიმი (ფიურტი), მოხტარი (დუისბურგი); 11 - ჰელმესი (კიოლნი), კერნი (ჰანზა), ლავრიჩი (დუისბურგი); 10 - ანტარი (ფრაიბურგი).

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXXIV ტური

**ალენი-ჰამბურგი II 1:2; ოსნაბრიუკი-სტ.პაული 0:0; ფორტუნა-ემდენი 1:1; მაგდებურგი-უნიონი 3:1; ერფურტი-ლევერკუზენი II 3:2; დინამო (დ)-ვილჰელმშავენი 3:1; ვუპერტალი-ჰერტა II 1:3; დორტმუნდი II-ვერდერი II 1:0; გლადბახი II-კილი 6:1.**

### რეგიონალლიგა (სამ)

XXX ტური

**კაიზერი II-ინგოლშტადტი 0:2; აალენი-პფიულენდორფი 0:1; ელვერსბერგი-ზაარბრიუკენი 1:3; კასელი-როიტლინგენი 0:0; ჰოფენჰაიმი-ზიგენი 4:0; კარლსრუე II-დარმშტადტი 3:2; მიუნხენი II-პირმასენსი 3:0; ვეენი-შტ.კიკერსი 1:0; შტუტგარტი II-ბაიერნი II 4:0.**

ინგლისი. პრემიერლიგა. XXVII ტური

# მანჩესტერი მეცხრედ

## ოთხშაბათს: სათასო ფინალის გენერალური რეპეტიცია სტემფორდ ბრიჯზე



ცრემლები საქმეს ვეღარ უშველის

"მანჩესტერ იუნაიტედი" პრემიერლიგის ცხრაგზის ჩემპიონია. "არსენალი"-"ჩელსის" მატჩის ფრედ დასრულების შემდეგ, პირველ და მეორე ადგილებს შორის შვიდქულიანი სხვაობა დაფიქსირდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოთხშაბათს, როცა "ეშმაკები" "არისტოკრატებს" "სტემფორდ ბრიჯზე" ესტუმრებიან, გრანდების ჭიდილი აბსოლუტურად ვერაფერს გადაწყვეტს და ერთგვარი მოთელვა იქნება ასოციაციის თასის ფინალის წინ.

გუშინ "ემირეტსზე" სტუმართა ჰოლანდიელ მცველ **ხალიდ ბულარუზს** წითელი ბარათი აუფრიალეს. **ჟულიო ბაპტიშტას** წინააღმდეგ ჩადენილი ბოლო იმედის ჯარიმისთვის 11-მეტრიანიც დაინიშნა. ის **ჟილბერტო სილვამ** გაიტანა. მეორე ტაიმში რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილმა "ჩელსიმ" მაინც შეუტია და საფინალო სასტვენამდე 20 წუთით ადრე წონასწორობა აღადგინა. უფრო მეტის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდა.

**სერ ალექს ფერგიუსონმა** ლონდონური დერბის ბოლო 15 წუთს ტელევიზორში უყურა. თამაშის დასრულებისთანავე, "სქაი სპორტსმა" მას ჩემპიონობა მიულოცა და სახელდახელო ინტერვიუ ჩამოართვა: *"საღამოს ჩემი შვილიშვილის თამაშზე ვიყავი. მათ თავის ლიგა მოიგეს, ჩვენ - ჩვენი. "ემირეტსზე" თამაშს ბოლოსლა ვუყურე. ვღელავდი და გული ყელში მომებჯინა. "ჩელსიმ" საოცრად იბრძოლა. ქება და ქება მათ."* კითხვაზე, როგორ იხსენებს წინა რვა ტიტულს, ფერგიმ მიუგო: *"თითოეული გამარჯვება განსაკუთრებული იყო. მაგრამ ის, რომ ორი წელიწადი "ჩელსის" მდევრები ვიყავით და მხოლოდ წლეულს მოვახერხეთ მისი გადასწრება, წლევანდელ შედეგს განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს. წარმატებას დამაჯერებელმა სტარტმა შეუწყო ხელი. უპირატესობა, რომელიც მაშინ მოვიპოვეთ, ბოლომდე გაგვყვა."*

კომენტარი გააკეთა **ჟოზე მოურინიომაც**: *"ვულოცავ ჩემპიონებს, მათ ფეხბურთელებს, მწვრთნელს, დირექტორებს, ფანებსა და ყველას, ვინც იუნაიტედს ამ შედეგის მიღწევაში დაეხმარა. უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს არანაკლებ ამაყი ვარ, ვიდრე მაშინ, როცა ჩემპიონობას მილოცავდნენ. ჩემი ფეხბურთელები გმირები არიან. ყველაფრის მიუხედავად, მათ მთელი სეზონი დიდებულად ჩაატარეს. ვფიქრობ, შთამბეჭდავი სეზონი იყო. დღევანდელი მატჩის ხილვაც ერთ რამედ ღირდა. "არსენალთან" თამაშმა აჩვენა, თუ რამხელა ვარსკვლავები ჰყავს "ჩელსის". თუ ჩემპიონი ტიტულს თმობს, ფეხბურთელებს სათამაშოდ განწყობა უჭირთ ხოლმე, მაგრამ როგორც ნახეთ, ჩემმა გუნდმა საპირისპირო მაგალითი აჩვენა. "ჩელსი" დიდებულია..."*

"იუნაიტედმა" ჩემპიონობას შაბათს ჩაუყარა საფუძველი, როცა თანაქალაქელი "სიტი" კინკილა პენალტით დაამარცხა. "მანჩესტერის" პენალტებთან მოურინიოს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს - მსაჯებს "ეშმაკების" კარში 11-მეტრიანების დანიშვნის ეშინიათო. **რობ სტაილზი**, როგორც ჩანს, შიშს არად დაგიდევთ. მან მეორე ნახევარში სტუმართა ნიშნულისკენაც გაიშვირა ხელი. **დარიუს ვასელმა** კი **კრისტიანო რონალდოს** ვერ მიბაძა და გათანაბრების შანსი გაანიავა. ეს არ იყო მხოლოდ წონასწორობის აღდგენის მცდელობა. ეს, პირველ რიგში, სავალალო სერიის დასრულების მცდელობა იყო - "სიტის" საკუთარ მოედანზე 1 იანვრის შემდეგ არ გაუტანია. მთელი სეზონის განმავლობაში "ისტლენდზე" მან მხოლოდ 10-ჯერ გამოიჩინა თავი. ეს ინგლისური ფეხბურთის ანტირეკორდია. აქამდე ყველაზე ცოტა, 11 საშინაო გოლი "ვულვიჩ არსენალს" 1912-13 და "სანდერლენდს" 2002-03 წლების სეზონებში ჰქონდათ გატანილი. **სტიუარტ პირსის** შეგირდებმა მათი მიღწევა გააუმჯობესეს და საკუთარი სახელები ისტორიაში ჩაწერეს.

რაც შეეხება მასპინძელთა კარში დანიშნულ პენალტს. მოურინიოს სტაილზის გადაწყვეტილების გაპროტესტება გაუჭირდება. **მაიკლ ბოლმა** კრისტიანო ნამდვილად წააქცია. აქ მხოლოდ ერთი კითხვა შეიძლება გაჩნდეს: რატომ იყო ბოლი მინდორზე? ის ხომ თამაშის დასაწყისშივე უნდა გაეგდოთ? მეორე წუთზე მან რონალდოს მუცელში წიხლი ჩააზილა. სტაილზმა ეს ვერ დაინახა. სამაგიეროდ, სერ ალექსმა ეპიზოდი სარეზერვო მსაჯის მონიტორზე იხილა და განრისხებული კინაღამ მინდორზე შევარდა. ბოლმა, რომელიც გლაზგოური და ლივერპულური დერბების ვეტერანია, მანჩესტერულ დერბიში სუსტად ითამაშა. რონალდომ მის უხეშობებს საკადრისი პასუხი გასცა: 34-ე წუთზე ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელმა სეზონის 23-ე გოლი გაიტანა.

ბურთს "იუნაიტედი" აკონტროლებდა, მაგრამ უფრო სახიფათო მომენტებს მასპინძლები ქმნიდნენ. ჯერ კიდევ შესვენებამდე **ემილ მპენზასა** და **დამარკუს ბისლის** მეტოქის დამწუხრება შეეძლოთ, მაგრამ ბურთი მეკარე **ედვინ ვან დერ სარს** გაარტყეს. "სიტის" დისკვალიფიცირებული ნახევარმცველი **ჯოი ბარტონი** აკლდა. ამ უკანასკნელმა თანაგუნდელ **უსმან დაბოს** ვარჯიშზე ყბა გაუტეხა. მისი ქმედება იმ მასშტაბის ხულიგნობად შეფასდა, რომ საქმეში შეიძლება პოლიცია ჩაერთოს...

**კარლოს ტევესმა** "ვესტ ჰემი" გასავარდნი ზონიდან ამოიყვანა. არგენტინელმა თავდამსხმელმა ორი გოლი გაიტანა და ერთი საგოლე გადაცემა მიითვალა. "ჩაქუჩებმა" ბოლო რვა შეხვედრიდან ექვსი მოიგეს და თითქმის გაინაღდეს პრემიერლიგაში დარჩენა. მთავარია, სადისციპლინო კომიტეტმა გადაწყვეტილება არ შეცვალოს და ტევესისა და **ხავიერ მასკერანოს** უკანონო ტრანსფერებისთვის კლუბს ქულები არ ჩამოაჭრას. ერთი კვირის წინათ "ვესტ ჰემს" უპრეცენდენტო ოდენობის ჯარიმის, 5.5 მილიონი გირვანქის გადახდა დააკისრეს. მთავარ მწვრთნელ **ალან კერბიშლის** შეუძლია, სული მოითქვას. მისი ვესტჰემური კარიერა მძიმედ დაიწყო. პირველი 11 მატჩიდან "ჩაქუჩებმა" მხოლოდ ერთი მოიგეს. სამაგიეროდ, ჩემპიონატის მიწურულს ძალები მოიკრიბეს და თითქმის სამშვიდობოს იმყოფებიან.

"ვესტ ჰემმა" "ბოლტონს" ნახევარ საათში სამი გოლი გაუტანა. ბოლტონელთა დამრიგებლის პოსტზე **სემი ლის** დებიუტი წარუმატებელი გამოდგა. მის შეგირდებს უეფას თასის მიღმა დარჩენა ემუქრებათ. სტუმრების რბევა მე-20 წუთზე დაიწყო. ტევესმა საუცხოო საჯარიმო შეაგდო. 11 წუთში, **ნობლისა** და **ბოა მორტეს** მიერ წამოწყებული იერიში დააგვირგვინა. კიდევ რვა წუთში მან სტუმარი მცველების შეცდომით ისარგებლა და შორ ძელთან უმეთვალყურეოდ დატოვებულ ნობლის გაუკეთა პასი. სტუმრები მეორე ტაიმში გამოცოცხლდნენ, მაგრამ **გარი სპიდმა** მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა მოახერხა...

მოლოდინისამებრ, "ლივერპულს" "ფულჰემისთვის" დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. **ლორი სანჩესის** შეგირდებმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს. მათ, ფაქტობრივად, გაინაღდეს პრემიერლიგაში დარჩენა. ერთადერთი გოლი **კლინტ დემპსიმ** 69-ე წუთზე შეაგდო. ეს მისი პირველი, ინგლისური გოლი იყო. დემპსი იანვრის ტრანსფერებისას "ნიუ ინგლენდი რევოლუშენიდან" 1.5 მილიონ გირვანქად შეიძინეს.

**რაფა ბენიტესმა** "ჩელსისთან" საპასუხო მატჩის შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეცვალა. მან მხოლოდ **პეპე რეინა** და **ჯერმეინ პენანტი** ათამაშა. ამის მიუხედავად, ბურთს უმეტესად მერსისაიდელები აკონტროლებდნენ. პირველ ნახევარში **რობი ფაულერმა** ცარიელ კარში ვერ გაიტანა, ხოლო "ფულჰემის" მეკარემ **კრეიგ ბელამის** მკვდარი ბურთი აუღო. დემპსის გოლამდე ლონდონელებმა ერთადერთი მომენტი შექმნეს: **ვინჩენცო მონტელამ** ხარიხა შეაზანზარა. გამარჯვება მშვენიერი საჩუქარი იყო **მოჰამედ ალ ფაიედისთვის**, რომელიც "ფულჰემში" მისვლის ათი წლისთავს აღნიშნავდა. ნამატჩევს, ლონდონელებმა მინდორს საპატიო წრე დაარტყეს, თითქოს ის იყო, ისტორიულ შედეგს მიაღწიესო. თამაშს ინციდენტის გარეშე არ ჩაუვლია: **მაიკლ ბრაუნმა ჩაბი ალონსოს** თავი ჩაარტყა და დაასისხლიანა. ის არ გაუძევებიათ. სამაგიეროდ, არბიტრმა ორი ყვითელი ბარათი არ დაიშურა დიოპისთვის. მსაჯისგან დამატებულ წუთებზე ის გასახდელის გზას გაუყენეს.

"ვიგანი" განსაცდელშია. ბოლო ტურში **პოლ ჯუელის** შეგირდებმა "შეფილდ იუნაიტედს" გასვლაზე უნდა მოუგონ. გამარჯვება, შეიძლება, საკმარისი არ აღმოჩნდეს. თანაც "შეფილდი"-"ვიგანი" მასპინძლებისთვისაც ბოლო შანსია. შეფილდელებზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ. იქამდე კი "ვიგანის" კარში გასული გოლი აღვწეროთ: "მიდლსბრომ" კურიოზულ ვითარებაში გაიტანა. საჯარიმოს შესრულებისას **სტიუარტ დაუნინგს** ფეხი დაუცდა, მაგრამ მეკარის მოედანთან მდგომ **მარკ ვიდუკას** მაინც მიაწოდა ბურთი. ავსტრალიელმა მაშინვე გაიტანა. "ვიგანი" გადახალისებული შემადგენლობით თამაშობდა. "ვესტ ჰემთან" ერთი კვირის წინანდელი მატჩის შემდეგ, ჯუელმა ხუთი ფეხბურთელი შეცვალა. ვიგანელთა თავკაცი "ვესტ ჰემისთვის" ქულების დაკლებას ითხოვს (ზემოხსენებული არგენტინული ტრანსფერებისთვის). ლონდონელთა დასჯა მისი გუნდის წისქვილზე დაასხამდა წყალს...

რაც შეეხება "შეფილდს", **სტივ უორნოკის** გუნდი პრემიერლიგაში დარჩენას ამ შაბათსაც გაინაღდებდა, მაგრამ "ასტონ ვილასთან" ვერაფერს გახდა. "იუნაიტედს" "ვილა პარკზე" შორეული 1966 წლის შემდეგ არ მოუგია (ცხრა წაგება და ორი ფრე). შეფილდელებმა სტუმრად სეზონის ბოლო მატჩი ჩაატარეს. მათ მეტოქის მოედანზე ბოლო წარმატებას დეკემბერში მიაღწიეს და სხვათა შორის, იმ შეხვედრაში თავიანთ მომავალ მეტოქეს, "ვიგანს" სძლიეს. იმასაც გეტყვით, რომ თამაშის წინ "ვილა პარკი" ფეხზე წამოუდგა 1982 წლის "ასტონ ვილის" ვეტერანებს, რომელთაც 25 წლის წინათ ჩემპიონთა თასის ფინალში (როტერდამში) "ბაიერნი" 1:0 დაამარცხეს...

"ევერტონმა" "პორტსმუთს" გადაუარა და უეფას თასის საგზურზე განაცხადა პრეტენზია. მის წარმატებას ორი კონკურენტის, "რედინგისა" და "ბოლტონის დამარცხებებმა შეუწყო ხელი. ლივერპულელებმა შინ სეზონის ბოლო მატჩი ჩაატარეს, ამიტომ თამაშის შემდეგ მინდორს საპატიო წრე დაარტყეს და ფანებს მადლობა გადაუხადეს. "რედინგმა" კი, რომელიც ევროპულ ზონაში მოხვედრას ცდილობდა, შინ გავარდნილ "უოტფორდთან" ორი ბურთის სხვაობით წააგო. ასეთივე შედეგი დაფიქსირდა "ნიუკასლისა" და "ბლექბერნის" შეხვედრაში. მასპინძელთა შემადგენლობაში კვლავ სრულად ითამაშა **მაიკლ ოუენმა** ("სენტ ჯეიმსზე" ბოლოს 10 დეკემბერს ჰქონდა ნათამაშევი) და ორი ნახევარმომენტი ვერ გამოიყენა. ჯორდებმა ბოლო ათი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგეს და ამ ხნის განმავლობაში სამად-სამი გოლი გაიტანეს. "ბლექბერნის" თავდამსხმელმა **ბენი მაკარტიმ** სეზონის 22-ე ბურთი ჩაიწერა აქტივში.

### გადატანილი მატჩები

9 მაისი. ჩელსი-მანჩესტერ იუნაიტედი.
10 მაისი. ტოტენჰემი-ბლექბერნი.

### მომდევნო ტური

13 მაისი. ბლექბერნი-რედინგი, ბოლტონი-ასტონ ვილა, ჩელსი-ევერტონი, ლივერპული-ჩარლტონი, მანჩესტერ იუნაიტედი-ვესტ ჰემი, მიდლსბრო-ფულჰემი, პორტსმუთი-არსენალი, შეფილდი-ვიგანი, ტოტენჰემი-მანჩესტერ სიტი, უოტფორდი-ნიუკასლი.

### მანჩ. სიტი-მანჩ. იუნაიტედი 0:1

**სიტი**: ისაკსონი, ონუა, დანი, დესტენი, ბოლი, ჰამანი (46. სუნი), ვასელი, ჯონსონი, ირლანდი (69. დიკოვი), ბისლი (61. სინკლერი), მპენზა.

**იუნაიტედი**: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ჰაინცე, რონალდო, ქერიკი, სქოულზი, გიგზი, სმიტი (73. ფლეტჩერი), რუნი (87. ოში).

**გოლები**: 0:1 რონალდო (34-პენ)

**გაფრთხილება**: 2-2; **დარტყმა**: 4(3)-6(3); **კუთხური**: 5-3; **ჯარიმა**: 13-10.

**მაყურებელი**: 47 244

### ვესტ ჰემი-ბოლტონი 3:1

**ვესტ ჰემი**: გრინი, ნილი, კოლინზი, ფერდინანდი, მაკარტნი, ბენაიუნი, რეო კოკერი (86. მულინზი), ნობლი, ბოა მორტე (79. სპექტორი), ზამორა (64. ჰერვუდი), ტევესი.

**ბოლტონი**: იაასკელაინენი, კამპო, მეიტე, მიხალიკი, გარდნერი (76. იანაკოპულოსი), ტომპსონი (58. სინკლერი), სპიდი, თეიმურიანი (65. ვას ტე), ნოლანი, ანელკა, დევისი.

**გოლები**: 1:0 ტევესი (10), 2:0 ტევესი (21), 3:0 ნობლი (29), 3:1 სპიდი (67).

**გაფრთხილება**: 2-5; **დარტყმა**: 9(6)-8(3); **კუთხური**: 5-3; **ჯარიმა**: 17-21.

**მაყურებელი**: 34 404

### ფულჰემი-ლივერპული 1:0

**ფულჰემი**: ნიემი, როსენორი, კრისტანვალი, ნაიტი, ბოკანეგრა, რაძინსკი (90. ვოლცი), ბრაუნი, დიოპი, დევისი, მონტელა (53. დემპსი), მაკბრაიდი (86. ჰელგუსონი).

**ლივერპული**: რეინა, არბელოა, პალეტა, ჰიიპია, ინსუა (75. ფინენი), პენანტი (65. ელ ზარი), ალონსო, სისოკო, გონსალესი (77. კიუელი), ფაულერი, ბელამი.

**გოლი**: 1:0 დემპსი (69).

**გაძევება**: დიოპი (90. ფულჰემი).

**გაფრთხილება**: 2-2; **დარტყმა**: 7(5)-9(5); **კუთხური**: 4-14; **ჯარიმა**: 17-15.

**მაყურებელი**: 24 554

### ვიგანი-მიდლსბრო 0:1

**ვიგანი**: პოლიტი, ტეილორი, ბოისი, შარნერი, ბაინესი (57. ანსუორთი), ვალენსია, ლანდზაატი (64. კოტერილი), სკოკო, მაკალოხი, ჰესკი, აგაჰოვა (68. ფოლანი).

**მიდლსბრო**: შვარცერი, დევისი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, დაუნინგი, როშემბაკი, ბოატენგი (76. კატერმოული), არკა, ვიდუკა (86. იუელი), ლი (90. ჯონსონი).

**გოლი**: 0:1 ვიდუკა (29).

**გაფრთხილება**: 3-0; **დარტყმა**: 15(7)-7(3); **კუთხური**: 5-3; **ჯარიმა**: 17-8.

**მაყურებელი**: 21 204

### ასტონ ვილა-შეფილდ იუნ. 3:0

**ვილა**: სორენსენი, ჰიუზი, მელბერგი, ლაურსენი, ბუმა, აგბონლაორი (83. მაკენი), გარდნერი, ბერი, ბერგერი (72. დევისი), კარუ (79. მური), იანგი.

**შეფილდი**: კენი, გირი, მორგანი, კილგალონი, არმსტრონგი (46. შელტონი), გილესპი, მონტგომერი (46. ლიგერტვუდი), ჟაგიელკა, ტონგე, კაზიმ რიჩარდსი, სტიდი (85. ვებერი).

**გოლები**: 1:0 აგბონლაორი (25), 2:0 იანგი (42), 3:0 ბერგერი (59).

**გაფრთხილება**: 2-2; **დარტყმა**: 19(11)-9(2); **კუთხური**: 13-5; **ჯარიმა**: 14-14.

**მაყურებელი**: 42 551

### ევერტონი-პორტსმუთი 3:0

**ევერტონი**: ჰოვარდი, ნევილი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, ოსმანი, კარსლი, ფერნანდესი (90. ნეისმითი), არტეტა, ვოგანი (89. ბიტი), ანიჩებე (77. მაკფადენი).

**პორტსმუთი**: ჯეიმსი, ჯონსონი, პრიმუსი, პამარო, ტრაორე, ლორენი (70. მვუემბა), დევისი, ონილი, კრანჩარი (71. ლუალუა), კანუ (83. დუალა), მვარუვარი.

**გოლები**: 1:0 არტეტა (59-პენ), 2:0 იობო (62), 3:0 ნეისმითი (90).

**გაფრთხილება**: 3-3; **დარტყმა**: 13(7)-12(5); **კუთხური**: 9-8; **ჯარიმა**: 9-19.

**მაყურებელი**: 39 619

### რედინგი-უოტფორდი 0:2

**რედინგი**: ჰანემანი, ჰალფორდი, დაბერი, ინგიმარსონი, შორი, კი ჰიეონი, სიდველი, ჰარპერი (79. გუნარსონი), ჰანტი (76. ოსტერი), ლიტა, კიტსონი (81. დოილი).

**უოტფორდი**: ფოსტერი, დოილი, შიტუ, ავინელი (46. მარიაპა), პაუელი, ვილიამსონი, ბანგურა, რინალდი (10. მაჰონი), სმიტი, კინგი, ჰენდერსონი (82. ჰოსკინსი).

**გოლები**: 0:1 შიტუ (60), 0:2 კინგი (85).

**გაფრთხილება**: 0-2; **დარტყმა**: 15(7)-4(4); **კუთხური**: 14-2; **ჯარიმა**: 10-16.

**მაყურებელი**: 23 294

### ნიუკასლი-ბლექბერნი 0:2

**ნიუკასლი**: ჰარპერი, სოლანო, ონიევუ, ბრემბლი (70. რემიჯი), კარი, დაიერი (70. ამეობი), პარკერი, ბატი, მილნერი, ოუენი, მარტინსი.

**ბლექბერნი**: ფრიდელი, ემერტონი, სამბა, ნელსენი, უორნოკი, ბენტლი, ქერიმოღლუ (89. გალაგერი), მოკოენა, პედერსენი, მაკარტნი (67. დერბიშირი), რობერტსი (85. ნონდა).

**გოლები**: 0:1 მაკარტი (14), 0:2 რობერტსი (73).

**გაფრთხილება**: 1-3; **დარტყმა**: 14(6)-8(6); **კუთხური**: 5-2; **ჯარიმა**: 12-20.

**მაყურებელი**: 51 226

### არსენალი-ჩელსი 1:1

**არსენალი**: ლემანი, ებუე, გალასი, ტურე, კლიში, დიაბი (79. ჰოიტი), ფაბრეგასი, ჟილბერტო, დენილსონი (59. გლები), ადებაიორი, ჟულიო ბაპტიშტა.

**ჩელსი**: ჩეხი, ფერეირა, ბულარუზი, ტერი, ბრიჯი, მიკელი (74. დიარა), ესიენი, ლემპარდი, რაიტ-ფილიპსი (80. სინკლერი), ჯო კოული, კალუ.

**გოლები**: 1:0 ჟილბერტო (43-პენ), 1:1 ესიენი (70).

**გაძევება**: ბულარუზი (43. ჩელსი).

**გაფრთხილება**: 1-2; **დარტყმა**: 7(4)-9(4); **კუთხური**: 3-7; **ჯარიმა**: 19-13.

**მაყურებელი**: 60 102

### ჩარლტონი-ტოტენჰემი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 36 | 28 | 4 | 4 | 83-26 | 88 |
| 2. ჩელსი | 36 | 24 | 9 | 3 | 63-23 | 81 |
| 3. ლივერპული | 37 | 20 | 7 | 10 | 55-25 | 67 |
| 4. არსენალი | 37 | 19 | 10 | 8 | 63-35 | 67 |
| 5. ევერტონი | 37 | 15 | 12 | 10 | 51-35 | 57 |
| 6. ბოლტონი | 37 | 16 | 7 | 14 | 45-50 | 55 |
| 7. რედინგი | 37 | 16 | 6 | 15 | 49-44 | 54 |
| 8. პორტსმუთი | 37 | 14 | 11 | 12 | 45-42 | 53 |
| 9. ტოტენჰემი | 35 | 15 | 8 | 12 | 52-52 | 53 |
| 10. ბლექბერნი | 36 | 15 | 5 | 16 | 48-50 | 50 |
| 11. ასტონ ვილა | 37 | 11 | 16 | 10 | 41-39 | 49 |
| 12. მიდლსბრო | 37 | 11 | 10 | 16 | 41-48 | 43 |
| 13. ნიუკასლი | 37 | 11 | 9 | 17 | 37-46 | 42 |
| 14. მანჩესტერ სიტი | 37 | 11 | 9 | 17 | 28-42 | 42 |
| 15. ფულჰემი | 37 | 8 | 15 | 14 | 37-57 | 39 |
| 16. შეფილდი | 37 | 10 | 8 | 19 | 31-53 | 38 |
| 17. ვესტ ჰემი | 37 | 11 | 5 | 21 | 34-59 | 38 |
| 18. ვიგანი | 37 | 9 | 8 | 20 | 35-58 | 35 |
| 19. ჩარლტონი | 36 | 8 | 9 | 19 | 32-56 | 33 |
| 20. უოტფორდი | 37 | 5 | 12 | 20 | 28-58 | 27 |

**ბომბარდირები**: 19 - დროგბა (ჩელსი); 16 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 15 - მაკარტი (ბლექბერნი); 14 - რუნი (მანჩესტერ იუნ); 12 - აიეგბენი (მიდლსბრო), კუიტი (ლივერპული), ბენტი (ჩარლტონი); 11 - ლემპარდი (ჩელსი), ჯონსონი (ევერტონი), ვან პერსი (არსენალი), მარტინსი (ნიუკასლი).

### ჩემპიონატი

XLVI ტური

**ბარნლი-ქოვენთრი 1:2**

**გოლები**: 0:1 მიფსუდი (40), 0:2 ტები (55), 1:2 მაკვეი (62)

**კოლჩესტერი-კრ.პალასი 0:2**

**გოლები**: 0:1 სკოუკროფტი (11), 0:2 უოტსონი (69)

**დერბი-ლიდსი 2:0**

**გოლები**: 1:0 კარი (45), 2:0 მეარსი (86)

**ჰალი-პლიმუტი 1:2**

**გოლები**: 0:1 ჰალმოში (45), 0:2 ებენქს-ბლეიკი (59), 1:2 ელიოტი (61)

**იფსვიჩი-კარდიფი 3:1**

**გოლები**: 1:0 ჯეფერსი (4), 1:1 პერი (37), 2:1 უოლტერსი (68), 3:1 უოლტერსი (79)

**ლესტერი-ვულვზი 1:4**

**გოლები**: 1:0 ჰამი (3), 1:1 ოლოფინჯანა (25), 1:2 კაიტლი (33), 1:3 მაკოლი (53-საკ. კარში), 1:4 კეოგი (86-პენ)

**ლუტონი-სანდერლენდი 0:5**

**გოლები**: 0:1 სტოუკსი (4), 0:2 მერფი (6), 0:3 მერფი (46), 0:4 უოლასი (77), 0:5 ქონოლი (86)

**პრესტონი-ბირმინგემი 1:0**

**გოლი**: 1:0 უეილი (85)

**ქუინზ პარკი-სტოკი 1:1**

**გოლები**: 1:0 როულენდსი (6), 1:1 სიდიბე (84)

**უენსდი-ნორვიჩი 3:2**

**გოლები**: 1:0 ჯონსონი (26), 2:0 ბარტონი (45), 3:0 ეტუჰუ (50-საკ. კარში), 3:1 ირნშოუ (56), 3:2 დაბლინი (75)

**საუთჰემპტონი-საუთენდი 4:1**

**გოლები**: 0:1 ბარეტი (13), 1:1 ჯონსი (29), 2:1 ბესტი (48), 3:1 ბესტი (80), 4:1 ჯონსი (81)

**ვესტ ბრომვიჩი-ბარნსლი 7:0**

**გოლები**: 1:0 ფილიპსი (21), 2:0 ელინგტონი (25-პენ), 3:0 ელინგტონი (36), 4:0 კორენი (40), 5:0 ფილიპსი (53), 6:0 ფილიპსი (71), 7:0 გერა (75)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სანდერლენდი | 46 | 27 | 7 | 12 | 76-47 | 88 |
| 2. ბირმინგემი | 46 | 26 | 8 | 12 | 67-42 | 86 |
| 3. დერბი | 46 | 25 | 9 | 12 | 62-46 | 84 |
| 4. ვესტ ბრომვიჩი | 46 | 22 | 10 | 14 | 81-55 | 76 |
| 5. ვულვზი | 46 | 22 | 10 | 14 | 59-56 | 76 |
| 6. საუთჰემპტონი | 46 | 21 | 12 | 13 | 77-53 | 75 |
| 7. პრესტონი | 46 | 22 | 8 | 16 | 64-53 | 74 |
| 8. სტოკი | 46 | 19 | 16 | 11 | 62-41 | 73 |
| 9. უენსდი | 46 | 20 | 11 | 15 | 70-66 | 71 |
| 10. კოლჩესტერი | 46 | 20 | 9 | 17 | 70-56 | 69 |
| 11. პლიმუტი | 46 | 17 | 16 | 13 | 63-62 | 67 |
| 12. კრ. პალასი | 46 | 18 | 11 | 17 | 59-51 | 65 |
| 13. კარდიფი | 46 | 17 | 13 | 16 | 57-53 | 64 |
| 14. იფსვიჩი | 46 | 18 | 8 | 20 | 64-59 | 62 |
| 15. ბარნლი | 46 | 15 | 12 | 19 | 52-49 | 57 |
| 16. ნორვიჩი | 46 | 16 | 9 | 21 | 56-70 | 57 |
| 17. ქოვენთრი | 46 | 16 | 8 | 22 | 47-62 | 56 |
| 18. ქუინზ პარკი | 46 | 14 | 11 | 21 | 54-68 | 53 |
| 19. ლესტერი | 46 | 13 | 14 | 19 | 49-64 | 53 |
| 20. ბარნსლი | 46 | 15 | 5 | 26 | 53-85 | 50 |
| 21. ჰალი | 46 | 13 | 10 | 23 | 51-67 | 49 |
| 22. ლიდსი | 46 | 13 | 7 | 26 | 46-72 | 46 |
| 23. საუთენდი | 46 | 10 | 12 | 24 | 47-80 | 42 |
| 24. ლუტონი | 46 | 10 | 10 | 26 | 53-81 | 40 |

**ბომბარდირები**: 23 - კარეტონი (კოლჩესტერი); 22 - ჩოპრა (კარდიფი); 20 - კამარა (ვესტ ბრომვიჩი); 18 - რასიაკი (საუთჰემპტონი), ირნშოუ (ნორვიჩი), იველუმო (კოლჩესტერი); 16 - ლი (იფსვიჩი), ჰოვარდი (დერბი); 15 - ნაჯენტი (პრესტონი).

### I ლიგა

XLVI ტური

ბრედფორდი-მილუოლი 2:2; ბრისტოლი-როტერჰემი 3:1; ჩელტენემი-ბრაიტონი 1:1; დონკასტერი-ნორთჰემპტონი 2:2; ჯილინგემი-იეოვილი 0:2; ჰადერსფილდი-ლეიტონი 3:1; ნოტინგემი-ქრიუ 0:0; ოლდჰემი-ჩესტერფილდი 1:0; პორტ ვეილი-ბორნმუთი 2:1; სკანთორფი-კარლაილი 3:0; სუონსი-ბლეკპული 3:6; ტრანმერი-ბრენტფორდი 3:1.

### II ლიგა

XLVI ტური

ბარნეტი-უიკომბი 2:1; ბერი-მენსფილდი 1:1; დარლინგტონი-სტოკპორტი 0:5; ჰარტლპული-როვერსი 1:2; ლინკოლნი-ჩესტერი 2:0; მილტონი-აკრინგტონი 2:0; მაკლსფილდი-ნოტსი 1:1; პიტერბრო-როჩდეილი 3:3; შრიუსბერი-გრიმსბი 2:2; სუინდონი-უოლსოლი 1:1; ტორკი-ჰერეფორდი 0:0; რექსჰემი-ბოსტონი 3:1.

## ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXIII ტური

# რეალი დაიძრა...



რობინიომ ჯერ გაიტანა, მერე წითელი მიიღო

„ბარსელონას“ უკან დასახევი გზა არ ჰქონდა. კატალონიელებს მადრიდულ პრესაში გახშირებული ოპტიმისტური სტატიები სასაცილოდაც არ ყოფნიდათ. ჟურნალისტების პროგნოზი, რომ ჩემპიონობის საუკეთესო შანსი სამეფო კლუბს ჰქონდა, მათთვის მართლაც ღიმილის მომგვრელი იყო. **ფრანკ რიიკაარდი** მთელი კვირის განმავლობაში ამბობდა, ვისაც რა უნდა, ის იფიქროს და წეროს, ჩემთვის მთავარი ის არის, რომ „ბარსას“ ბიჭები საკუთარ შესაძლებლობებში ბოლომდე არიან დარწმუნებულები და პირველი ადგილის მოპოვებაში ეჭვი არ ეპარებათო. დაგვეთანხმებით, ჰოლანდიელი სპეციალისტის მხრიდან ეს ამბიციური განცხადება იყო. ისიც ნათელია, რომ სიტყვებს საქმედ ქცევა ესაჭიროებოდა. ერთი სიტყვით, „ანოეტაზე“ საბრძოლო შემადგენლობით გასული კატალონიური გრანდი გამარჯვებაზე ფიქრობდა. მართალია, სტუმრებს ტრავმების გამო **დეკუ** და **რაფა მარკესი** არ ყავდათ, მაგრამ ეს დიდად არავის აღელვებდა. აუტსაიდერი „სოსიედადი“ ნებისმიერ ფასად უნდა დაემარცხებინათ. თავის მხრივ, სანსებასტიანელებიც მოგებაზე ოცნებობდნენ, თუმცა **მიგელ ანხელ ლოტინა** აცნობიერებდა, რომ მისი გუნდის მოწინააღმდეგე ძალიან საშიში გუნდი იყო. ამიტომ ბასკების დამრიგებელმა ფრთხილი ტაქტიკა აირჩია. ბიჭები მან მოედანზე 3-5-1 სქემით განალაგა. **დარკო კოვაჩევიჩი** ერთადერთი ცენტრ ფორვარდი გახლდათ. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ცუდ ფორმაში მყოფ „სოსიედადს“ ამ ტაქტიკის წარმატების იმედი არც კი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ლოტინა **რონალდინიო-მესი-ეტოოს** ტრიოთი იმდენად შეშინებული გახლდათ, რომ მთელი ყურადღება საკუთარი კარის უსაფრთხოებისკენ მიმართა. მასპინძელთა მწვრთნელს იმედი ჰქონდა, რომ დაცვისა და შუა ხაზის გაძლიერებით „ბარსელონის“ სუპერ ფორვარდებს მოქმედების არეალს შეუზღუდავდა. შესაძლებლობის მიცემისთანავე კი მისი ბიჭები სწრაფ და ეფექტურ კონტრშეტევებს მოაწყობდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეალობა აბსოლუტურად განსხვავებული აღმოჩნდა და ლოტინას ჩანაფიქრი ჩანაფიქრადვე დარჩა. სენიორ მიგელ ანხელის იდეებს განხორციელება არ ეწერა. შაბათის შეხვედრაში ყველაზე მეტად თვალშისაცემი გუნდების კლასს შორის არსებული განსხვავება იყო. „სოსიედადმა“ „ბარსას“ მხოლოდ საწყისი ნახევარი საათის განმავლობაში გაუწია წინააღმდეგობა. ამის შემდეგ კატალონიელთა უდავო უპირატესობა გამოიკვეთა. სტუმართაგან ყველაზე კარგად **რონალდინიო** თამაშობდა. წინა დღეებში არაერთხელ გაკრიტიკებულმა ბრაზილიელმა გამოზომილი პასებით თანაგუნდელები მეკარესთან პირისპირ ორჯერ გაიყვანა, თუმცა მათ სიზუსტე დააკლდათ. თამაშის სცენარიდან გამომდინარე, პირველი ნახევრის ფრედ დასრულება ბასკებისთვის მშვენიერ შედეგად შეიძლება შეირაცხოს. „სოსიედადს“ ერთი სახიფათო მომენტიც კი არ შეუქმნია.

მეორე ტაიმში „ბარსელონა“ მოედნის ბატონ-პატრონად მოგვევლინა. რიიკაარდის შეგირდებმა იმდენად დიდი უპირატესობა მოიპოვეს, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ სანსებასტიანელები შეხვედრის გადარჩენას ვერ შეძლებდნენ. ანგარიშის გახსნის პატივი **ანდრეს ინიესტას** ერგო. სტუმართა უნიჭიერესი შუახაზელი, ისევ და ისევ, რონალდინიოს ფანტასტიკური პასის წყალობით მეკარესთან პირისპირ დარჩა. ინიესტამ ის უპრობლემოდ მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. გოლის გატანით ავტორზე მეტად ალბათ რონალდინიომ გაიხარა. გაუჩო პატარა ბავშვივით ამჩატდა და ჰაერში ზედიზედ რამდენჯერმე შეხტა. პრიმერა დივიზიონში დარჩენისთვის მებრძოლი მასპინძლები ვალდებულები იყვნენ შეტევაში დიდი ძალებით წასულიყვნენ. მათ ეს სცადეს, მაგრამ იმავე წამს მიხვდნენ, რომ „ბარსელონისთვის“ სერიოზული პრობლემის შემქმნელები არ იყვნენ. ბასკების ყოველი შეტევა სტუმართა გაცილებით უფრო სახიფათო კონტრიერიშის წინაპირობა ხდებოდა. დაახლოებით 20-წუთიან მონაკვეთში რიიკაარდის შეგირდებმა სულ მცირე 5 საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. მსგავს სიტუაციაში გუნდი ხშირად ისჯება ხოლმე, მაგრამ მიგელ ანხელ ლოტინას ბიჭებს ამის თავიც არ ჰქონდათ. ერთი სიტყვით, **ვიქტორ ვალდესს** ფაქტობრივად, საქმე არ მისცემია. რამდენიმე რიკოშეტს თუ არ ჩავთვლით, „ბარსას“ გოლკიპერი უსაქმოდ იყო. ამასობაში კი სამუელ ეტოო და ლეო მესი მართლაც შესანიშნავ მომენტებს ვერ იყენებდნენ. სტუმართა მინიმალური ანგარიშით გამარჯვება დიდი უსამართლობა იქნებოდა. საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე „ბარსელონამ“ სწრაფი კონტრშეტევა წამოიწყო. რონალდინიომ დაახლოებით 40-მეტრიანი პასით ეტოო ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. კამერუნელმა ფორვარდმა მის პირისპირ თანაგუნდელების დახმარების გარეშე დარჩენილი მეკარის მოტყუება არ ისურვა და მარტივად, მოჭრილი დარტყმით გაიტანა. კატალონიურმა გიგანტმა სასიცოცხლო მნიშვნელობის გამარჯვება იზეიმა. „ანოეტაზე“ მოპოვებული სამი ქულით „ბარსა“ ჩემპიონის ტიტულს კიდევ უფრო მიუახლოვდა.

საფინალო სასტვენის შემდეგ მოვლენებმა საპრესკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლა. საზოგადოების წინაშე თავდაპირველად ფრანკ რიიკაარდი წარსდგა: *„ბედნიერი ვარ, რომ საკმაოდ რთულ სიტუაციაში მყოფებმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. ამასთან, ლამაზი და სანახაობრივი ფეხბურთი ვაჩვენეთ. ჩვენი უპირატესობა ეჭვქვეშ წამითაც არ დამდგარა. ვფიქრობ, „სოსიედადს“ აბსოლუტურად ყველა კომპონენტში ვჯობდით. ვიცი, ჟურნალისტების დიდ ნაწილს აჟიოტაჟის შექმნა სურთ და ცდილობენ, სკანდალური განცხადებები დამცინცლონ. მომიტევეთ, მაგრამ ამ ინტრიგებში ვერ ჩავებმები. წარმოდგენა არ მაქვს, როგორ დასრულდება „რეალისა“ და „სევილიის“ დაპირისპირება. რა სჯობს ჩვენთვის? ალბათ, უფრო ფრე, მაგრამ გულწრფელად ვიტყვი, შედეგი ნაკლებად მაინტერესებს. მეტს ვერაფერს მოგახსენებთ. უკვე გითხარით, რომ ინტრიგებში მონაწილეობა არ მიტაცებს.“*

მიგელ ანხელ ლოტინა შედეგით რა თქმა უნდა, უკმაყოფილო და გულდაწყვეტილი დარჩა. ტკივილი იმდენად დიდი იყო, ბასკთა დამრიგებელმა თამაში უკიდურესად არაობიექტურად შეაფასა: *„საწყენია, რომ ჩვენი აქტივისთვის ქულების შემატება ვერ შევძელით. არადა, სეზონის დასრულებამდე სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. ბუნებრივია, დღევანდელი წაგების შემდეგ საქმე გაგვირთულდება. იმედია, ჩვენი კონკურენტებიც წაიფორხილებენ. დღევანდელ მატჩში „ბარსელონა“ გოლის გატანამდე არაფრით გვჯობდა. ამიტომაც მწყდება გული, რომ პირველი შეცდომისთანავე დავისაჯეთ. ეს ეპიზოდი რომ არა, არავინ იცის, მატჩი როგორი ანგარიშით დასრულდებოდა“*

„რიასორზე“ მიღწეული წარმატებით „ვალენსიამ“ საუკეთესო ოთხეულში დამკვიდრებისა და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი გაიუმჯობესა. სტუმართა შორის საუკეთესო ფეხბურთელი **სილვა** გახლდათ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „ღამურების“ გამარჯვებაში მთავარი როლი სწორედ მან შეასრულა. დამსახურება მხოლოდ გატანილი გოლით არ შემოიფარგლება. ლაკორუნიელებს ყველაზე მეტად ამ კაცის გაუვნებელყოფა უჭირდათ. **ხოაკინ კაპაროსის** ბიჭები ამ ამოცანას ვერაფრით გაუმკლავდნენ. 38-ე წუთზე სტუმრებმა ანგარიში სილვას მიერ წამოწყებული იერიშის წყალობით გახსნეს. ისიც უნდა ითქვას, რომ **უგო ვიანას** „დეპორტივოს“ მცველების უხეშმა შეცდომამაც გაუმართა ხელი. გალისიელებმა წონასწორობის აღდგენა შესვენების შემდეგ შეძლეს. **ტაბორდამ სერხიოს** პასი გამოიყენა. მასპინძელთა სიხარული დიდ ხანს არ გაგრძელებულა. ზუსტად ხუთ წუთში სილვამ **მიგელ ანხელ ანგულოს** გადაცემა მიიღო და **აუატეს** მიერ მიტოვებული კარი დალაშქრა.

**კიკე სანჩეს ფლორესმა** აღიარა, რომ მის ბიჭებს გამარჯვება საკმაოდ გაუჭირდათ: *„ძალიან რთული შეხვედრა გვქონდა. წინასწარვე ვიცოდით, რომ დეპორტივოელები ბევრს ირბენდნენ და პრესინგსაც არ მოერიდებოდნენ. სწორედ ასე მოხდა. საბედნიეროდ, „ვალენსიამ“ ყველა სირთულეს გაუძლო და სრულიად დამსახურებულად მოიგო. გამარჯვების იმედი მაშინაც არ დამიკარგავს, როცა ანგარიში გაგვითანაბრეს. ვფიქრობ, ჩვენ უფრო ძლიერები ვიყავით.“*

„რეალმა“ პრიმერა დივიზიონის მორიგი ტური საჩემპიონო თამაშითა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვებით დაასრულა. საჩემპიონო თამაშში ის ფანტასტიკური ფეხბურთი იგულისხმება, რომელიც **ფაბიო კაპელოს** შეგირდებმა აჩვენეს, თორემ მარათონში ისევ „ბარსელონა“ ლიდერობს. თამამად შეიძლება ითქვას, მასპინძელთა წარმატებაში გადამწყვეტი როლი **გუტის** გამოსვლამ ითამაშა. **რუუდ ვან ვან ნისტელროიმ** და **რობინიომ** სწორედ მისი გენიალური პასებით შეაგდეს. არადა, უეფას თასის ფინალში გასული „სევილია“ **ენცო მარესკას** ულამაზესი დარტყმით იგებდა. მოკლედ, გუტიმ თანაგუნდელები **პალოპთან** პირისპირ გაიყვანა და მათაც შანსი ხელიდან არ გაუშვეს. შეხვედრის მიწურულს სტუმრები ათი კაცით დარჩნენ. მსაჯმა **აიტორ ოსიო** უხეშობისთვის გააძევა. რამდენიმე წუთში ვან ნისტელროიმ თავურით დუბლი შეასრულა. **ჩევანტონმა** საფინალო სასტვენამდე წამებით ადრე ეფექტური საჯარიმო გაიტანა, მაგრამ „სევილიას“ თამაშის გადასარჩენად დრო აღარ ეყო. სამეფო კლუბი „ბარსელონის“ უპირველესი კონკურენტი გახდა. პრიმერა დივიზიონის დარჩენილი ტურები დიდ ინტრიგას გვპირდება.

### მომდევნო ტური

**13 მაისი.** ბილბაო-დეპორტივო, ბარსელონა-ბეტისი, სელტა-ლევანტე, რასინგი-მალიორკა, რეალი-ესპანიოლი, სევილია-რეკრეატივო, ვალენსია-სარაგოსა, ხეტაფე-ატლეტიკო, ოსასუნა-ვილიარეალი, ხიმნასტიკი-სოსიედადი.

### სოსიედადი-ბარსელონა 0:2

**სოსიედადი:** ბრავო, მიკელ გონსალესი, ხუანიტო, ვიქტორ ლოპესი, გარიდო, გარიტანო (63. დიეგო რივასი), არანბურუ, სავიო, ლოპეს რეკარტე (60. დიას დე სერიო), ჩაბი პრიეტო (75. ესტრადა), კოვაჩევიჩი.

**ბარსელონა:** ვალდესი, ვან ბრონკჰორსტი, პუიოლი, ტიურამი, ძამბროტა, ედმილსონი, ინიესტა (85. გუდიონსენი), ჩავი, რონალდინიო, მესი (90. ოლეგერი), ეტო'ო.

**გოლები:** 0:1 ინიესტა (47), 0:2 ეტო'ო (87)

**გაფრთხილება:** 4-2; **დარტყმა:** 8(1)-13(6); **კუთხური:** 4-9; **თამაშგარე:** 3-7; **ჯარიმა:** 25-12; **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 29 777

### დეპორტივო-ვალენსია 1:2

**დეპორტივო:** ავატე, კოლოჩინი, ლოპო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილია, სერხიო, დუშერი (68. ტაბორდა), პაბლო ალვარესი (74. იაგო), ხუან როდრიგესი, რიკი (57. ადრიანი), არისმენდი.

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, ალბიოლი, აიალა, მორეტი, მარჩენა, უგო ვიანა (90+4. პალარდო), ხოაკინი (76. გავილანი), ანგულო (88. ხორხე ლოპესი), სილვა, ვილია.

**გოლები:** 0:1 უგო ვიანა (38), 1:1 ტაბორდა (68), 1:2 სილვა (73)

**გაფრთხილება:** 5-3; **დარტყმა:** 11(4)-9(2); **კუთხური:** 3-7; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 17-14; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

**მაყურებელი:** 16 000

### ბეტისი-ხეტაფე 0:2

**ბეტისი:** კონტრერასი, რივასი, ხუანიტო, მელი (46. ხუანდე), ისიდორო, მიგელ ანხელი, ასუნსაო, რივერა (46. ოდონკორი), კაპი (57. ფერნანდო), სობისი, ედუ.

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, კორტესი, ბელენგერი, ალექსისი, ლიხტი (64. ტენია), სელესტინი, მარიო კოტელო, კასკერო, ნაჩო (87. მარისი), მანუ დელ მორალი, გუისა.

**გოლები:** 0:1 გუისა (15), 0:2 კასკერო (33)

**გაძევება:** ასუნსაო (90. ბეტისი)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 9(1)-9(6); **კუთხური:** 5-1; **თამაშგარე:** 6-3; **ჯარიმა:** 19-13; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 23 000

### ლევანტე-ხიმნასტიკი 2:0

**ლევანტე:** მოლინა, დესკარგა, ალვარო, ალექსისი, კურტუა, ეტიენი (90. ზე მარია), ბერსონი (67. კამაჩო), ტომაზი, კაპო, სალვა (80. ნინიო), რიგა.

**ხიმნასტიკი:** რუბენ პერესი, კალვო, სესარ ნავასი, მატელიანი, ხუან დიასი, შაბოდი, კუელარი (62. რუბენ კასტრო), მორალესი (46. ხენერელო), გრანი (46. პინილია), ხილი, პორტილიო.

**გოლები:** 1:0 სესარ ნავასი (26-საკ. კარში), 2:0 რიგა (39)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 18(5)-6(2); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 1-1; **ჯარიმა:** 27-17; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 14 000

### მალიორკა-ოსასუნა 3:1

**მალიორკა:** მოია, ექტორი, ბალესტეროსი, ნუნიესი, ნავარო, ვარელა (71. იანკოვიჩი), პერეირა, იბაგასა (83. ოსკარ ტრეხო), ვიქტორი (71. ბასინასი), არანგო, იონას გუტიერესი.

**ოსასუნა:** რიკარდო, ხავიერ ფლანიო, ხოსეტო, კრუჩაგა, მონრეალი, ნექუნამი, დავიდ ლოპესი (82. რომეო), ვალდო, პუნიალი (55. რაულ გარსია), ხუანლუ (55. ხუანფრანი), სოლდადო.

**გოლები:** 1:0 ვარელა (36), 1:1 რაულ გარსია (60), 2:1 იონას გუტიერესი (65), 3:1 იანკოვიჩი (79)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 18(5)-9(2); **კუთხური:** 9-1; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 15-14; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 20 000

### რეკრეატივო-ბილბაო 0:0

**რეკრეატივო:** ლოპეს ვალიეხო, მერინო, პაბლო ამო, მარიო, პოლი, კასორლა, ხესუს ვასკესი (71. ხავი გერერო), ბარბერი, ხუანმა (63. როსუ), სინამა პონგოლე, უჩე.

**ბილბაო:** არანსუბია, ესპოზიტო, ლუის პრიეტო, სარიეგი, ამორებიეტა, მურილიო, ირაოლა (86. იესტე), ხავი მარტინესი, გაბილონდო, ადურისი (76. ლორენტე), ურსაისი (60. უსტარიტსი).

**გაძევება:** ამორებიეტა (68. ბილბაო)

**გაფრთხილება:** 1-5; **დარტყმა:** 16(7)-9(0); **კუთხური:** 12-2; **თამაშგარე:** 1-4; **ჯარიმა:** 11-22; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 17 000

### ვილიარეალი-სელტა 1:0

**ვილიარეალი:** ვიერა, ხავი ვენტა, ფუენტესი, გონსალო როდრიგესი, ხოსე ენრიკე, სენა, კანი, პირესი (71. სომოსა), მარკოსი (65. ფრანკო), ტაკინარდი (56. მატი ფერნანდესი), ფორლანი.

**სელტა:** ესტებანი, კონტრერასი, ტამაში, პლასენტე, ანხელი, პაბლო გარსია, გუსტავო ლოპესი (76. კანობიო), ირინეი, უბინია (76. ბამოგო), ნენე (62. ნუნიესი), ბაიანო.

**გოლი:** 1:0 ფრანკო (67)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 8(3)-8(4); **კუთხური:** 7-5; **თამაშგარე:** 2-0; **ჯარიმა:** 17-29; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 24 000

### სარაგოსა-რასინგი 0:0

**სარაგოსა:** სესარი, დიოგო, სერხიო, გაბი მილიტო, ხუანფრანი, საპატერი, დ'ალესანდრო, სელადესი (46. ლაფიტა), აიმარი, დიეგო მილიტო, სერხიო გარსია (69. ევერტონი).

**რასინგი:** ტონიო, კრისტიან ალვარესი, გარაი, ორიოლი, რუბენი (64. მორატონი), ვიტოლო, კოლსა, სკალონი, მუნიტისი, ოსკარ სერანო (86. ბალბოა), ჟიგიჩი (90. მატაბუენა).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 8(3)-6(0); **კუთხური:** 5-7; **თამაშგარე:** 3-1; **ჯარიმა:** 14-25; **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 35 000

### ესპანიოლი-ატლეტიკო 2:1

**ესპანიოლი:** კამენი, სარკე, ლაკრუსი, ზიკა, საბალეტა (87. დავიდ გარსია), მოისესი, ანხელი, რუფეტე, მოა (67. კორო), პანდიანი, ლუის გარსია (76. ხულიანი).

**ატლეტიკო:** პიჩუ, პაბლო, ელერი, ანტონიო ლოპესი, პერეა (46. პეტროვი), პერნია (46. მაქსი როდრიგესი), ხურადო, გალეტი, კოშტინია (76. მანიშე), მისტა, აგუერო.

**გოლები:** 1:0 მოა (8), 2:0 პანდიანი (74), 2:1 პეტროვი (90)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 6(2)-18(4); **კუთხური:** 1-4; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 11-20; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 28 000

### რეალი-სევილია 3:2

**რეალი:** კასილიასი, სისინიო, სერხიო რამოსი, კანავარო, ტორესი (59. ივან ელგერა), დიარა, ემერსონი, ბექჰემი, რაული (59. გუტი), რობინიო, ვან ნისტელროოი.

**სევილია:** პალოპი, დანი ალვესი, აიტორ ოსიო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, პოულსენი, მარესკა, რენატო (64. ჰინკელი), პუერტა, კერჟაკოვი (72. ჩევანტონი), კანუტე.

**გოლები:** 0:1 მარესკა (41), 1:1 ვან ნისტელროოი (61), 2:1 რობინიო (78), 3:1 1:1 ვან ნისტელროოი (85), 3:2 ჩევანტონი (90+3)

**გაძევება:** ლუიშ ფაბიანო (74. სევილია), რობინიო (80. რეალი), აიტორ ოსიო (82. სევილია)

**გაფრთხილება:** 5-2; **დარტყმა:** 16(6)-12(4); **კუთხური:** 6-2; **თამაშგარე:** 6-4; **ჯარიმა:** 19-21; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 80 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 33 | 19 | 8 | 6 | 63-29 | 65 |
| 2. რეალი | 33 | 19 | 6 | 8 | 51-31 | 63 |
| 3. სევილია | 33 | 18 | 7 | 8 | 57-31 | 61 |
| 4. ვალენსია | 33 | 18 | 5 | 10 | 47-32 | 59 |
| 5. სარაგოსა | 33 | 15 | 10 | 8 | 47-32 | 55 |
| 6. ატლეტიკო | 33 | 14 | 9 | 10 | 36-28 | 51 |
| 7. რეკრეატივო | 33 | 14 | 8 | 11 | 45-43 | 50 |
| 8. ხეტაფე | 33 | 13 | 10 | 10 | 32-24 | 49 |
| 9. რასინგი | 33 | 12 | 13 | 8 | 39-39 | 49 |
| 10. ვილიარეალი | 33 | 13 | 8 | 12 | 35-39 | 47 |
| 11. ესპანიოლი | 33 | 11 | 12 | 10 | 38-39 | 45 |
| 12. მალიორკა | 33 | 13 | 6 | 14 | 38-42 | 45 |
| 13. დეპორტივო | 33 | 11 | 10 | 12 | 24-33 | 43 |
| 14. ოსასუნა | 33 | 10 | 7 | 16 | 38-42 | 37 |
| 15. ბეტისი | 33 | 7 | 14 | 12 | 31-40 | 35 |
| 16. ლევანტე | 33 | 7 | 12 | 14 | 27-42 | 33 |
| 17. ბილბაო | 33 | 8 | 9 | 16 | 36-54 | 33 |
| 18. სელტა | 33 | 7 | 9 | 17 | 31-50 | 30 |
| 19. სოსიედადი | 33 | 6 | 9 | 18 | 23-40 | 27 |
| 20. ხიმნასტიკი | 33 | 6 | 6 | 21 | 30-58 | 24 |

**ბომბარდირები:** 22 - ვან ნისტელროოი (რეალი); 19 - კანუტე (სევილია), დიეგო მილიტო (სარაგოსა); 17 - რონალდინიო (ბარსელონა); 13 - ვილია (ვალენსია), მორიენტესი (ვალენსია); 12 - ფორლანი (ვილიარეალი); 11 - ბაიანო (სელტა), ტამუდო (ესპანიოლი); 10 - ლუის გარსია (ესპანიოლი).

### II დივიზიონი

XXXVI ტური

**ალავესი-ლას პალმასი 1:2**

გოლები: 1:0 დე ლუკასი (9), 1:1 მარკესი (29), 1:2 ტრაშორასი (88)

**ალბასეტე-სპორტინგი 2:1**

გოლები: 1:0 კალე (19), 2:0 გარსია (62), 2:1 კონგო (81)

**ერკულესი-სიუდადი 1:1**

გოლები: 0:1 მანოლო (58), 1:1 ტოტე (85)

**მურსია-ლორკა 1:0**

გოლი: 1:0 ნოელ-უილიამსი (62)

**ნუმანსია-სალამანკა 0:0**

**რეალი B-მალაგა 2:1**

გოლები: 0:1 კუნაგო (30), 1:1 ნეგრედო (48), 2:1 გუტიერესი (90)

**ვესინდარიო-ელჩე 1:4**

გოლები: 0:1 კასასი (7), 0:2 პერაგონი (20), 0:3 კასასი (46), 0:4 ფახარდო (70), 1:4 ჩისკო (81-პენ)

**ალმერია-ვალიადოლიდი 3:2**

გოლები: 0:1 ვიქტორი (26), 0:2 სისი (41), 1:2 სორიანო (44), 2:2 უჩე (46), 3:2 ბეა (65-საკ. კარში)

**კადისი-ხერესი 1:2**

გოლები: 0:1 გეიხო (1), 0:2 კასტანიო (51), 1:2 ველა (83)

**კასტელონი-ეხიდო 0:0**

**ტენერიფე-პონფერადინა 0:1**

გოლი: 0:1 პერეირა (66)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალიადოლიდი | 36 | 23 | 9 | 4 | 59-26 | 78 |
| 2. ალმერია | 36 | 21 | 7 | 8 | 61-39 | 70 |
| 3. მურსია | 36 | 20 | 10 | 6 | 55-34 | 70 |
| 4. ხერესი | 36 | 15 | 8 | 13 | 43-35 | 53 |
| 5. სიუდადი | 36 | 15 | 8 | 13 | 37-34 | 53 |
| 6. ალბასეტე | 36 | 14 | 10 | 12 | 43-41 | 52 |
| 7. კადისი | 36 | 13 | 12 | 11 | 41-37 | 51 |
| 8. ნუმანსია | 36 | 13 | 12 | 11 | 40-38 | 51 |
| 9. სალამანკა | 36 | 13 | 11 | 12 | 44-39 | 50 |
| 10. ელჩე | 36 | 13 | 10 | 13 | 40-40 | 49 |
| 11. ტენერიფე | 36 | 14 | 6 | 16 | 38-44 | 48 |
| 12. კასტელონი | 36 | 12 | 11 | 13 | 38-37 | 47 |
| 13. ერკულესი | 36 | 12 | 11 | 13 | 43-43 | 47 |
| 14. ლას პალმასი | 36 | 12 | 11 | 13 | 44-46 | 47 |
| 15. ეხიდო | 36 | 12 | 10 | 14 | 41-44 | 46 |
| 16. სპორტინგი | 36 | 12 | 8 | 16 | 42-41 | 44 |
| 17. მალაგა | 36 | 11 | 11 | 14 | 39-42 | 44 |
| 18. რეალი B | 36 | 12 | 8 | 16 | 42-53 | 44 |
| 19. ალავესი | 36 | 10 | 13 | 13 | 42-49 | 43 |
| 20. პონფერადინა | 36 | 9 | 12 | 15 | 36-48 | 39 |
| 21. ლორკა | 36 | 8 | 8 | 20 | 32-51 | 32 |
| 22. ვესინდარიო | 36 | 6 | 6 | 24 | 32-71 | 24 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საფრანგეთი

XXXIV ტური

**პსჟ-ლიონი 1:1**

**პსჟ:** ლანდრო, ბ. მენდი, როზენალი, არმანი, დრამე, კლემანი, შანტემი, ე. სისე (90. ნგოგი), როტენი, კ. როდრიგესი (56. დიანე), პაულეტა (86. მულუმბუ).

**ლიონი:** კუპე, რევეიერი, სკილაჩი, მიულერი, აბიდალი, ტულალანი, კალსტრიომი (16. ჟუნინიო), კლერკი (58. ბენზემა), მალუდა, ფრედი, ბაროში (70. გოვუ).

**გოლები:** 1:0 ე. სისე (47), 1:1 ჟუნინიო (90+4)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 41 577

**ოსერი-ტრუა 1:0**

**ოსერი:** სორენი, ჟორესი, მინო, კაბული (72. მარტინი), სანია, პედრეტი, ფ. ტომასი, კალენბერგი (80. ლეჟონი), აკალე, იელენი, ნიკულაე (46. მატისი).

**ტრუა:** ლე კრომი, ფერეირა, კუასი, პესლეი, ამზენი, ბარბოსა (78. ი. ფეიე), ენზა იამისი, ლაშორი, ლაკური (53. ნივე), მატუიდი, ჟაზირი (64. გილიოტი).

**გოლი:** 1:0 იელენი (81)

**გაძევება:** გილიოტი (90+2. ტრუა)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 10 731

**ლე მანი-ნანტი 1:1**

**ლე მანი:** ი. პელე, ბონარი, სედრანი, ბასა, ო. ტომასი, სესენონი (84. კუტადორი), რომარიკი, ლუკო (76. დუიარი), მაცუი, გრაფიტე, დე მელო.

**ნანტი:** ერტებისი, სინიორინო (51. გიიონი), სეტო, პიერი, სავინო (82. კესერუ), საედუ, და როშა, გ. ნორბერი (66. ოლიეში), პეიე, ზაირი, პიერონი.

**გოლები:** 1:0 მაცუი (26), 1:1 კესერუ (90+3)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 13 347

**ლანსი-ტულუზა 2:0**

**ლანსი:** იტანჯე, დემონი, ჰილტონი, ად. კულიბალი, რამოსი, კოვაჩევიჩი, სე. კეიტა, კარიერი (78. ჟემაა), მონტერუბიო (82. ბუკარი), დ. კუზენი (90. სი. კეიტა), დინდანე.

**ტულუზა:** დუშე, დაო, არიბაჟე, კონგრე, მატიო, დიოზი (8,. ბონე), სირიეი, პაულო სეზარი, ემანა, ბერგუნუ, ელმანდერი.

**გოლები:** 1:0 სე. კეიტა (84), 2:0 კუზენი (89-პენ)

**გაფრთხილება:** 0-3

**მაყურებელი:** 32 896

**ნანსი-ნიცა 3:0**

**ნანსი:** გრეგორინი, შრეტიენი,დიახატე, ა. ლუისი, ბიანკალანი, ბ. გავანონი, ნ'გემო, დია, კიმი (78. სოგე), ფორტუნე (70. კამერლინგი), კურბელო (74. ბერენგერი).

**ნიცა:** ლორისი, ვარო (46. აბარდონადო), კანტე, აპამი, ფანი, ეშუაფნი, ბალმონი, როოლი, ედერსონი (54. ვაირუა), კონე, ლასლანდი (46. ბელიონი).

**გოლები:** 1:0 ფორტუნე (28), 2:0 ბ. გავანონი (30-პენ), 3:0 კიმი (39)

**გაფრთხილება:** 2-3

**მაყურებელი:** 18 583

**რენი-ბორდო 0:0**

**რენი:** პუპლენი, მელხიოტი, მბია, მენსა, ედმანი, დანზე, ბრ. შეირუ, ე. დიდო, ტომერტი (46. მარვო), ბრიანი, უტაკა (81. მორეირა).

**ბორდო:** რამე, ფობერი, ენაკარჰირე, პლანუსი, დურიეტი, ფერნანდო, მიკუ, ალონსო, ვენდელი (73. მავუბა), იუსი (68. დარშევილი), შამახი (85. ობერტანი).

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 28 368

**სედანი-ლორიანი 3:1**

**სედანი:** რენო, დუკურტუა, ალ. იაია, სარტრი, ლაშორი, ამალფიტანო, ნორო (82. აბდუ), მარენი (62. ბუტაბუ), ბელაჯი (61. მორის-ბელეი), პუჟოლი, ჟობი.

**ლორიანი:** რე. რიუ, ჟალე, მარშალი, სიანი, მულეკი, ევოლო, აბრიელი, ნამუში (74. გენტონი), ტაედერი (81. ბარი), საიფი, ლე პენი (74. გინიაკი).

**გოლები:** 0:1 ტაედერი (40), 1:1 მარენი (47), 2:1 ნორო (74), 3:1 სიანი (88-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 11 522

**სოშო-ვალანსი 1:0**

**სოშო:** რიშერი, პიშო, აფოლაბი, ნ'დავი, ტოშიჩი, პიტო, სენე (77. ბრუნელი), ჟ. ლერუა, ისაბეი (81. ალვარო სანტოსი), გრაქსი, დაგანო (68. ლე ტალეკი).

**ვალანსი:** პენეტო, მატერი (80. ლირონი), ფლაშე, შელი, რიპერი, ჟეოვანიო, დუმენგი, პადადი, რუდე (77. ბეზაზი), პასლი (65. ბრატუ), სავიდანი.

**გოლი:** 1:0 ლე ტალეკი (88)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 15 657

**სტ.ეტიენი-ლილი 2:1**

**სტ.ეტიენი:** ჟანო, ილუნგა, ონონი, ზ. კამარა, მ. დაბო, საბლე (82. ბეიალ სალი), პერენი, ლანდრენი, დერნისი (72. ოტკოერი), ილანი (55. პ. ფეინდუნო), მუსილუ.

**ლილი:** სილვა, ტაფორო, ფრანკარი, ტავლარიდისი, დებუში, მაკუნი, დუმონი, ობრანიაკი (71. ბასტოსი), ბოდმერი (71. იულა/86. მაკიესი), ა. კეიტა, მირალა.

**გოლები:** 1:0 მუსილუ (32), 1:1 მირალა (58), 2:1 მუსილუ (62)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 29 154

**მონაკო-მარსელი 1:2**

**მონაკო:** რომა, ბოლივარი, მანუელ დოს სანტოსი, ჟივე, მოდესტო, მონსორო, ლეკო, მერიემი (77. პინო), პერესი, კოლერი, მენეზი (59. პიკიონი).

**მარსელი:** კარასო, ბეიე, სიველი, ჟ. როდრიგესი, ტაივო, კანა, მ'ბამი (69. ორუმა), ნასრი, რიბერი, ჯ. სისე (86. მაულიდა), ნიანგი (90+3. პაჟისი).

**გოლები:** 1:0 მენეზი (11), 1:1 რიბერი (44), 1:2 ნიანგი (83-პენ)

**გაფრთხილება:** 3-2

**მაყურებელი:** 18 500

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 35 | 22 | 9 | 4 | 58-25 | 75 |
| 2. ლანსი | 35 | 15 | 11 | 9 | 47-35 | 56 |
| 3. ბორდო | 35 | 16 | 8 | 11 | 37-30 | 56 |
| 4. მარსელი | 34 | 15 | 7 | 12 | 46-35 | 52 |
| 5. რენი | 35 | 13 | 13 | 9 | 31-26 | 52 |
| 6. ტულუზა | 35 | 15 | 7 | 13 | 41-41 | 52 |
| 7. სოშო | 35 | 13 | 12 | 10 | 41-42 | 51 |
| 8. სტ. ეტიენი | 35 | 14 | 7 | 14 | 51-46 | 49 |
| 9. ოსერი | 35 | 11 | 15 | 9 | 35-37 | 48 |
| 10. ლილი | 35 | 12 | 10 | 13 | 41-39 | 46 |
| 11. ლორიანი | 35 | 11 | 13 | 11 | 30-34 | 46 |
| 12. ნანსი | 35 | 12 | 10 | 13 | 31-38 | 46 |
| 13. მონაკო | 34 | 11 | 12 | 11 | 40-34 | 45 |
| 14. ლე მანი | 35 | 10 | 14 | 11 | 40-42 | 44 |
| 15. პსჟ | 35 | 10 | 12 | 13 | 39-40 | 42 |
| 16. ვალანსი | 35 | 10 | 9 | 16 | 33-44 | 39 |
| 17. ნიცა | 35 | 8 | 14 | 13 | 30-37 | 38 |
| 18. ტრუა | 35 | 8 | 11 | 16 | 33-50 | 35 |
| 19. სედანი | 35 | 7 | 13 | 15 | 44-54 | 34 |
| 20. ნანტი | 35 | 6 | 13 | 16 | 27-46 | 31 |

**ბომბარდირები:** 13 - სავიდანი (ვალანსი); 12 - პაულეტა (პსჟ); 11 - სე. კეიტა (ლანსი), ის.ბანგურა (ლე მანი), დინდანე (ლანსი), ფრედი (ლიონი); 10 - გომისი (სტ. ეტიენი), ნიანგი (მარსელი), გრაფიტე (ლე მანი).

### II დივიზიონი

XXXV ტური

| | |
|---|---|
| აიაჩო-მეცი | 2:1 |
| შატორუ-კაენი | 1:1 |
| გრენობლი-ბასტია | 1:1 |
| გენიონი-ლიბურნი | 1:3 |
| გინგამი-ნიორი | 1:0 |
| ისტრი-რეიმსი | 2:2 |
| პავრი-დიჟონი | 1:2 |
| ტური-ამიენი | 0:2 |
| სტრასბური-ბრესტი | 1:0 |
| კრეტეი-მონპელიე | დღეს |

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მეცი | 35 | 22 | 10 | 3 | 51-16 | 76 |
შედარებით უფერულად გამოვიდა ამ წონის ლიდერი **ლომერ ჟორჟოლიანი**. პირველი ორი ბრძოლა მან სუფთად მოიგო - უნგრელ **ბალინტ ფარკაშთან** და ესტონელ **სანდერ მარიპუუსთან**. ამ შეხვედრათა ხილვის საშუალება ჩვენც მოგვეცა და, თავად დავრწმუნდით, ჩვენებურმა რარიგ იოლად დაჯაბნა ორივე. სამაგიეროდ, ლომერი მესამე წრეში იპონით დამარცხდა მირალიევთან, და სამწუხაროდ, ვერც სანუგეშოში გაანწყო რამე გერმანელ ოლიმპიურ პრიზიორ **მიხაელ იურაკთან**... ვფიქრობთ, ჟორჟოლიანი ცოტა გადაიღალა, რადგან დეკემბერში გამართული საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, ბევრგან იჭიდავა - თბილისის ტურნირზე, პარიზში, სპალაში, ევროპის ჩემპიონატზე, რომსა და ახლა მოსკოვშიც. ამ წონაზე საუბრისას კიდევ ერთხელ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ მზარდი კონკურენცია, რაც მთლიანად ახალგაზრდების ხარჯზე ხდება.

**ნესტორ ხერგიანი** პირველივე შეხვედრაში მტკივნეული ილეთით დამარცხდა ჰოლანდიელ **ჟეროენ მოორენთან**. მოგვიანებით სანუგეშოში გადაერთო და უკეთაც - ბელარუს **მაქსიმ ჯამილაშვილს** მცირე უპირატესობით აჯობა, რუსი **ივან მარტინოვი** იპონით დაამარცხა, გაბერძნებულ თანამემამულე **ალექსანდროს გორტეევს** (აკაკი ხანიშვილი ) ორი ვაზარით ასევე სუფთად აჯობა, მაგრამ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ყაზახ **სალამატ უტარბაევთან** დამარცხდა.

უტარბაევმა მეოთხედფინალში **ვახტანგ ხოსიტაშვილსაც** მოუგო, რომელმაც მანამ პოლონელი **ჟოაო კარდოსო** ვაზარ-იპონით, ლატვიელი **ოლეგ ფილიპოვსი** კი ვაზარით დაამარცხა. სანუგეშოში ხოსიტაშვილი ჩეხ პაველ პეტრიკოვთან დამარცხდა და შვიდეულში ვერ მოხვდა, თუმცა მისი გამოსვლა ამჯერადაც დამაკმაყოფილებლად შეიძლება შევაფასოთ.

ხანჯალიაშვილმა პირველ წრეში **ლაშა გუჯეჯიანის** ჯავრი იყარა - ჰოლანდიელი გრიმ **ვუისტერსი დაამარცხა**, რომელმაც გუჯეჯიანს რომში მოუგო. მეორე წრეში ხანჯალიაშვილმა საკუთარი მარცხისთვის აილო რევანში რუს **დმიტრი ბრიანოვთან**, რომელთანაც პოლონეთში წააგო. სამაგიეროდ, ჩვენებური ნახევარფინალში თავად დამარცხდა მეორე რუსთან - **სოსლან ძანაევთან** და მან ვერც სანუგეშოს ფინალში ივაჟკაცა პოლონელ ორგზის პრიზიორ **იანუშ ვოინაროვიჩთან**. უფრო ადრე - ძირითად ბადეში ვოინაროვიჩთან **ადამ ოქრუაშვილიც** დამარცხდა, რომელმაც მანამ გამოცდილ ბულგარელ **ივან ილიევს** მოუგო, მაგრამ პოლონელთან წაგების შემდეგ, ვერც სანუგეშოში გადაერთო და გავარდა.

შინჯიკაშვილი მეოთხედფინალამდე იპონებით მივიდა, რაკი სამი სუფთად დაამარცხა სამი მეტოქე - ებრაელი **ავისარ შნეიმანი**, უზბეკი **ფარმონ კაბულოვი** და ძლიერი პორტუგალიელი, რომის ტურნირის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **ჟოაო ნეტო** (ამას წმინდა გდებამდე ერთი ვაზარიც აართვა). სამწუხაროდ, ეს მისი მაქსიმუმი აღმოჩნდა - ნახევარფინალში ჯერ იტალიელ **ანტონიო კიანოსთან** წააგო, სანუგეშოში მოლდოველ **ალექსანდრუ გაინას** აჯობა, მაგრამ აზერბაიჯანელ **ელხან რაჯაბლისთან** წააგო.

ამავე წონაში სუსტად გამოვიდა **გიორგი ბაინდურაშვილი**. პირველ შეხვედრაში მან ისევ წმინდად დაამარცხა უნგრელი **შანდორ ნადისოლიმოში**, რომელსაც ევროპის პირველობაზეც სძლია. მეორეში ავსტრიელ **ფლორიან რინერტალერსაც** დამაჯერებლად აჯობა, მერე კი ვერაფერი გააწყო იტალიელ ოლიმპიურ ჩემპიონ **ჯუზეპე მადალონისთან**. სანუგეშოში შვედ **იონ სანდსტრიომს** კი აჯობა, მაგრამ პოლონელ **ლუკაშ ბალანდასთან** წააგო. შესაძლოა, დამნაშავე აქაც გადაღლილობაა.

რომის ტურნირისგან განსხვავებით, ამჯერად ვერ ივარგა ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ზურაბ ზვიადაურმა** (90). იგი პირველ წრეში აქამდე უცნობ ჰოლანდიელ ჰენკ **გროლთან** წააგო, რომელმაც მერე პატარა სასწაული ჩაიდინა - დაამარაცხა ძლიერი ბრიტანელი **ვინსტონ გორდონი**, ევროპის აწ უკვე სამგზის ჩემპიონი უკრაინელი **ვალენტინ გრეკოვი** და ნახევარფინალში გავიდა. იქ ილიადისთან დამარცხდა, მერე კი მოახერხა და მესამესთვის ბრძოლაც წააგო და საბოლოოდ მეხუთეზე დარჩა.

მისი წინსვლით დიდად ვერც ზვიადაურმა იხეირა, რომელსაც ბედი სიურპრიზს უმზადებდა - სანუგეშოს პირველივე წრეში გორდონს გადაეყარა. ათენის ოლიმპიადის ნახევარფინალიდან მოყოლებული, ბრიტანელი ზვიადაურს პრინციპულ მეტოქედ ექცა და ახლანდელი შეხვედრაც დაძაბულად წარიმართა. საბოლოოდ ვაზარით ბრიტანელმა იმარჯვა.

მეტს ველოდით **დავით ქევხიშვილისგანაც** (73), რომელმაც თავიდან სამი ბრძოლა მოიგო ახალგაზრდა კონკურენტებთან, მაგრამ მეოთხედფინალში პორტუგალიელ **ჟოაო პინიასთან** წააგო. ეგ კიდევ არაა იმდენად მოულოდნელი, რამდენადაც სანუგეშოს პირველივე წრეში მარცხი მოლდოველ **სერგეი ტომასთან**.

რაც შეეხება ახალგაზრდა **ალექსანდრე იაკობაშვილს** (66), იგი გამოცდილების მისაღებად წაიყვანეს და განსაკუთრებულ შედეგს არც ელოდნენ. თუმცა უსახელოდ არ გავარდნილა - იპონებით დაამარცხა ევროპის ვიცე-ჩემპიონი, გაბერძნებული ქართველი **რევაზ ზიდირიდისი** (რუსლან გედენიძე) და სომეხი ევროპის ჩემპიონი **არმენ ნაზარიანი**. ამის შემდეგ იგი ჯერ თურქ **ჰასან ილმაზთან** დამარცხდა და ვერც სანუგეშოში გადაერთო.

**ირაკლი თავაძე**

| 60 კგ |
|---|
| 1. ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი) |
| 2. ჟეროენ მოორენი (ჰოლანდია) |
| 3. სალამატ უტარბაევი (ყაზახეთი) |
| 3. როკ დრაკშიჩი (სლოვენია) |

| 66 კგ |
|---|
| 1. დაქს ელმონტი (ჰოლანდია) |
| 2. დაშტან კიკბაიევი (ყაზახეთი) |
| 3. მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი) |
| 3. ალიმ გადანოვი (რუსეთი) |

| 73 კგ |
|---|
| 1. სეზერ ჰიუზუსი (თურქეთი) |
| 2. გენადი ბილოდიდი (უკრაინა) |
| 3. დირკ ვან ტიკელტი (ჰოლანდია) |
| 3. ჟოაო პინა (პორტუგალია) |

| 81 კგ |
|---|
| 1. იუან ბარტონი (ბრიტანეთი) |
| 2. ოლე ბიშოფი (გერმანია) |
| 3. ლუკაშ ბალანდა (პოლონეთი) |
| 3. ჯუზეპე მადალონი (იტალია) |

| 90 კგ |
|---|
| 1. ილიას ილიადისი (საბერძნეთი) |
| 2. კშიშტოფ ვეგლარცი (პოლონეთი) |
| 3. ვინსტონ გორდონი (ბრიტანეთი) |
| 3. ივან პერშინი (რუსეთი) |

| 100 კგ |
|---|
| 1. ლევან რაზმაძე (საქართველო) |
| 2. პეტერ გუსინსი (ბრიტანეთი) |
| 3. მოვლუდ მირალიევი (აზერბაიჯანი) |
| 3. ასლან უნაშხოტლოვი (რუსეთი) |

| +100 |
|---|
| 1. ტამერლან ტმენოვი (რუსეთი) |
| 2. სოსლან ძანაევი (რუსეთი) |
| 3. იანუშ ვოინაროვიჩი (პოლონეთი) |
| 3. ანდრეას ტიოლცერი (გერმანია) |

## ჭიდაობა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მოჭიდავეები მერიაში

**შაბათს**, დედაქალაქის მერი **გიგი უგულავა** მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატიდან მედლებით დაბრუნებულ ხუთეულსა და მათ მწვრთნელებს შეხვდა. შეგახსენებთ, რომ სოფიაში ჩატარებულ კონტინენტის პირველობაზე „ანტიკოსთაგან“ **მანუჩარ კვირკველია** (74) და **რამაზ ნოზაძე** (96) ჩემპიონები გახდნენ, „თავისუფალში“ **გელა სალირაშვილმა** (74) ვერცხლის მედალი მოიპოვა, **გიორგი გოგშელიძემ** (96) და **ლექსო მოდებაძემ** (+129) - ბრინჯაოსი.

ამ წარმატებისთვის თბილისის მერიამ მოჭიდავეები 10 000 ლარით დააჯილდოვა. თანხა ფედერაციას გადასცეს, რომელმაც დამსახურების მიხედვით გაანაწილა ცალკეულ სპორტსმენებზე. ჩემპიონებმა ჯილდოდ 2 ათასი ლარი მიიღეს, ვიცე-ჩემპიონმა - 1500, ბრინჯაოს პრიზიორებმა - 1000-1000. რაც შეეხებათ მწვრთნელებს, ისინი 500-500 ლარით დაჯილდოვდნენ.

უგულავამ სპორტსმენებს წარმატება მიულოცა და აღნიშნა, რომ ასეთი შედეგები კარსმომდგარი ოლიმპიადის წინ დიდი სტიმულია. მერი სპორტული ბაზების მშენებლობასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ხელისუფლება აქაც იგივე დევიზით მოქმედებს, როგორითაც ჯანდაცვის სისტემაში - „100 ახალი საავადმყოფო“, ანუ 100 ახალი სპორტული ობიექტის მშენებლობა იგეგმება. ამის შესახებ საზოგადოება სულ მალე გაიგებსო, დასძინა უგულავამ და გამოთქვა რწმენა, რომ ასეთ დახმარებას სპორტსმენები კიდევ უფრო მეტი წარმატებებით უპასუხებენ.

**ირაკლი თავაძე**

## ჭადრაკი

# პრეზიდენტის თასზე

**ბაქოში** მეორედ ტარდება აზერბაიჯანის ყოფილ პრეზიდენტ, ჰეიდარ ალიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი საჭადრაკო ფესტივალი, რომელსაც პრეზიდენტის თასი ეწოდება. ბაქოში 19 ქართველი თამაშობს: **თამაზ გელაშვილი, კონსტანტინე შანავა, დავით შენგელია, ლევან აროშიძე, დავით მალალაშვილი, მალხაზ სულაშვილი, თორნიკე სანიკიძე, სალომე მელია, ბაჩანა მორჩიაშვილი, ლუკა პაიჭაძე, დავით ზარქუა, მაკა ფურცელაძე, ივერი ჭილლაძე, ნინო ბაციაშვილი, ლევან ბრეგაძე, ბელა ხოტენაშვილი, დავით ლომსაძე, სოფიკო გურამიშვილი და ანა გავაშელი.**

გამორჩენილ მოჭადრაკეთაგან აღსანიშნავნი არიან ინგლისელი **ნაიჯელ შორტი**, რომელიც რეიტინგით ყველას სჯობნის - 2691. მეორე ნომერი გახლავთ **ვადიმ მილოვი** (შვეიცარია, 2675), მესამე - ჰოლანდიელი **ლუკ ვან ველი** (2674). სულ 2600 და მეტი რეიტინგის მქონე 8 მონაწილე შეიკრიბა.

დღეისთვის ოთხი ტურია განვლილი. სათავეში უკრაინელი **ალექსანდრ ზუბარიოვი** (2511) და **ვადიმ მილოვი** (2675) არიან 4-4 ქულით. მათ ნახევარი ქულით ჩამოჩრება 6 მონაწილე, რომელთა შორის ერთი ქართველია - **დავით შენგელია**. 3 ქულა ბევრად მეტს აქვს - 29 მოჭადრაკეს და შესაბამისად, ქართველთა რაოდენობაც მეტია - **თამაზ გელაშვილი, მალხაზ სულაშვილი, თორნიკე სანიკიძე, ლუკა პაიჭაძე, ბელა ხოტენაშვილი, კონსტანტინე შანავა, ლევან ბრეგაძე, დავით ზარქუა, ანა გავაშელი**. 2.5 ქულა აქვთ: **ბაჩანა მორჩიაშვილს, ლევან აროშიძეს, სალომე მელიას, ნინო ბაციაშვილს, ივერი ჭილლაძეს, დავით მალალაშვილს, დავით ლომსაძეს, სოფიკო გურამიშვილს. 2 ქულა - მაკა ფურცელაძეს.**

სულ 9 ტურია სათამაშო, გამარჯვებული 5000 დოლარს მიიღებს.

**ზვიად შათირიშვილი**

## თარიღი

**ჯემალ ცერცვაძე.** დაიბადა 07.05.1939, თბილისი. ხელბურთი. თამაშობდა თბილისის "ბურევესტნიკსა" (1958-75) და სსრკ ნაკრებში (1959-72). სსრკ ორგზის ჩემპიონი (1962, 64), სამგზის მეორე (1965, 66, 67) და მესამე (1963) პრიზიორი. ზედიზედ ათჯერ მოიპოვა სსრკ ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირის სახელი (1962-71), მონაწილეობდა სამ მსოფლიო ჩემპიონატში (1964, 67, 70), აქედან ორში (1964, 67) ჩემპიონატის ყველაზე ტექნიკურ მოთამაშედ აღიარეს. სამჯერ იყო შეყვანილი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში. სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა 78 მატჩი, გაიტანა 276 გოლი. ფენომენალური ტექნიკის, თავბრუდამხვევი ფინტებისა და მეტოქეთათვის ამოუცნობი ტყორცნების გამო შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატზე (1967) "ხელბურთის პელედ" მონათლეს. ყოფილ სსრკ-ში პირველად დააარსა სპეციალიზებული სკოლა (1980), რომელიც მის სახელს ატარებს.

**გურამ რატიშვილი.** დაიბადა 06.05.1935, თბილისი. საქართველოს სპორტის აკადემიის ჭიდაობის სახეობათა კათედრის პროფესორი. იყო სსრკ თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფის წევრი (1962-70), სსრკ ძიუდოისტთა ნაკრების კომპლექსური სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი (1970-73) და წევრი (1973-84). უშუალოდ მონაწილეობდა ოლიმპიურ ჩემპიონ შოთა ჩოჩიშვილისა და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ რამაზ ხარშილაძის მომზადებაში. 1985 წლიდან საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მეცნიერ-კონსულტანტია. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორატი და თანამშრომლები დაბადების დღეს ულოცავენ ამავე აკადემიის კონსულტანტს, პროფესორ დურმიშხან ჩიტაშვილს.

მეგაბრძოლა

# კოხტა ბიჭმა მოიგო და წავიდა



მეივეზერი დაცვასთან ერთად შეტევასაც ახერხებდა

ლას ვეგასის გასართობ კომპლექს "MGM გრანდის" არენაზე მისულმა 16 200-მა მაყურებელმა ის მიიღო, რის სანახავადაც მივიდა - დიდი ბრძოლა, რომელსაც კრივის თაყვანისმცემელი დიდი ხანია, ელოდა. ბრძოლა, რომელიც სასტარტო გონგიდან მოყოლებული, საფინალო გონგამდე უშელავათო ბრძოლაში მიმდინარეობდა და რომლის გამარჯვებულიც მსაჯთა არაერთსულოვანმა გადაწყვეტილებამ (116-112, 115-113 და 113-115) გამოავლინა.

თანამედროვეობის ორი ყველაზე თვალსაჩინო მოკრივე, **ოსკარ დე ლა ჰოია** და **ფლოიდ მეივეზერ უმცროსი** WBC-ს ვერსიით ქვესაშუალო (ზე-როჭოს) წონის (69.85 კგ-მდე) ტიტულისთვის იბრძოდა, რომელიც რინგზე "ოქროს ბიჭმა" გამოიტანა. თავის მხრივ, მეივეზერი WBC-სა და IBF-ის ვერსიით როჭოს წონის ტიტულებს ფლობს, მაგრამ ამჯერად მათ დასაცავად არ უბრძოლია. და რაც ყველაზე მთავარია, ორივესთვის ამჯერად ტიტულებზე მთავარი გამარჯვება იყო, გამარჯვება, რომელსაც ერთ-ერთი მათგანი დიდების ზენიტში უნდა აეყვანა. ჰო, კიდევ, გუშინდლამდე მეივეზერს ოთხ წონაში ჰქონდა მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, დე ლა ჰოიას კი ექვს წონაში უჩემპიონია.

დიდი ბრძოლა თორმეტივე რაუნდს გაგრძელდა. თითქმის ყველა რაუნდში შემტევი დე ლა ჰოია იყო, მაგრამ პრეტენდენტი თავისი სისწრაფის წყალობით, ჩემპიონის მიერ მოქნეული მუშტების დიდ ნაწილს იცდენდა, თავად კი გაცილებით ზუსტად ურტყამდა. შედეგად, სამიდან ორმა მსაჯმა უპირატესობა სწორედ მას მიანიჭა. ამგვარად, მეივეზერი კიდევ ერთ წონაში დაეუფლა ჩემპიონის ტიტულს, რის შემდეგაც განაცხადა, პროფესიულ რინგზე ეს ჩემი ბოლო გამოსვლა იყოო.

*"ამ ბრძოლისგან ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე. ძალიან მძიმე, ჯოჯოხეთური ბრძოლა იყო, მაგრამ გარწმუნებთ, საკმაოდ იოლად ვაკეთებდი ჩემს საქმეს. მან ბევრჯერ მომიქნია მუშტები, მაგრამ მიზანს იშვიათად აღწევდა. თითქმის ყოველთვის ვხედავდი, როგორ მოდიოდა ჩემსკენ მისი მუშტი და უფრო ხშირად, დარტყმას თავიდან ვიცილებდი. თქმა არ უნდა, ის ჩვენი დროის საუკეთესო მოკრივეა, მაგრამ მე მაინც დავამარცხე"*, - განაცხადა ნაბრძოლევს 30 წლის მეივეზერმა (38-0, 24 ნოკაუტი).

მეივეზერი, ვისაც თითქმის ყველა მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ (წონის გაუთვალისწინებლად, ეგრეთ წოდებული პაუნდ-პერ-პაუნდ) მიიჩნევს, საწყის რაუნდებში აქცენტს თავდაცვაზე აკეთებდა. ეს საქმე მას კარგად გამოსდიოდა. დასკვნით რაუნდებში კი ის უფრო ხშირად შეტევაში იყო. სწრაფი ხელების წყალობით, ის გაცილებით ხშირად აღწევდა მიზანს, ბოლო რაუნდში კი რამდენიმე კომბინაციით დაბომბა მეტოქე, ვის მხარეზეც მაყურებლის უმეტესობა იყო.

რინგისპირა სტატისტიკოსების დათვლით, მეივეზერმა სულ 481-ჯერ მოიქნია ხელი და მიზანს 207-ჯერ მისწვდა. დე ლა ჰოიას შესაბამისი მაჩვენებლები კი იყო 587 მოქნევა და 122 დარტყმა. მძლავრ დარტყმებშიც მეივეზერის უპირატესობა აშკარა იყო - 138:82.

*"ახლა კი დროა, ხელთათმანები ლურსმანზე დავკიდო. დასამტკიცებელი არავისთვის აღარაფერი დამრჩენია. რაც პროფესიონალი მოკრივე ვარ, ბრძოლა არ წამიგია. მინდა, ჩემს შვილებთან უფრო მეტი დროის გატარების საშუალება მქონდეს. მოკლედ, კრივისთვის ხელი დამიქნევია"*, - განაცხადა მეივეზერმა.

როგორც ვთქვით, თითქმის მთელი ბრძოლის განმავლობაში, დე ლა ჰოია აგრესორის როლში იყო. მაყურებლის მხურვალე მხარდაჭერით გამხნევებული, მან საწყის რაუნდებში რამდენჯერმე შეძლო მეტოქის ბაგირებთან მიმწყვდევა და რამდენიმე კომბინაცია განახორციელა კიდეც, რომლებსაც მისი საფირმო ცაცია ჰუკით აგვირგვინებდა.

პირველ რაუნდში ორივე მოკრივე მაინც უფრო ფრთხილობდა, მეივეზერს კი მსაჯებმა მხოლოდ სწრაფი მოქმედების გამო მიანიჭეს უპირატესობა. მაგრამ შემდგომ სამ რაუნდში მათ დე ლა ჰოიას უპირატესობა დააფიქსირეს. ამ რაუნდებში ბრძოლა უფრო კატა-თაგვობანას ჰგავდა. ჩემპიონი შეტევაში იყო და ცდილობდა, თავისი ცაცია ჰუკით დაებომბა მეტოქე. მაგრამ მეივეზერი კვლავ მკვირცხლად მოქმედებდა, ოსკარის მუშტებს იოლად არიდებდა თავს და თუ შანსი გაუჩნდებოდა, კონტრშეტევასაც ახორციელებდა.

განსაკუთრებულად აქტიური დე ლა ჰოია მესამე და მეოთხე რაუნდებში იყო. მისმა დარტყმებმა რამდენჯერმე მეივეზერს სახიდან ღიმილი გაუქრო. თუმცა, ჩემპიონი მის საფირმო დარტყმებს მაინც ვერ ახორციელებდა, რაშიც დამნაშავე მეტოქის სისწრაფე იყო. მეოთხე რაუნდის დასაწყისში, ოსკარის ცაცია ჰუკი მისწვდა მეივეზერის თავს, მაგრამ მაშინვე მისგან პასუხიც მიიღო. ფლოიდი გააქტიურდა, თუმცა ჩემპიონმა რამდენჯერმე მაინც შეძლო კუთხეში მისი მიმწყვდევა. თითქოს, მეივეზერს იქ განსაცდელი ელოდა, მაგრამ საქმეში კვლავ მისი სისწრაფე ერთვებოდა, რაც სიტუაციის სიმძიმეს ანეიტრალებდა. მოკლედ, დე ლა ჰოია გაცილებით აქტიური იყო, თუმცა უფრო ეფექტურად მეივეზერი ირჯებოდა. და მაინც, ამ რაუნდშიც უპირატესობა ლათინოსის მხარეს იყო.

მეხუთე რაუნდი მეივეზერის მძიმე დარტყმებით დაიწყო. მერე დე ლა ჰოიამ სული მოითქვა და კვლავ კუთხეში მიიმწყვდია მეტოქე, თუმცა ბევრი ვერაფერი იხეირა. ამ რაუნდში, მეივეზერმა მოძრაობას უკლო, თუმცა დარტყმებს უხშირა. ოსკარმა კვლავ სცადა მეტოქის კუთხისკენ მიგდება, მაგრამ მეივეზერმა უკან აღარ დაიხია. ეს და მეექვსე რაუნდი მას დარჩა.

მეშვიდეში დე ლა ჰოია კვლავ გააქტიურდა. თუმცა, ხელს არც მეივეზერი აკლებდა. ოსკარმა ის რამდენჯერმე კუთხეში მიიმწყვდია, თუმცა ამჯერად ფლოიდი კონტრშეტევებითაც პასუხობდა. ოსკარმა ქულები მსუბუქი ჯებით აგროვა, პასუხად კი გაცილებით მძიმე დარტყმების ატანა უხდებოდა. თუმცა, რაუნდი მაინც მას დარჩა.

მერვედან მოყოლებული კი, ყველა რაუნდი მეივეზერმა მოიგო. რაც დრო გადიოდა, ოსკარის მუშტებს სიზუსტე აკლდებოდა, მეივეზერისა კი არც ძალას კარგავდა, არც სიზუსტეს. შესაბამისად, მისი შეტევებიცფ და კონტრშეტევებიც უფრო შედეგიანი იყო. როგორც კი მეივეზერი დარტყმების გაცვლაზე მიდიოდა, ოსკარი მაშინვე თავდაცვაზე ცდილობდა გადასვლას, რადგან იცოდა, რომ ამ შემთხვევაში, უფრო ეფექტური მეტოქის მოქმედება იქნებოდა. ბრძოლის სცენარი არც მეათე რაუნდში შეცვლილა - "ოქროს ბიჭი" კვლავ კუთხისკენ მიერეკებოდა მეტოქეს, "კოხტა ბიჭი" თავსაც იოლად იცავდა და კონტრშეტევაზეც ეფექტურად ირჯებოდა.

ბოლოსწინა რაუნდში, დაღლილობის მიუხედავად, ოსკარი კვლავ აგრესორი იყო, თუმცა ამჯერად, მეივეზერი მას აღარც გაურბოდა და უფრო მძლავრ დარტყმებსაც ახორციელებდა. ჩემპიონმა ვერანაირად ვერ შეძლო მის დაცვაში სუსტი წერტილის მიგნება. გონგამდე მისი ცაცია მაინც მისწვდა მეივეზერის თავს, თუმცა მისთვის დიდი ზიანი არ მიუყენებია.

ბოლო რაუნდის დასაწყისში ოსკარმა კიდევ ერთხელ მიიმწყვდია მეტოქე კუთხეში და კარგი კომბინაციაც განახორციელა. დარტყმები რომ მიიღო, ფლოიდმა ცეკვაცეკვით დააღწია თავი კუთხეს და ოსკარს მაგარი აპერკოტი აჭამა, თუმცა ამით მისი დაოკება მაინც ვერ შეძლო. მაყურებლის შეძახილებით გამხნევებული დე ლა ჰოია კვლავ ხარივით უტევდა, მაგრამ მეივეზერი წელში მოხრილი ახერხებდა მისი მუშტების არიდებას. საფინალო გონგის წინ ორივემ გამეტებით შეუტია, თუმცა ნოკაუტამდე საქმე არ მისულა.

*"ვგრძნობ, რომ მე მოვიგე. ჩემი დარტყმები უფრო ძლიერი და ზუსტი იყო. თანაც, როცა მიზანს ვაღწევდი, ვხედავდი, რომ მას ტკივილს ვაყენებდი. მთელი ბრძოლა შეტევაში გავატარე. ძალიან მინდოდა ნოკაუტით მოგება. მე ჩემპიონი ვარ და როცა ჩემპიონს ხვდები, ცოტა მეტი გარჯა გმართებს იმისთვის, რომ ბრძოლა მოიგო. იქნებ, ჯებით უკეთესად სხვა დროს მიმუშავია, მაგრამ მაინც, მიზანს ხშირად ვაღწევდი, ის კი სულ გამირბოდა"*, - განაცხადა 34 წლის დე ლა ჰოიამ, ვინც თავისი ბოლო 12 ბრძოლიდან მეხუთე წააგო.

რაც შეეხება მეივეზერს, მან კრივიდან წასვლის შესახებ კი გამოაცხადა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, ასეთ კარგ ფორმაში მყოფმა კაცმა დიდხანს გაძლოს კრივის გარეშე. თუნდაც **ბერნარდ ჰოპკინსის** მაგალითი რად ღირს. ორმოცი წლის კაცმა ახლახანს რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა და სანამ დე ლა ჰოია და მეივეზერი მეგა ბრძოლის გასამართად რინგზე ავიდოდნენ, კრივის სამყაროს ამცნო, რომ მომდევნო ბრძოლას ლას ვეგასშივე, **ვინკი რაიტის** წინააღმდეგ, 21 ივლისს გამართავს...

**მერაბ ლორთქიფანიძე**



## ტურნირები

### ATP

**ესტორილის ღია**

ესტორილი (პორტუგალია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 531 250 ევრო

**1/4 ფინალი**

**რიშარ გასკე (საფ, 5)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:3, 6:4; **პოლ ანრი მატიო (საფ)**-ხუან მონაკო (არგ) 6:4, 4:6, 6:1; **ტომი რობრედო (ესპ, 2)**-აგუსტინ კალერი (არგ, 7) 7:5, 6:7 (5), 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-გილერმო გარსია ლოპესი (ესპ) 6:4, 1:6, 7:5.

**1/2 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-ტომი რობრედო (ესპ, 2) 7:5, 6:1; **რიშარ გასკე (საფ, 5)**-პოლ ანრი მატიო (საფ) 3:1 მატიოს უარი.

**BMW Open**

მიუნხენი (გერმანია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 353 450 ევრო

**1/4 ფინალი**

**ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 2)**-ნიკოლა დევილდერი (საფ) 6:4, 6:0; **მიხაილ იუჟნი (რუს, 3)**-იურგენ მელცერი (ავსტრია, 8) 6:2, 7:6 (5); **მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 4)**-ალექსანდრ ვასკე (გერ) 2:6, 7:6 (5), 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-სებასტიან გროსჟანი (საფ) 6:4, 7:6 (5).

**1/2 ფინალი**

**მიხაილ იუჟნი (რუს, 3)**-ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 2) 6:4, 6:3; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 4) 6:2, 6:3.

### WTA

**J&S Cup**

ვარშავა (პოლონეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 600 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**-მარა სანტანჯელო (იტა) 6:2, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-ვენუს უილიამსი (აშშ) 3:6, 6:3, 6:4; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 4)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 6) 7:6 (1), 3:1 ჩაკვეტაძის უარი; **ალიონა ბონდარენკო (უკრ)**-იულია ვაკულენკო (უკრ) 6:2, 3:1 ვაკულენკოს უარი.

**1/2 ფინალი**

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 4) 7:5, 2:6, 6:4; **ალიონა ბონდარენკო (უკრ)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3) 6:2, 7:6 (4).

**ესტორილის ღია**

ესტორილი (პორტუგალია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი**: 145 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 1) 6:2, 3:1 ბარტოლის უარი; **ლუსი საფაროვა (ჩეხ, 3)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 7:5, 6:3; **გრეტა არნი (გერ)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:2, 6:2; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-ხისელა დულკო (არგ) 6:1, 6:2.

**1/2 ფინალი**

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 3) 6:4, 6:0; **გრეტა არნი (გერ)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 7:6 (0), 6:2.

## TV სპორტი

**7 მაისი. ორშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ესპანეთის ჩემპიონატი.
**14:10** გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ვერდერი
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** საფრანგეთის ჩემპიონატი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი.
**19:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:10** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**20:50** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:50** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:50** არასაფეხბურთო ისტორიები.
**23:20** იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ფიორენტინა.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
**09:45** სპორტის სამყარო.
**10:10** კრივი. რინგ-საიდი.
**11:10** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
**12:55** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ბრიტანეთი.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ეშტორილი. პორტუგალია.
**17:05** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-ნასიონალი.
**18:50** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**19:15** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი.
**21:00** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**21:30** ჰოკეი. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**22:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** სპორტკლუბი.
**00:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**01:15** პროფესიული კრივი. მარკო ანტონიო ბარერა-როკი ხუარესი.
**03:50** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
**05:35** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ბრიტანეთი.

**EUROSPORT**

**10:30** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**11:00** ავტოსპორტი. FIA WTCC. ტურიზმის კლასი. II რბოლა. ზანდვურტი. ჰოლანდია.
**12:00** მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ჩინეთის გრან პრი. მოტოგრან-პრი. შანხაი.
**13:00** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა.
**13:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ეშტორილი. პორტუგალია.
**14:30** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ვარშავა. პოლონეთი.
**15:30** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
**17:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ესპანეთი. ბელგია (LIVE).
**19:15** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**21:00** ჩოგბურთი. გზა როლან გაროსისკენ.
**21:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. ჰოლანდია-ინგლისი. ბელგია.
**23:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**02:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:45** ჩოგბურთი. გზა როლან გაროსისკენ.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ფინალი. ტარაგონა. ესპანეთი.
**13:00** პლაჟის ფეხბურთი. საჩვენებელი მატჩი. ბრაზილია-ევროპის ვარსკვლავები. ტარაგონა. ესპანეთი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-საფრანგეთი. ბელგია.
**17:00** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. მანტოვა. იტალია.
**18:00** სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**19:15** ახალი ამბები.
**19:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. ჯგუფური ეტაპი. ჰოლანდია-ინგლისი. ბელგია (LIVE).
**21:15** მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
**21:45** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**22:15** ახალი ამბები.
**22:30** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბილბაო.
**23:30** ავსტრალიური ფეხბურთი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია (LIVE).
**02:15** ახალი ამბები.
**04:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-კოლორადო (LIVE).

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**მექსიკა**

**ფლეი ოფი**

| | |
|---|---|
| სან ლუისი-ს. ლაგუნა | 0:2 |
| ატლასი-მორელია | 0:0 |

**ჩილე**

| | |
|---|---|
| კობრელოა-კოლო კოლო | 2:2 |
| დ. კონსეპსიონი-ლოტა | 3:2 |
| უაჩიპატო-ევერტონი | 3:0 |
| ნუბლენსე-კობრესალი | 1:1 |
| სანტიაგო-პალესტინო | 1:2 |
| ლა სერენა-პუერტო მონტი | 3:0 |
| მელიპილა-ო'ჰიგინსი | 2:0 |
| იტალიან-უნ. კონსეპსიონ | გვ. დასრულდა |
| უნ. კატოლიკა-უნ. ესპანიოლ | გვ. დასრულდა |

**ურუგვაი**

| | |
|---|---|
| რენტისტასი-სენტრალი | 2:1 |
| უონდერერსი-პროგრესო | 3:2 |
| პენიაროლი-ტაკუარემბო | 3:3 |
| რივერ პლეიტი-ნასიონალი | 1:1 |
| როჩა-სერიტო | 2:1 |
| ლივერპული-მირამარი | 2:1 |
| რამპლა-ბელა ვისტა | 2:1 |
| დეფენსორი-დანუბიო | გვ. დასრულდა |

**აშშ**

| | |
|---|---|
| კანზას სიტი-კოლამბუსი | 1:0 |
| სოლტ ლეიკი-ნიუ იორკი | 3:3 |
| კოლორადო-ჰიუსტონი | 1:3 |
| დი სი იუნაიტედი-ჩივასი | 2:1 |
| ნიუ ინგლენდი-ჩიკაგო | გვ. დასრულდა |

**იაპონია**

| | |
|---|---|
| ოიტა-ჰიროშიმა | 1:2 |
| იოკოჰამა-კობე | 0:3 |
| ნიიგატა-კოფუ | 3:1 |
| გამბა-შიმიძუ | 1:1 |
| კაშიმა-იოკოჰამა მარინოსი | 1:1 |
| ივატა-ნაგოია | 1:0 |
| კავასაკი-ტოკიო | 5:2 |
| ომია-ურავა | 1:1 |
| იჩიჰარა-კაშივა | 1:1 |

### კალათბურთი

**NBA**

| | |
|---|---|
| კლივლენდი-ნიუ ჯერსი | 81:77 |
| ფინიქსი-სან ანტონიო | 106:111 |

**ევროლიგა**

**მე-3 ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| ტაუგრესი-უნიკახა | 74:76 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი-ცსკა | 93:91 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| გრანადა-ესტუდიანტესი | 80:77 |

### ჰოკეი

**NHL**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-ბაფალო | 4:5 |

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ლატვია-ავსტრია | 5:1 |
| უკრაინა-ნორვეგია | 3:2 |
| რუსეთი-შვეიცარია | 6:3 |
| სლოვაკეთი-ბელარუსი | 4:3 |
| ჩეხეთი-კანადა | 3:3 |
| შვედეთი-ფინეთი | 1:0 |

### ჩოგბურთი

**ATP. მიუნხენი**

| | |
|---|---|
| იუჟნი-კოლშრაიბერი | 6:2, 3:6, 4:6 |

**ATP. ეშტორილი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-გასკე | 7:6, 0:6, 6:1 |

**WTA. ეშტორილი**

| | |
|---|---|
| აზარენკა-არნი | 6:2, 1:6, 6:7 |



სპეცამ და ალფრედსონმა ბროდოს ნიუ ჯერსიც დაამარცხეს

NHL. ფლეი ოფი. კონფერენციების 1/2 ფინალი

# ოტავამ კროსბის ბროდოც მიაყოლა

"სენატორზი" ზედიზედ მეათედ თამაშობს ფლეი ოფში, მაგრამ სტენლის თასის ფინალში ჯერ არასდროს გასულა, კონფერენციის ფინალში კი , ეს გუნდი მხოლოდ მეორედ ითამაშებს.

### აღმოსავლეთი

**ბაფალო (1)–რეინჯერ (6) 2:1 (ო)**

0:0, 0:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 0:1 სტრაკა-2 (რახუნეკი-2, შენეჰანი-2), 1:1 დრური-6 (ბრიერი-6, ქონოლი-7), 2:1 აფინოგენოვი-2 (პომინვილი-2, კალინინი-2).

**სერია 3:2**

ამ სერიაში სტუმარს ჯერ არცერთხელ მოუგია მასპინძლისთვის. არადა, "რეინჯერსი" ძალიან ახლო იყო ამ ტრადიციის დარღვევასთან. ბაფალოელმა **კრის დრურიმ** საფინალო სირენამდე 8 წამით ადრე შეძლო ანგარიშის გათანაბრება, ხოლო ოვერტაიმის მეხუთე წუთზე, რუსმა **მაქსიმ აფინოგენოვმა** რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა და დააწინაურა სერიაში რეგულარულის ჩემპიონი.

"ბაფალომ" მეტოქეზე თითქმის ორჯერ მეტი დარტყმა შეასრულა, მაგრამ უფრო ახლო გამარჯვებასთან "რეინჯერსი" იყო, რომელმაც ანგარიში მესამე პერიოდის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე გახსნა, ხოლო ოვერტაიმის მეორე წუთზე, რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, როცა **რაიან მილერმა ბრენდან შენეჰანის** ურთულესი დარტყმა მოიგერია.

*"საშინელ განწყობაზე ვარ. ბოლო 5 წელიწადია, ასეთი დასანანი მარცხი არ მქონია"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ, "რეინჯერსის" ვეტერანმა **იარომირ იაგრმა**. ჩეხმა ფორვარდმა და მისმა თანაგუნდელებმა, იმ დღეს 7-დან ვერც ერთი რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენეს.

სხვათა შორის, ნიუიორკელებმა ზედიზედ მეხუთედ წააგეს ბაფალოში - სამჯერ ამ სერიაში და ორჯერ რეგულარულში.

**ნიუ ჯერსი (2)–ოტავა (4) 1:3**

1:0, 0:3, 1:0

**გოლები:** 1:0 გომესი-3 (ელიაში-9, მარტინი-4), 1:1 ვერმეტი-2 (პრისინგი-4), 1:2 სპეცა-5 (ალფრედსონი-5, ჰიტლი-8), 1:3 ალფრედსონი-6 (სპეცა-7, ჰიტლი-9), 2:3 ნომესი-4 (მადენი-1, პარიზე-3).

**სერია 1:4**

ახალგაზრდა პიტსბურგელი ვარსკვლავების შემდეგ, "ოტავამ" გამოცდილი "ნიუ ჯერსიც" ჩამოიშორა გზიდან და კონფერენციის ფინალში გავიდა. "სენატორებმა" ამ ორი სერიის მოგებას მხოლოდ 10 თამაში მოანდომეს.

"ოტავას" შესანიშნავად დაბალანსებული გუნდი ჰყავს. მეკარე **რეი ემერიმ,** წლევანდელ სტენლის თასზე ორი შათაუტი შეასრულა, "ნიუ ჯერსისთან" ხუთ მატჩში, კანადელთა დაცვამ მხოლოდ 11 გოლი გაუშვა, ხოლო შეტევაში ძალიან ნაყოფიერად თამაშობს **ჯეისონ სპეცას, დენი ჰიტლისა** და **დანიელ ალფრედსონის** ტრიო.

### დასავლეთი

**დეტროიტი (1)–სან ხოსე (5) 4:1**

0:1, 2:0, 2:0

**გოლები:** 0:1 გოკი-2 (გრირი-2, მაკლარენი-4), 1:1 ზეტერბერგი-4 (ჰოლმსტრიომი-2, ლიდსტრიომი-8), 2:1 დაციუკი-5, 3:1 სამუელსონი-1 (ზეტერბერგი-3, დაციუკი-4), 4:1 ჰოლმსტრიომი-2 (ზეტერბერგი-4, დაციუკი-5).

**სერია 3:2**

**ჰენრიკ ზეტერბერგისა** და **პაველ დაციუკის** შედეგიანი თამაშის წყალობით, "დეტროიტმა" ეს უმძიმესი სერია თავის სასარგებლოდ შემოატრიალა. "რედ უინგზმა" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და მეექვსე, გასვლით შეხვედრას კარგი განწყობით ხვდება.

ზეტერბერგმა და დაციუკმა, თითოზე ერთი გოლი და ორი შედეგიანი პასი მიითვალეს. ისე კი, მასპინძლების ოთხივე გოლისას, ქულები "დეტროიტის" ლეგიონერებმა - ერთმა რუსმა და ოთხმა შვედმა დააგროვეს.

"დეტროიტმა" ამ სერიაში ორჯერ მოიგო მატჩი, როცა მეტოქე ორი შაიბით იყო წინ, ხოლო წინა შეხვედრაში, ანგარიში საფინალო სირენამდე 30 წამით ადრე გაათანაბრა. საერთოდ, "სან ხოსეს" ფლეი ოფში ხშირად სდევს ხოლმე უიღბლობა. ასე მაგალითად, შარშან, დასავლეთი კონფერენციის ნახევარფინალში, "ზვიგენები" 2:0 უგებდნენ სერიას "ედმონტონს", მაგრამ მაინც გავარდნენ სტენლის თასიდან.

ამჯერად, "რედ უინგზმა" შეძლო მეტოქის ლიდერთა ნეიტრალიზება - სამმატჩიანი საგოლე სერია შეწყვიტა **ჯონათან ჩიჩუმ**, ხოლო **ჯო ტორნტონმა**, პირველად ბოლო რვა მატჩში, ვერ შეძლო საგოლე გადაცემის შესრულება. გარდა ამისა, მასპინძლებმა ექვსიდან ორჯერ შეძლეს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება, ხოლო სტუმრებმა კი, ასევე ექვსი შანსიდან ვერც ერთი გამოიყენეს.

სტატისტიკოსებმა ერთი საინტერესო ფაქტი დააფიქსირეს - "დეტროიტმა" წლევანდელ სტენლის თასზე 11 მატჩი გამართა და ყველაში მეტოქეზე მეტი დარტყმა შეასრულა.

მიუხედავად ამ გამარჯვებისა, "რედ უინგზის" ბანაკში მთლად საზეიმო განწყობა არ ყოფილა. პირველ პერიოდში ხელი მოიტეხა წამყვანმა მცველმა **მატიო შნაიდერმა**, რომელიც ამ მატჩსა და მთლიანად ფლეი ოფს გამოაკლდა. ასე რომ, "დეტროიტს" სერიის გაგრძელება ხუთი მცველით მოუწევს, რადგან ამ ამპლუის კიდევ სამი მოთამაშე ჰყავს დამტვრეული.

## მსოფლიო ჩემპიონატი

### II ჯგუფური ეტაპი

#### E ჯგუფი

**რუსეთი–იტალია 3:0**

0:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 კოვალჩუკი-1 (მალკინი-1, ფროლოვი-2), 2:0 ფროლოვი-3 (კოვალჩუკი-3), 3:0 მოროზოვი-6 (ზინოვიევი-9, ზარიპოვი-6).

**შვეიცარია–დანია 4:1**

1:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 1:0 მონე-1 (შპრუნგერი-1, ვიპზერი-2), 2:0 დიპიეტრო-1 (ლემი-3), 3:0 შპრუნგერი-1 (შტრაიტი-1), 3:1 დამგორდი-2 (კ. სტაალი-2), 4:1 შპრუნგერი-2 (ვიპზერი-3, მონე-1).

**ფინეთი–იტალია 3:0**

2:0, 0:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ვიუპკოლა-1 (ი. ლეპტინენი-2, პელტონენი-5), 2:0 პენტუნენი-3 (ი. რუუტუ-1, ნ. კაპანენი-4), 3:0 ვიუპკოლა-2 (ნ. კაპანენი-5, პენტუნენი-1).

| | თ | მ | ოგ | ოწ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 18-3 | 9 |
| 2. რუსეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 17-5 | 9 |
| 3. ფინეთი | 4 | 3 | 0 | 0 | 1 | 15-7 | 9 |
| 4. შვეიცარია | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 6-10 | 6 |
| 5. იტალია | 4 | 0 | 0 | 0 | 4 | 2-15 | 0 |
| 6. დანია | 4 | 0 | 0 | 0 | 4 | 6-24 | 0 |

#### F ჯგუფი

**კანადა–ბელარუსი 6:3**

0:1, 5:0, 1:2

**გოლები:** 0:1 უგაროვი-2 (ანტონენკო-2, მელეშკო-1), 1:1 დოუნი-2 (ნეში-3), 2:1 დოუნი-3 (ტეივზი-5, ნეში-4), 3:1 ტეივზი-1 (ჩიმერა-4), 4:1 დოუნი-4 (ჯეკმენი-2, ლომბარდი-2), 5:1 კამალერი-1 (ფანოფი-2, ჯ. სტაალი-1), 5:2 რიადინსკი-1 (კულაკოვი-1, დენისოვი-1), 6:2 ლომბარდი-1 (კ. არმსტრონგი-1, კომოდორი-1), 6:3 მელეშკო-1 (ლეონტიევი-1, ანტონენკო-3).

**აშშ–გერმანია 3:0**

1:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 შჩასტნი-1 (არნასონი-2, ე. კოული-2), 2:0 შჩასტნი-2 (ე. კოული-3), 3:0 სტემპნიაკი-4 (შჩასტნი-3, ე. კოული-4).

**ჩეხეთი–სლოვაკეთი 2:3**

1:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 1:0 პლეკანეცი-3 (ბარინკა-2, მარეკი-3), 1:1 დემიტრა-1 (მარიან ჰოსა-2, გაბორიკი-2), 1:2 კაპუში-2 (შატანი-5, პოდჰრადსკი-2), 1:3 გაბორიკი-3, 2:3 კლესლა-1 (პლეკანეცი-4, ოლეში-3).

| | თ | მ | ოგ | ოწ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აშშ | 4 | 3 | 0 | 0 | 1 | 15-7 | 9 |
| 2. კანადა | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 14-9 | 9 |
| 3. ჩეხეთი | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 14-10 | 6 |
| 4. სლოვაკეთი | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 14-12 | 6 |
| 5. გერმანია | 4 | 1 | 0 | 0 | 3 | 5-11 | 3 |
| 6. ბელარუსი | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 6-19 | 0 |



ფლეი ოფი. პირველი და მეორე წრეები

# მიკიბ-მოკიდული ...

სერიის მეექვსე მატჩის წინ „რეპტორზის" გამთამაშებელ **ხუან კალდერონს** ყველა დროის 5 საუკეთესო ფლეიმეიქერის დასახელება რომ სთხოვეს, ესპანელმა დაფიქრების შემდეგ უპასუხა, მამაჩემი ყოველთვის მეუბნებოდა, **ოსკარ რობერტსონი** იყო, ვინც იყოო, ამ დიდი კაცის მერე კი ხუთეულში **მეჯიქ ჯონსონს, აიზია ტომასს, ჯონ სტოქტონსა** და **ჯეისონ კიდს** შევიყვანდიო.

კიდმა ფენომენალური სეზონი და კონკრეტული სერიაც მორიგი გრანდიოზული გამოსვლით დაასრულა და საფლეიოფო კარიერაში მეორედ გააკეთა საშუალო ორმაგი დუბლი, რაც კიდამდე მხოლოდ უკვდავებს, **უილტ ჩემბერლენსა** და იმავე მეჯიქს შეესრულებინათ.

ადრეც მითქვამს და უკაცრავად, თუ ჩემი აზრი თვენსას არ ემთხვევა, მაგრამ ჯეისონ კიდი **სტივ ნეშზე** სრულყოფილი მოთამაშეა. შეიძლება, როგორც წმინდა ფლეიმეიქერი, კანადელი მასზე ლაღად და თავისუფლად მოქმედებს, მაგრამ კიდი ნეშს დაცვაში თამაშით, მოხსნებზე მუშაობითა და ლიდერობით უდიდეს ფორას მისცემს.

რეგულარულში ბოლო 13 მატჩიდან 10-ის მომგებმა „ნეტსმა" სერიაში პირობითი აუტსაიდერობა (რაც, მხოლოდ და მხოლოდ, საკუთარი მოედნის უპირატესობაში აისახებოდა) არად ჩააგდო და პირველივე გასვლითი ტრიუმფის მერე, ჰანდიკაპიც შეინარჩუნა და თავისზე უფრო მრავალფეროვანი (მოთამაშეთა შესაძლებლობების მხრივ) „რეპტორზი" პირველივე წრეში გამოაბუნძულა.

მეექვსე შეხვედრაში კიდთან ერთად გაიბრწყინა ჯერაც ტრავმით მოთამაშე ფრთა **რიჩარდ ჯეფერსონმა**, რომელმაც ბოლო 30 წამში ორი მნიშვნელოვანი რამ გააკეთა – ჯერ მას მერე, რაც **კრის ბოშმა** სტუმრები 97:86 გაიყვანა წინ, მან რთული ნახევარკაუჭით თავისიანები დააწინაურა, ხოლო ტაიმაუტის მერე, კალდერონს ჩაუჭრა და დარჩენილი დროც ისე მიილია, „ტორონტომ" რომელიმე მასპინძელზე განგებ დაჯარიმება ვერ მოასწრო.

რაც შეეხება კიდს, მისი საშუალო საამსერიო სტატისტიკა ასე გამოიყურებოდა – 14.1 ქულა, 13.2 შედეგიანი გადაცემა და 10.1 მოხსნა.

*„გული მწყდება, რომ სეზონი ასე ადრე დავასრულეთ. „რეპტორზს" არაჩვეულებრივი სეზონი ჰქონდა და შორს წასვლაც შეგვეძლო"*, - იტყვის ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ბოში, რომელმაც ბოლო მეოთხედში 14 ქულა დააგროვა, მისმა გუნდმა კი ფლეი ოფის ჩათვლით, ისტ რუზერფორდში ზედიზედ 5 დაპირისპირება დათმო.

მომდევნო წრეში კიდის „ნეტსი" **ლებრონი ჯეიმსის** „კავალიერსს" ხვდებოდა (პირველი მატჩის შედეგი მე-15 გვერდზე იხილეთ).

ის, რაც „დეტროიტმა" აღმოსავლეთის პირველ ჯახში „ბულზს" დამართა, გასარჩევი ნაღდად არ არის და თქვენის ნებართვით, ეგრევე დასავლეთზე გადავიდეთ, სადაც **ჯერი სლოუნის** „ჯაზმა" დაუოკებელი ჟინისა და მონდომების ხარჯზე სერიის გადამწყვეტ შეხვედრაში ტეხასში „როკეტსი" დასცა.

...

**დირკ ნოვიცკი, იაო მინი, შაკილ ონილი, დუეინ უეიდი, კარმელო ენტონი, ალენ აივერსონი, ტრეისი მაკგრეიდი** – ამ ბობოლებსა და ზელიგის მონსტრებს მეორე წრეში თამაში არ ეღირსათ, მაგრამ თუ პირველი ექვსიდან ხუთ მეგავარსკვლავს სხვადასხვა დროს მინიმუმ სუპერფინალში უთამაშია (გამონაკლისი მხოლოდ ენტონია), ტრეისი მაკგრეიდის კარიერაში ერთი საფლეიოფო სერიაც არ აქვს მოგებული.

მისი „ჰიუსტონი" მეშვიდე მატჩამდე სტაბილურად იგებდა საშიანო შეხვედრებს და ასევე სტაბილურად, უშანსოდ თმობდა გასვლით მატჩებს, მაგრამ ტრეისის ამჯერადაც არ გაუმართლა და მომდევნო წრეში „ჰიუსტონის" მოწინააღმდეგე გავიდა.

„ჯაზმა" იომა, **კარლოს ბუზერმა** გადაუარა მინს და სლოუნის გუნდიც 2001 წლის მერე გახდა მეშვიდე გუნდი, რომელმაც სერია 0:2 ჩამორჩენის მერე დაასრულა თავის სასარგებლოდ.

რაც შეეხება „ჰიუსტონს", მაკგრეიდიმ და მისმა საძმომ 2005-ში „დალას მავერიქსს" სერიის პირველი ორი გასვლითი მატჩი მოუგო, მერე კი მაინც დამარცხდა.

არა, ტრეისის ცუდად არ უთამაშია, მაგრამ ვერც მისმა ცამეტმა პასმა და ვერც იაოს მომენტებში ფანტასტიკურმა დომინირებამ ვერ უშველა საქმეს - „ჰიუსტონი" ფლეი ოფს ჩამოშორდა და შემდეგი სეზონისთვის მინიმუმ ერთი ნორმალური გამთამაშებელი (**რაფერ ალსტონი** ბევრს კი ეცადა, მაგრამ **დერონ უილიამსთან** მაინც ვერაფერი გააწყო) და **ჯუვან ჰოვარდზე** ახალგაზრდა და ჯანიანი მძიმე ფორვარდი უნდა დაიმატოს. ცხადია, თუ **ჯეფ ვან განდის** გუნდს პრეტენზია არა მარტო ფლეი ოფში გასვლაზე ექნება.

**ზურაბ თალაკვაძე**

### აღმოსავლეთის კონფერენცია. I წრე

**ნიუ ჯერსი (6)–ტორონტო (3) 98:97**

21:21, 22:25, 32:22, 23:29

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (24 ქ. 5 მ), ვ. კარტერი (21 ქ. 5 მ), კიდი (18 ქ. 15 პ. 8 მ. 2 ჩ), ნახბარი (15 ქ), მური (10 ქ. 8 მ).

**ტორონტო:** ბოში (23 ქ. 9 პ. 7 მ. 3 დ), ტი. ჯეი. ფორდი (19 ქ. 3 მ), ბარნიანი (17 ქ. 7 მ. 1 პ. 1 ჩ. 1 დ), კალდერონი (14 ქ. 6 პ. 4 ჩ), ე. პარკერი (12 ქ).

**ნიუ ჯერსიმ მოიგო სერია 4:2**

### II წრე

**დეტროიტი (1)–ჩიკაგო (5) 95:69**

29:23, 28:15, 16:16, 25:12

**დეტროიტი:** ბილაპსი (20 ქ. 4 პ. 2 ჩ), რ. ჰამილტონი (20 ქ. 5 პ. 4 მ), რ. უოლასი (13 ქ. 6 მ. 2 ჩ), პრინსი (13 ქ. 8 მ. 4 პ), მაქსიელი (12 ქ. 6 მ), მაკდაიესი (6 ქ. 10 მ. 2 დ).

**ჩიკაგო:** დენგი (18 ქ. 8 მ), ჰაინრიხი (15 ქ. 6 პ. 4 მ), ბ. უოლასი (9 ქ. 8 მ. 2 ჩ).

**სერია: 1:0**

### დასავლეთის კონფერენცია. I წრე

**ჰიუსტონი (5)–იუტა (4) 99:103**

22:29, 21:24, 24:22, 32:28

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (29 ქ. 13 პ. 5 მ. 3 დ), მინი (29 ქ. 6 მ), ბეტიე (16 ქ. 4 მ. 3 პ. 3 ჩ. 2 დ), ალსტონი (11 ქ. 4 მ. 4 პ. 4 ჩ).

**იუტა:** ბუზერი (35 ქ. 14 მ. 5 პ), დ. უილიამსი (20 ქ. 14 პ), ოქური (16 ქ. 11 მ), ჰარპრინგი (8 ქ. 8 მ).

**იუტამ მოიგო სერია 4:3**



ჯეისონ კიდი შეუდარებელი იყო


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი



მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru



ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა